

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მაია ლომისაძე-კუჭავა, ხათუნა გიორგაძე

მცირე პიზნესი

თბილისი
2016

დამსმარე სახელმძღვანელოში გაშუქე-ბულია ბიზნესის ბირითადი და საკვანძო საკითხები, ნაჩვენებია, რომ სპეციალური მეთოდების მეშვეობით დამწყები ბიზნესები შეძლებს აირჩიოს იდეა, შეაფასოს ბაზარი, გახდეს კონკურენტუნარიანი, თავისი საქმიანობა გახადოს მომგებიანი.

სპეციალური სავარჯიშოების მეშვეობით სტუდენტები შეადგენენ ბიზნეს-გეგმას, რომელიც დახმარება შეამციროს რისკები და შექმნან სტაბილურად მზარდი კომპანია.

ბიზნესის კეთება შეუძლია ყველას, უბრალოდ მთავარია მომზადება და შემდეგ უკვე მოქმედება. სწორად დამუშავებული ბიზნეს-გეგმა, სიჯიუტე და მოთმინება ყველა დამწყებ ბიზნესმენს წარმატებული კომპანიის წარმატებულ მფლობელად აქცევს.

განკუთვნილია ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის.

რეცენზენტები: სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფა-
კულტტეტის, ელექტროტექნიკისა და ელექტრომექა-
ნიკის დეპარტამენტის პროფესორი გურამ
ამირალაძე,

სასწავლო უნივერსიტეტი “გეომედის” ჯანდაცვის
ეკონომიკასა და მენეჯმენტის ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი მანანა ზუბიაშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2017
ISBN 978-9941-20-745-7

<http://www.gtu.ge>

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო,
ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექ-
ტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სააგტორო უფლრბრბის დარღვევა ისკენება კანონით.



Verba volant,
scripta manent

სარჩევი

	შესავალი	5
I თავი	მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ეკონომიკის განვითარებაში.	
1.1	მცირე ბიზნესის არსი და მისი განვითარების ეტაპები	8
1.2	ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვის სტადიები და შექმნის მოდელები	12
1.3	ბიზნეს-ციკლები და ბიზნეს მოტივაცია	24
1.4	მცირე ბიზნესში მეწარმის როლი და მისი უნარ-ჩვევები	28
II თავი	ბიზნეს-საქმიანობის დაწყების ვარიანტები.	
2.1	მცირე ბიზნესი და მარკეტინგის ელემენტები	32
2.2	მცირე ბიზნესი და საწყისი კაპიტალი	47
2.3	ბიზნესი და ინვესტორი	52
III თავი	მცირე ბიზნესი და კანონმდებლობა.	
3.1	სამეწარმეო და არასამეწარმეო პირის რეგისტრაცია	59
3.2	ინდივიდუალური მეწარმე	61
3.3	შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო	65
3.4	სააქციო საზოგადოება	67
3.5	სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება	71
3.6	კომანდიტური საზოგადოება	71
3.7	კოოპერატივი	72
IV თავი	საინვესტიციო პოლიტიკა და მენეჯმენტი.	
4.1	ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა	86
4.2	საინვესტიციო მენეჯმენტის ამოცანები და ფუნქციები	95
4.3	საქართველოს საინვესტიციო გარემო	99
4.4	საინვესტიციო საქმიანობა საქართველოს კანონით	109
V თავი	ბიზნეს გარემო და საინვაციო პროცესები.	
5.1	ბიზნეს გარემოს ცნება	113

5.2	ბიზნეს გარემოს მიმოხილვა და განვითარების ეტაპები	116
5.3	ბიზნესმენების მდგომარეობა და ბიზნეს ინდექსი საქართველოში ბიზნეს გარემოს შესაქმნელად	127
5.4	ბიზნეს მიმზიდველობის დადგენის მეთოდი	129
5.5	საქართველოში ბიზნეს გარემოს განვითარება და მისი ხელშემწყობი ფაქტორები	135
5.6	ინოვაციური მიდგომები საინკუსტიციო გარემოში	163
	გამოყენებული ლიტერატურა	168

შესავალი

„რეალურ სამყაროში ეს არასოდეს არ იმუშავებს“! ეს ფრაზა გესმით ყოველთვის, როდესაც ადამიანებს თქვენი იდეების შესახებ უყვებით. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რეალური სამყარო, სადაც ჩვენ კცხოვრობთ საოცრად დეპრესიული ადგილია. თითქოს ეს არის მონაკვეთი, სადაც ახალი იდეები, არასტანდარტული მიღომები და უცნობი კონცეფციები მუდმივად მარცხდება ტრადიციულ, საერთო მიღომებთან, თუნდაც ეს მიღომები არასრულყოფილი და არაეფექტური იყოს.

უურადღებით დააკვირდით და დაინახავთ, რომ ამ რეალური სამყაროს ბინადრები სავსენი არიან პესიმიზმითა და სასოწარკვეთილებით. მათ ჰყონიათ, რომ ახალი იდეები განწირულია დამარცხებისთვის, რომ საზოგადოება არ არის მზად ან არ შეუძლია შეხვდეს ახალ გამოწვევებს. კიდევ უფრო ცუდი კი ის არის, რომ მათ უნდათ უიმედობისა და არა ამბიციურობის მორევში სხვებიც ჩაითრიონ. ისინი ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ თქვენი იდეების რეალიზება შეუძლებელია. მათი აზრით, თქვენ ფუჭად ხარჯავთ დროს. არ დაუჯეროთ მათ. ასეთი მსოფლიო შეიძლება მისაღები იყოს მათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენც იქ უნდა იცხოვოროთ.

ბიზნესის სამყაროში წარუმატებლობა თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ხშირად გესმით, რომ ათიდან ცხრა კომპანია გაკოტრდა, რომ თქვენი ბიზნესის განვითარების შანსები თითქმის ნულის ტოლია, რომ წარუმატებლობა აძლიერებს ხასიათს. ფაქტიურად თქვენ გირჩევთ: „დამარცხდით რაც შეიძლება ადრე და ხშირად!“ როდესაც ჰაერში ამდენი უარყოფითი ფლოიდია, თქვენც რისკის ქვეშ ხართ. ნუ მისცემთ სტატისტიკას იმის უფლებას, რომ გაგასულელოთ. სხვა ადამიანების წარუმატებლობა ეს სხვა ადამიანების წარუმატებლობაა და მეტი არაერთი.

თუ სხვებს არ შეუძლიათ საკუთარი პროდუქტის გაყიდვა, ეს თქვენ არ გეხდებათ. თუ სხვას არ შეუძლია ჩამოაყალიბოს ეფექტური გუნდი, სწორად განსაზღვროს საკუთარი ბიზნესისა და მომსახურების ფასი, თუ სხვებს არ შეუძლიათ იმაზე მეტის მიღება ვიდრე ხარჯავნ, ეს თქვენი პრობლემა ნამდვილად არ არის. კიდევ ერთი გავრცელებული მცდარი შეხედულება: ისწავლეთ თქვენ

შეცდომებზე. შეგიძლიათ ისწავლოთ რა არ უნდა გააკეთოთ, მაგრამ რა აზრი აქვს ამის ცოდნას, თუ კვლავ არ იცით რა უნდა აკეთოთ საერთოდ? შეადარეთ „შეცდომებზე სწავლის პროცესი“ „თქვენ წარმატებაზე სწავლის პროცესს“. წარმატება ნამდვილ „საბრძოლო მასალას“ გაძლიერთ. როდესაც თქვენ მიერ განხორციელებული რაღაც ოპერაცია წარმატებულია, თქვენ ის კვლავ შეგიძლიათ გაიმეოროთ. მომდევნო ეტაპზე კი უფრო უკეთესადაც შეძლებთ.

წარუმატებლობა არ არის წარმატების საწინდარი. პარვარდის ბიზნეს-სკოლის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მეწარმეებს, რომლებმაც უკვე მიაღწიეს წარმატებას, მეტი შანსი აქვთ შემდეგ პროექტებში გამეორონ დადგებითი შედეგი (ამ შემთხვევაში შანსები უტოლდება 34 პროცენტს). ხოლო იმ მეწარმეებს, რომლებმაც მარცხი განიცადეს საწყის ეტაპზე, თითქმის იგივე შანსი აქვთ მომავალშიც (23 პროცენტი). ადამიანებს, რომლებმაც უკვე განიცადეს წარუმატებლობა ბიზნესში, იგივე შანსი აქვთ, ვიდრე მათ, ვისაც არაფერი გაუკეთებდა საერთოდ.

წარმატება - ეს არის გამოცდილება, რომელიც ნამდვილად ძალიან ბევრს ნიშნავს. ეს არ უნდა იყოს მკითხველისათვის სიურპრიზი, რადგან ბუნების კანონებიც ასეთივეა. ევოლუცია არ ჩერდება განვლილ წარუმატებლობაზე, ის ყოველთვის მიმართულია წინ, წარმატებისაკენ.

ეს წიგნი გარდა სტუდენტებისა იმათვისაცაა, ვინც მცირე ბიზნესს ფლობს. შეიძლება ისინი უმაღლეს კლასს არ განეკუთვნებიან, მაგრამ, ეს საქმიანობა მათი ცხოვრების მთავარ აზრად იქცა. ისინი დაუსრულებლად ემბერ კონკურენტულ გარემოს, რაც მათ დაეხმარება უფრო მეტი აკეთონ ეფექტურად და ცოტათი კონკურენტებიც შეაშინონ.

წიგნი მათვისაცაა, ვინც ყოველდღიური მუშაობით გადაღლილი ყოველთვის ოცნებობდა საკუთარი ბიზნეს-პროექტის განხორციელებაზე. მათ შეიძლება მოსწონთ ის, რასაც აკეთებენ, მაგარმ, არ მოსწონთ უფროსი. ან იქნებ, უბრალოდ, მოეწყინათ. ურჩევნიათ აკეთონ ის, რაც სიამოგნებთ და ამით გამოიმუშაონ საკუთარი ფული.

და ბოლოს, ეს წიგნი არის მათვის, ვისაც არასოდეს არ უფიქრია დამოუკიდებლად შეექმნა ბიზნესი. მათ ჰგონიათ, რომ ამას

უბრალოდ ვერ შეძლებენ. არ აქვთ საკმარისი თანხა, დრო, ცოდნა ან თვითდაჯერებულობა. იქნებ რისკის გაწევის ეშინიათ. რა მიზეზიც არ უნდა ჰქოდეთ, აუცილებელია ამ წიგნის წაკითხვა, რადგან აქ მოცემული ყველა იდეა უნივერსალურია.

ჩვენ ახალ რეალობაში ვცხოვრობთ, სადაც ბიზნესის წარმოება ნებისმიერს შეუძლია. მანამდე მიუღწეველი საშუალებები უკვე ფართოდაა გავრცელებული. ტექნოლოგიები, რომელთა ფასიც რამდენიმე ათასი ლოდარი იყო, ესლა რამდენიმე ლოდარი ლირს, ანდაც საერთოდ უფასოა. ერთ ადამიანს შეუძლია ორი, სამი ან მთელი ჯგუფის მაგივრად იმუშაოს. რაც წარმოუდგნელი იყო რამდენიმე წლის უკან, დღეს ძალიან მარტივია. თქვენ არ გიწევთ „რაღაც“ 60/80/100 საათის მუშაობა კვირაში - 10-40 საათიც საკმარისია. არ გიწევთ ზედმეტი პასუხისმგებლობისა და რისკების საკუთარ თავზე აღება. თქვენ ოფისიც კი არ გჭირდებათ. გაქვთ შესაძლებლობა იმუშაოთ სახლში და გქონდეთ ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებიც ათასობით კილომეტრით არიან დაშორებულნი. მოვიდა დრო, შევცვალოთ მიდგომა სამუშაო პროცესისადმი. მაშ ასე, დავიწყოთ...

I თავი. მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ეკონომიკის განვითარებაში

1.1 მცირე ბიზნესის არსი და მისი განვითარების ეტაპები

მცირე ბიზნესის არსი. სამუცნიერო და სხვა წყაროებში „ბიზნესი “ინვლისური წარმოშობის სიტყვაა და (ბუსინესს) ნიშნავს საქმიანობას, როგორც პირადი გამოიღების წყაროს. აქდან - „ბიზნესმენი“ (businessman) - პირი, რომელიც ბიზნესს მისდევს(34).

როგორც სამამულო ისე საზღვარგარეთის ლიტერატურაში ბიზნესის მრავალნაირი განმარტება გვხვდება.

მაგალითად, ს. ყამარაულის განმარტებით(6), „ბიზნესი (ინგ. - Business) - საქმე, საქმიანობა, არის საკუთარი ან ნასესხები საშუალებების ხარჯზე განხორციელებული ინიციატივიანი, დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობა; დაწყებული რისკისა და ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე, რომლის მთავარი მიზანია მოგების მიღება, საკუთარი საქმიანობის განვითარება, აგრეთვე, საქონლის გასაღება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა. მეწარმების ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლითაც იგი განსხვავდება ეკონომიკური საქმიანობის სხვა ფორმებისაგან, არის: 1) დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, რისკი, დინამიკურობა. 2) საწარმოები, ფირმა ან საწარმოთა ერთობლიობა, რომელთა განსაზღვრული სახის საქმიანობის განხორციელების შედეგად დაწყებულობენ მოგებას. ჩვეულებრივ ისინი განცალკევებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებია, რომლებიც ადმინისტრაციულად არ არის დამოკიდებული სახელმწიფო სხვა უწყებებზე და ორიენტირებულია ბაზარზე“ [35].

ბიზნეს-საქმიანობის დაწყების ვარიანტები და ეტაპები
ბიზნეს-საქმიანობის დაწყების ვარიანტები პირობითად ოთხ ნაწილად შეიძლება დავყოთ:

- 1) სწრაფი ზრდა,
- 2) თვითგანვითარება,
- 3) ცხოვრების სტილი ანუ შტატგარეშე თანამშრომელი,
- 4) სოციალური ბიზნესი.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

1) სწრაფი ზრდა

ყველაზე ხშირად ადამიანები ბიზნეს-საქმიანობას სწორედ ამ ტიპს მიაკუთვნებენ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გქონდეთ დიდი ფინანსური კაპიტალი, რათა სწრაფად დაიპყროთ ბაზარი და მცირე დროში მიღლოთ მაქსიმალური მოგება. თუმცა ეს ყველაფერი მაღალ რისკებსაც უკავშირდება. ამ ტიპის საწარმოების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ყაზახთის ბიზნეს-გარემო და ისეთი კომპანიები, როგორებიცაა **Tele2, Bridgestone, მაღაზიათა ქსელი «Рамстор»** და სხვ.

Tele2 – ეს არის საერთაშორისო კომპანია, რომელიც ყურადღებით სწავლობდა ყაზახურ ბაზარს; განსაზღვრა აუცილებელი მოთხოვნები მომსმარებლის მხრიდან და შემდეგ აგრესიულად გამოჩნდა ტელეკომუნიკაციების ბაზარზე.

რაც შეეხება **Bridgestone**-ს, მან ასევე აირჩია სწრაფი ზრდის მეთოდი ყაზახეთში, ჩადო რა სერიოზული ფინანსური ინვესტიციები სარეკლამო სფეროში. ეს რისკს შეიცავდა პირველი წლის განმავლობაში, რადგან შემოსავალი აშკარად მცირე იყო გასავალზე, თუმცა, ეს სავარაუდო რისკები უკვე გათვლილი იყო. კომპანიამ კარგად შეისწავლა ბაზარი, შექმნა ბიზნეს-გეგმა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა ყაზახეთში.

დღეს კომპანია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბრენდია. ამ სტრატეგიის გამოყენება ასევე შეიძლება მცირე ბიზნესშიც. თავიდან აუცილებელია შეისწავლოთ ბაზარი და შეაღდინოთ ბიზნეს-გეგმა, შემდეგ მოიძიოთ ინვესტორი ან პარტნიორი. სწორედ ასე შეიქმნა ერთ-ერთი ფარმაცევტული კომპანია ყაზახეთში. მისმა დირექტორმა ბიზნეს-პარტნიორად გერმანული ფარმაცევტული კომპანია აირჩია. მოლაპარაკებების შემდეგ გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გერმანულმა ფირმამ გადასცა ყაზახურ მხარეს სპეციალური დანადგარები და ჩადო ინვესტიციები სარეკლამო კომპანიისათვის.

2) თვითგანვითარება

ბიზნეს-საქმიანობის დაწყების მეთოდი ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ თვითგანვითარება. ამ შემთხვევაში თქვენ საქმიანობას იწყებთ სხვისი დახმარების გარეშე. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ

მცირე რაოდენობის თანხა ისესხოთ საწყის ეტაპზე, მაგრამ აქცენტი მაინც საკუთარ შესაძლებლობებზე კეთდება. ბიზნესის განვითარება ხდება საგულდაგულო დაგეგმვითა და გაყიდვების რაოდენობის გაზრდით.

როგორც წესი, ნებისმიერი ბიზნეს-წარმოება იწყება ძალიან მცირე თანხით და შემდეგ ხდება მისი გაზრდა. ამის საუკეთესო მაგალითად ითვლება კომპანია „პიულეტ-პაკარდი“. მისი შექმნა უკავშირდება ორ სტუდენტს, რომლებმაც საქმიანობა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყეს და საწყის ეტაპზე ჯიბეში ორივეს ერთად დაახლოებით 500 აშშ დოლარი ედო. მათ დაიწყეს სპეციალური ხელსაწყოების წარმოება და გაყიდვა, რომლებიც კინოწარმოებაში გამოიყენებოდა. „ოფისად“ ერთ-ერთი სტუდენტის მამის ავტოფარეხს იყენებდნენ. ამ გზით მათ მოახერხეს საწყისი კაპიტალის შეგროვება და ის მთლიანად მომავალ განვითარებაში გამოიყენეს. მათ შექმნეს საკუთარი კომპანია და ის საერთაშორისო კორპორაციად იქცა. ამ შემთხვევაში გაზრდა და განვითარება მოხდა სწორად დაგეგმილი და გაზრდილი გაყიდვების რაოდენობის მეშვეობით. თუ თქვენ ამ ტიპის ბიზნეს-საქმიანობას აირჩეთ, სასურველია დაგეგმვის ყველა ეტაპი ზედმიწევნით ზუსტად გაიაროთ.

3) ცხოვრების სტილი ანუ შტატგარეშე თანამშრომელი

ერთ-ერთ პოპულარულ საშუალებად ბიზნესსაქმიანობისთვის ჩვენს დროში მიიჩნევა - „ცხოვრების სტილი ანუ შტატგარეშე თანამშრომელი“. ასეთ შემთხვევაში ადამიანები საკონტაქტო წესით მიიღებიან სამსახურში და სრულ სამუშაო პროცესში ჩართვა არ უწევთ, ანუ ბიზნესს უთავსებენ სხვა ცხოვრებისეულ პრიორიტეტებს. ბიზნესის განვითარება და წარმატება ხდება მიიჯის, პროფესიონალიზმისა და მუდმივი კლიენტების ხარჯზე. ასეთი ტიპის სამუშაო უფრო მისაღებია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურ მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებელს - დიზაინერები, ვებ-დიზაინერები, ინსტრუქტორები, ფოტოგრაფები, კონსულტანტები, მწვრთნელები, იურისტები, რეპეტიტორები და ა.შ. ამ სახის ბიზნესი შეიძლება შედარებით ნაკლებ სარისკო იყოს. მაგალითად, ვებ-დიზაინერი, რომელიც დაქირავებული ჰყავდა ერთ-ერთ კომპანიას, მიხვდა, რომ მარტო მუშაობის შემთხვევაში უფრო

მეტის გამომუშავებას შეძლებდა. მან გადაწყვიტა გამხდარიყო ინდ. მეწარმე. ორწლიანი მუშაობისა და მუდმივი კლიენტების გამოკვეთის შემდეგ, გადაწყვიტა შექმნა შპს. დაიქირავა მომსახურე პერსონალი და წარმატებით განაცრობს განვითარებას.

4) სოციალური ბიზნესი

მეოთხე მოდელი - „სოციალური ბიზნესი“ - ფართოდაა გავრცელებული დასავლეთში და მხოლოდ ახლა იყიდებს ფეხს დსთ-ს სივრცეში. ამ სახის საწარმოები ყალიბდება იმ მიზნით, რომ გადაუწყვიტონ მოქალაქეებს სოციალური პრობლემები სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე. მაგალითად, თანამოაზრეთა გარკვეული ჯგუფი, რომელთაც სურთ რაიმე სახის სოციალური პრობლემის გადაწყვეტა, ერთიანდება. ჯგუფი აწარმოებს რაიმე სახის საქონელს და მიღებული შემოსავლიდან აგვარებს სოციალურ საკითხებს.

აქ მნივშენლოვანია კომუნიკაცია - ანუ მყიდველმა უნდა იგრძნოს, რომ ამ ნაწარმის შეძენით, მას წვლილი შეაქვს საერთო საზოგადოებრივი პრობლემის გადაწყვეტაში. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის განცხადება, რომ აღნიშნული ნაწარმის გაყიდვიდან შემოსული თანხა მოხმარდება კონკრეტული პრობლემის გადაჭრას, არამედ, საბოლოო ჯამში, უნდა მოხდეს ხარჯთაღრიცხვის წარდგენაც.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მაღაზიათა ქსელი „Charity“, რომელიც აღმოსავლეთ ინგლისში მდებარეობს. აქ ადამიანები აპარეტნ მათოვის გამოუსადეგარ ახალ ან უკვე ნახმარ ნივთებს. მაღაზის მფლობელები კი მათ თავიდან ახარისხებენ, ლამაზად გამოფენენ საკაფრო დახლებზე, ყიდიან რეკორდულად დაბალ ფასებში. ახალი ნივთი, რომელიც შეიძლება სხვა მაღაზიაში 40 ფუნტი სტერლინგი ღირს, აქ 3-5 ფუნტად იყიდება. ამით ხდება სოციალური უთანასწორობის პრობლემის გადაწყვეტა. მცირეშემოსავლიან მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ საბავშვო ნივთები, სხვადასხვა მოხმარების საქონელი მათოვის მისაღებ ფასად. ამ სახის ბიზნესის მთავარ მიზანს არა შემოსავლების გაორმაგება, არამედ სოციალური პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს.

სასარგებლო იქნება განსაზღვროთ, რომელი ტიპის ბიზნეს-საქმიანობაა მისაღები თქვენთვის. ეს დაგეხმარებათ გაიგოთ, რა

რესურსები გჭირდებათ, რა მიმართულება იქნება უფრო სასარგებლო, რა შედეგები გექნებათ ერთი წლის შემდეგ. მიუთითეთ ქვემოთ ოქვენი მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით:

ბიზნეს-საქმიანობის შესაბამისი ტიპი/აღწერა

შეასრულეთ შემდეგი დავალება, რათა განსაზღვროთ საკუთარი ბიზნესის შექმნასთან დაკავშირებული ბარიერები (მიუთითეთ რას გამოიყენებდით პირველი ექვსი თვის განმავლობაში). აღნიშნეთ ბარიერების დაძლევის თქვენული ვერსიები. განიხილეთ პასუხები ახლობლების, მეგობრებისა და თანამშრომლების გარემოცვაში.

ბიზნესის შექმნასთან დაკავშირებული ბარიერები და მათი გადაჭრის გზები:

ბარიერი 1/გადაწყვეტა

ბარიერი 2/გადაწყვეტა

ბარიერი 3 /გადაწყვეტა

1.2 ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვის სტადიები და შექმნის მოდელები

თუ თქვენ წინასწარმეტყველი არ ხართ, გრძელვადიანი ბიზნეს-გეგმა თქვენთვის ფანტაზის სფერო უფრო იქნება. არსებობს უამრავი ფაქტორი, რომლზეც თქვენ ვერანარ გავლენას ვერ

მოახდენთ: საბაზრო პირობები, კონკურენტები, კლიენტები, ეკონომიკური გარემო და ა.შ. გეგმის შედგენა კი თქვენ თითქოს საშუალებას მოგცემთ გაკონტროლოთ საკითხები, რომელთა მართვაც რეალურად წარმოუდგენელია.

მაშინ რატომ არ შეიძლება ჩვენს გეგმებს უბრალოდ დავარქვათ ვარაუდი? დაარქვით ბიზნეს-გეგმას ბიზნეს-ვარაუდი, ფინანსურ გეგმას ფინანსური ვარაუდი, სტრატეგიულ დაგეგმვას კი სტრატეგიული ამოცანა. ახლა თქვენ შეგიძლიათ შეწყვიტოთ მათზე ნერვულობა. ისინი ამად არ ღირან. თუ ვარაუდს გეგმად გადააქცევთ, ეს უკვე ძალიან სახიფათოა. გეგმა საშუალებას აძლევს წარსულს მართოს მომავალი. ისინი გზლუდავენ თქვენ - „ჩვენ მივდივართ განვითარების ამ გზით იმიტომ რომ ასე გადავწყვიტეთ“. სწორედ აქ არის პრობლემა - გეგმა და იმპროვიზაცია ერთმანეთთან შეუთავსებელია. არადა ცოტა იმპროვიზაცია ნამდვილად არ გაწყვნდათ. ზოგჯერ უნდა გამოიყენოთ შანსები, რომელებიც მოულოდნელად გამოჩნდება - „ჩვენ ახლა ახალი მიმართულებით წავალთ, რადგან დღეს ამას აქვს მნიშვნელობა.“

გადების დაწესება გრძელვადიანი ბიზნეს-გეგმისათვის ასევე სისულეელია. თქვენ უფრო მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობთ, როდესაც რაღაცის კეთება დაიწყეთ, ვიღრე მანამ, სანამ რამის კეთებას საერთოდ დაიწყებდით. გეგმას ადგენთ სანამ წარმოებას დაიწყებთ. ეს კი ყველაზე ცუდი დროა გლობალური გადაწყვეტილებების მისაღებად. რა თქმა უნდა, ამას იმისათვის არ ვმბობთ, რომ საერთოდ არ იფიქროთ მომავალზე. პირიქით, ეს სასარგებლო საქმიანობაა. უბრალოდ, ნუ ჩაუღრმავდებით კონკრეტულ აზრებს. დიდია ალბათობა იმისა, რომ 20 გვერდიანმა გეგმამ, საერთოდ ვერ მოგიტანოთ სარგებლობა და ის უბრალოდ სამუდამოდ გადაინაცვლებს თქვენს არქივში. შეწყვიტეთ დროის ფლანგვა ვარაუდებზე. გადაწყვიტეთ რას აპირებთ ამ კვირაში და არა ამ წელიწადში. განსაზღვრეთ, მორიგი, ყველაზე მნიშვნელოვანი დავალება ამ ეტაზე. მიიღეთ გადაწყვეტილება დაწყებისთანავე და არა უფრო დიდი ხნით ადრე. გარემოებების მიხედვით მოქმედება ნორმალურია. უბრალოდ, ჩაჯექით თვითმფრინავში და გაფრინდით - ახალ პერანგს, საპარს კრემს და კბილის ჯაგრისს შემდეგაც იყიდით. გეგმის გარეშე მუშაობამ შეიძლება შეგაშინოთ. მაგრამ

ბრმად მიყოლა და გეგმის გაზიარება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან, უფრო მეტად საშიშია.

ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვის პირველ ეტაპზე სასურველია შეაფასოთ თქვენი უნარ-ჩვევები, ცოდნა, გამოცდილება. ეს დაგეხმარებათ ზუსტად გაიღოთ რა თვისება გჭირდებათ, რათა წარმატებით განვითაროთ ბიზნესი. თქვენ შეძლებთ ააგოთ განვითარების თქვენული გეგმა და მიიღებთ საბოლო გადაწყვეტილებას, ღირს თუ არა ბიზნესის დაწყება.

შემდეგ ირჩევთ, იმ მომსახურების სფეროს (გაყიდვები ან მომსახურება), სადაც მომავალ საქმიანობას აპირებთ. აუცილებლად ჩაატარეთ ბაზრის კვლევა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ განსაზღვროთ პოტენციალი, აირჩიოთ თქვენი ბიზნეს-წარმოების ადგილმდებარება, გაანალიზოთ ყველა ის ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს თქვენ პროდუქტზე მოთხოვნის ზრდას. ამ კვლევის საფუძველზე კი შედგება მომავალი გაყიდვების სავარაუდო სურათი, გეგმა და მიმწოდებელთა სავარაუდო სია.

მნიშვნელოვანია ბიზნეს-სტრატეგიის ფორმის განსაზღვრაც. ამით უნდა მოხდეს მომხმარებლის საჭირო რაოდენობის მოზიდვა, რათა მათ შეაფასონ თქვენი მომსახურება/ნაწარმი. შემდეგ დგება ბიუჯეტი და განისაზღვრება ის საქმიანობა, რაც უფრო პოპულარულს გახდის თქვენ ბიზნესი. აუცილებელია ფინანსური გეგმის შედგენა, რომელშიც განსაზღვრავთ ზარალის რისკებს.

თქვენმა წარმოებამ ხომ აუცილებლად მოგება უნდა მოგიტანოთ! პარალელურად ახალი მომხმარებლის მოზიდვაც უნდა შეძლოთ. მომხმარებელი არ უნდა შეაშინოთ თქვენი მომსახურების ან ნაწარმის მაღალი ფასებით. ძალიან ხშირად, თანამედროვე ბიზნესში, მეწარმეები ცდილობენ მცირე დროის განმავლობაში თითოეული მომხმარებლისგან მაქსიმალური მოგება მიიღონ. ასეთი მიდგომა კი მხოლოდ აშინებს მომხმარებელს, მეწარმე კი კარგავს მუდმივ კლიენტთა ბაზას და დამოკიდებული ხდება შემთხვევით გაყიდვებზე. ფინანსური გეგმის სწორად შედგენის შემთხვევაში კი ეს პრობლემა თავიდან იქნება აცილებული.

ამ ძირითად მოთხოვნათა შესრულების შემდეგ უკვე იწყებთ ადმინისტრაციული, ორგანიზაციული, იურიდიული და სადაზღვევო საკითხების მოგვარებას. არჩევთ სამუშაო პერსონალს, ირჩევთ

საგადასახადო რეჟიმს და ა.შ. მაგრამ, სამწუხაროდ, მეწარმეთა უმეტესობა ყურადღებას არ აქცევს ზემოთ მოყვანილ ეტაპებს და ძირითადად მხოლოდ ორ მათგანს ასრულებს - საქმიანობის სფეროს არჩევას და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას. ეს კი ბიზნესს უფრო დაუცველად და არა მდგრადად აქცევს.

განსოვდეთ, საბაზოო ეკონომიკაში წარმატება დამოკიდებულია თქვენი მომსახურების/ნაწარმის მოთხოვნაზე. სანამ ჯერ კიდევ არ დაგიწყიათ ბიზნესი და არ გამოგიყენებათ საწყისი კაპიტალი, კარგად გაანალიზეთ ეტაპები და წარმატება აუცილებლად მოვა. ამისათვის კი სასიცოცხლოდ, აუცილებელია ექსივე სტადიის გავლა და გათავისება.

სამწუხაროდ დსთ-ს ქვეყნებში მცირე ბიზნესის მიმართ ძირითადად უარყოფითი დამოკიდებულებაა. ხშირად გვესმის, რამდენად არასახარბიცლოა ბიზნესის წარმოება, რა როგორია სახელმწიფო ორგანოებთან მუშაობა, რა სიძნელებს უკავშირდება კლიენტების მოძიება. მაგრამ, მცირე ყურადღებას უთმობენ იმ წარმატებულ მეწარმეებს, რომლებიც უფასტურად ავთარებენ თავიან კომპანიებს, ეხმარებიან საზოგადოებას და დამსახურებულად იღებენ კუთვნილ მოგებას. შეეცადეთ გაიხსენოთ თქვენი მეგობრები, ნაცნობები, ნათესავები, რომლებმაც დამოუკიდებლად დაიწყეს საკუთარი ბიზნესი და დღეს უკვე დიდ წარმატებას მიაღწიეს. თუ თქვენც ერთ-ერთი მათგანი ხართ, ვინ შთაგანონათ დაგეწყოთ საკუთარი ბიზნესი?

წარმატებული ბიზნეს-ორგანიზაციების მაგალითებად დსთ-ში შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა «МИГ», «СВС», «Алмаатинский продукт», «Экстремал». ისინი თავიდან პატარა კომპანიები იყვნენ, თუმცა შემდეგში სერიოზულ ორგანიზაციებად გადაიქცნენ და დღემდე აგრძელებენ ზრდას და განვითარებას. ასევე, შეგვიძლია მოვიყვანოთ კერძო მეწარმეთა მაგალითიც. მათი შემოსავლები უკვე 2-4-ჯერ გაიზარდა, ვიდრე ეს იყო დაახლოებით ხუთი წლის წინ. ისინი კიდევ უფრო ვითარდებიან და გადადიან განვითარების ახალ ეტაპზე.

თქვენ არაერთხელ გსმენიათ ისეთი ბიზნესმენების შესახებ, როგორებიც არიან ბილ გეითსი, რიჩარდ ბერნსონი, სტივ ჯობსი, სერგეი ბრინი, ლარი პეიჯი და ა.შ. მათ ჩვენ დროში უდიდეს

წარმატებას მიაღწიეს. დაიმსახურეს პატივისცემა საზოგადოების მხრიდან და ჰყავთ მიღიონობით ერთგული მომხმარებელი. სასარგებლოა ცნობილი ბიზნესმენების ბიოგრაფიების კითხვა, რათა ზუსტად გავიგოთ როგორ მიაღწიეს მათ მწვერვალამდე და რამდენი დაბრკოლების გადალაზვა მოუხდათ. როგორც ერთხელ სოიტირო ჰონდამ აღნიშნა: „წარმატება ეს არის ყოველდღიური ბრძოლა და შრომა წარუმატებლობის წინააღმდეგ“. ცნობილ ბიზნესმენთა ბიოგრაფიების კითხვისას ასევე მიხვდებით, რომ ბიზნესი მხოლოდ შემოსავლები არ არის, ის გულისხმობს სასარგებლო მომსახურებისა და ნაწარმის გაცემასაც.

ევროპული ქვეყნების ეკონომიკურ საფუძველს შეადგენს მცირე და საშუალო ბიზნესი. ეს სტაბილურობას სიენს ევროპას ქვეყნებს კრიზისულ მომენტში. მაღალგანვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ხელს უწყობს სამუალო კლასის განვითარებას, ეს კი მთლიან ჯამში მოქალაქეთა ცხოვრების დონეს ზრდის. დღეს დსთ-ს ქვეყნები აქტიურად მუშაობენ იმაზე, რომ გაუმჯობესონ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პირობები თავიანთ ქვეყნებში, ითვალისწინებენ რა ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებას.

თუმცა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის 70 პროცენტი წყვეტის თავის საქმიანობას პირველივე წელს. ყაზახეთში 2010 წელს დარეგისტრირებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხოლოდ 55 პროცენტი იყო აქტიური. შედარებისათვის, იმ წარმოების 85 პროცენტი, რომელიც შექმნა ორგანიზაციის „აღმოსავლეთი ინგლისის ცენტრი მეწარმეობის განვითარებისათვის“ მეთოდიკის მიხედვით, კვლავ წარმატებით განაგრძობენ მუშაობას სამი წლის შემდეგაც, მათი შექმნის მომენტიდან.

სამი წელი ბიზნესისათვის - ეს არის კრიტიკული წერტილი, რომელიც განსაზღვრავს განაგრძობს თუ არა კომპანია მუშაობას. ამ დროის განმავლობაში მეწარმემ უნდა შეიმუშაოს კლიენტებთან მუშაობისა და მათი შენარჩუნების ძირითადი წესები, რომელიც ბიზნესის სტაბილურად განვითარების საწინდარი იქნება. ისმის კითხვა: - რატომ აგრძელებს მცირე და საშუალო მეწარმეთა 85 პროცენტი წარმატებით მუშაობას ინგლისში, დსთ-ს ქვეყნებში კი

მხოლოდ 55 პროცენტი? რა უშლის მათ ხელს ბიზნესის წარმატებით განვითარებაში? აქ მნიშვნელოვანია საწარმოს „შიდა სამზარეულოს“ ფაქტორების გათვალისწინება. როგორია თავად მეწარმის მომზადების დონე, რამდენად პროფესიონალურად უძღვება იგი თავის საქმეს, როგორია, მისი გამოცდილება და ცოდნა. წიგნი „ბიზნესი ნულიდან“ კი სწორედ ამ ასპექტებს განიხილავს ვრცლად.

ბიზნესის შექმნის ორი მოდელი

განვიხილოთ ბიზნეს-საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებული ორი ძირითადი მოდელი. პირველი ეს არის - ე.წ. „სარისკო მოდელი“. იგი უფრო გავრცელებულია რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში. ამ დროს მეწარმე ინტუიციურად ირჩევს ბიზნეს-იდეას და უბრალოდ იმუდოგნებს, რომ ის გაამართლებს. არეგისტრირებს კომპანიას, შემდეგ რთულად იღებს კრედიტს ბანკიდან, იყენებს სხვისგან ნაყიდ ბიზნეს-გეგმას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მის მიზნებთან. მხოლოდ ნაღდი ფულის მიღების შემდეგ იწყებს მომხმარებლის ძიებას.

სარისკო მოდელი

სარისკო მოდელის შემთხვევაში გასათვალისწინებელია:

1. იდეა - რეგისტრაცია, 2. საბანკო კრედიტი, 3. მომხმარებლის ძიება.

ამ მოდელს თუ დაგაკვირდებით ფულადი სახსრების მოძრაობის კუთხით, დავინახავთ, რომ დარეგისტრირებისა და საბანკო კრედიტის აღების შემდეგ, მეწარმე ვალდებულია ეტაპობრივად დაფაროს აღნიშვნული სესხი, ანუ უნდა მოხდეს თანხის გადინება, ბიზნესი კი ჯერ სრულად არ ამუშავებულა. მეწარმეს ბრძად სკერა, რომ გაყიდვები მაღლევე მოუტანს მოგებას. თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მინიმუმ ექვსი თვეა საჭირო სრულფასოვანი გაყიდვების საწარმოებლად. აქედან გამომდინარე, შემოსავლები ვერ დაფარავს აღებულ საბანკო ვალდებულებებს. ამ მოდელის გამოყენებით მეწარმე პირველივე ეტაპზე რისკავს. ამან კი შეიძლება დააკარგვინოს არა მხოლოდ მოგება, არამედ ის, რაც მანამდე ჰქონდა.

სიცოცხლისუნარიანი მოდელი

სიცოცხლისუნარიანი მოდელი მოიცავს: 1. მოთხოვნა - იდეა - ბიზნეს-გეგმა, 2. რესურსების ძიება - მომზადება, 3. რეგისტრა-

ცია.

რაც შეეხება მეორე მოდელს, რომელსაც გვირჩევს „აღმოსავლეთ ინგლისის ცენტრი მეწარმეობის განვითარებისათვის“, სიცოცხლისუნარიან მოდელის სახელითაა ცნობილი. ბიზნესის წარმოების იდეა უნდა იყოს აგებული ბაზრის მოთხოვნების მიხედვით, ამისათვის აუცილებელია გავიგოთ რა სჭირდება მომხმარებელს, რისი გადახდისთვის არის მზად. კვლევის პროცესში შეიძლება რაღაც ახალის მოძიება, რაც დააინტერესებს მომხმარებელს.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ბიზნეს-გეგმა, აუცილებელია მისი სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება და ზედმიწევნით ასახვა ბიზნეს გეგმაში. ამის შემდეგ იწყება რესურსების ძიება. რესურსები შეიძლება იყოს სახვადასხვა - ფინანსური, ადამიანური, დროის, საინფორმაციო და ა.შ. მაგალითად, რესურსების ძიების პროცესში შეიძლება ვიპოვოთ პარტნიორი, რომელთანაც თქვენ შეძლებთ ბიზნესთან დაკავშირებული ზოგიერთ ხარჯის გაყიფვას (ოფისის ქირა, ნაწარმის მიწოდების ხარჯები). ამავე ეტაპზე მიმდინარეობს მომსახურების ან ნაწარმის ტესტირება. ამისათვის ხდება პოტენციური (სავარაუდო) მყიდველისათვის პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზება. დაწუნების შემთხვევაში აუცილებელია ნაწარმის უკან გამოხმობა და სრულყოფაზე მუშაობის გაგრძელება.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც თქვენ მოუმზადებით ბიზნესისათვის და დარწმუნდებით მის სიცოცხლისუნარიანობაში, ხდება მისი რეგისტრაცია სახელმწიფო ორგანოებში. თქვენ არ დაჯარიმდებით, თუ ბიზნესისთვის რეგისტრაციის გარეშე ემზადებით. პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმიანობას დაიწყებთ შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე.

მოცემული მოდელი, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ახალი ბიზნესის ტესტირებას და მხოლოდ მისი სიცოცხლის-უნარიანობის დადასტურების შემდეგ იდება ინვესტიციები და ხდება დარეგისტრირება. ანუ ამ შემთხვევაში, პირველი მოდელისაგან განსხვავებით, მეწარმე მოქმედებს წინასწარი შეცნობით, კვლევებსა და გათვლებზე დაყრდნობით.

რატომ არის რეკომენდირებული თავადვე შეადგინოთ ბიზნეს-გეგმა თქვენი საქმიანობისათვის? საკუთარი ბიზნესის დაწყებით, თქვენ ხდებით ბოსი თქვენსავე კომპანიაში. თქვენთვის


მნიშვნელოვანი იქნება გაერკვეთ ფინანსურ საკითხებში, მართვის მეთოდიკასა და მარკეტინგში. სწორედ ამ სფეროებს ასახავთ და შეისწავლით ბიზნეს-გეგმაში. ერთხელ შექმნილ ბიზნეს-გეგმაში ყოველთვის შეძლებთ რაღაცის შეცვლას ან დამატებას. ეს დაგეხმარებათ ბიზნესის მშვიდად და თავდაჯერებულად მართვაში. როდესაც თქვენი კომპანია გაფართოვდება და თქვენს მაგივრად უკვე ადამიანთა დიდი ჯგუფი იმუშავებს ფინანსური და მარკეტინგული საკითხების გადაწყვეტაზე, თქვენ როგორც სტრატეგი თავისუფლად გაერკვევით ამ სფეროებში. პროფესიულ დონეზე შეძლებთ თქვენი კომპანიის სპეციალისტებთან საუბარს, იმიტომ რომ თავის დროზე თქვენ ეს საკითხები დამოუკიდებლად გაიარეთ.

ბიზნესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელი პირობაა სწორი მენეჯმენტის არსებობა ამ ბიზნესში. იმისათვის, რომ ბიზნესი იყოს წარმატებული, საჭიროა ბიზნესის დაწყებამდე მოხდეს მისი ეკონომიკური ანალიზი. გაირკვეს, თუ რამდენად ჭირდება ეს ბიზნესი ბაზარს და ჩამოყალიბდეს ის ასპექტები, რითაც ეს ბიზნესი მომგებიანი იქნება.

საერთოდ ბიზნესის წარმართვისათვის ბიზნესმენმა უნდა იცოდეს ოთხი ძირითადი პირობა: რა უნდა აკეთოს, როგორ უნდა აკეთოს, ვისთვის უნდა აკეთოს და რამდენი უნდა აკეთოს. თუ ეს პროცედურები ბიზნესმენს კარგად ექნება შესისხლხორციებული და გაანალიზებული, მაშინ ბიზნესის მენეჯმენტიც ხარისხიანი იქნება.

ბიზნესმენი უნდა იყოს ხელოვანი – გამომგონებელი, რათა დაიპყროს ბაზარი. ის უნდა იყოს კარგი მენეჯერი და კარგად მართავდეს დროს. მას კარგად უნდა ესმოდეს და ფლობდეს ფსიქოლოგიურ ელემენტებს, რომლის საშუალებითაც შეძლებს პარტნიორებთან, კონკურენტებთან, ინვესტორებთან ურთიერთობა. რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგეჩვენოთ სწორი ბიზნესის წარმართვისათვის ბიზნესმენი კარგად უნდა ფლობდეს თავისი თავის მანერებს, გარეგნულ იმიჯს. მაგალითად, იაპონიაში თუ ბიზნესმენი ინვესტორთან შეხვედრის დროს შემოსილია ყავისფერ კოსტუმში, ლიმონისფერ პერანგში და ყავისფერ პალსტუხში მას ინვესტორი არასოდეს არ დააფინანსებს. საერთოდ გარეგნულ იმიჯს ბიზნესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რასაკვირველია პირველ რიგში ინტელექტუალური და ერუდიციასთან ერთად.

გაგიჩნდებათ კითხვა, ეს იაპონელი ინვესტორი როგორ ბიზნესმენს აფინანსებს? თურმე ისინი შავ და თეთრ ფერებს დიდ პატივს სცემზნ და გონების ფერებს ეძახიან და სწორედ ამ ფერებში გადაწყვეტილ ბიზნესმენებს, სხარტ გონებასთან ერთად აფინანსებენ.



გამართული ბიზნესისათვის ბიზნესმენი წერს ბიზნეს გეგმას, რომლის გარეშე არც კი ღირს კომერციული საქმიანობის დაწყება, რადგან ამ შემთხვევაში წარუმატებლობის შანსი ძალიან მაღალია. მაგრამ, სანამ ბიზნეს გეგმის შედგენა დაიწყება, სასურველია ბიზნესმენმა თავის თავს დაუსვას კითხვები:

- რას მინდა მივაღწიო?
- როგორ მინდა ამას მივაღწიო?
- რა დამჭირდება ამისათვის?
- რა უნდა გავაკეთო, რომ თავიდან ავიცილო წარუმატებლობა.

თუ ბიზნესმენს ამ კითხვებზე დადებითი პასუხები ექნება, მაშინ იგი მობილიზდება სამეწარმეო საქმიანობის კეთებისათვის და იწყებს ბიზნეს-გეგმის წერას.

ბიზნეს-გეგმა ეს არის დოკუმენტი, რომელიც აღწერს მომავალი წარმოების ყველა ძირითად ასპექტს. აანალიზებს ყველა

შესაძლო პრობლემას და განსაზღვრავს მათი გადაწყვეტილების გზებს. ამიტომ ბიზნეს-გეგმის სწორად შედგენა საბოლოო ჯამში იძლევა პასუხს კითხვაზე: ღირს კი ამ საქმეში ფულის ჩადება და მოიტანს თუ არა ის იმ შემოსავალს, რომელიც აანაზღაურებს ყველანაირ დანახარჯს?

ბიზნეს-გეგმას წერენ:

1. საგარეო სარგებლობისათვის, იმისათვის, რომ გარეშე პირებს, მაგალითად ინვესტორებს საქმე წარუდგინონ ხელსაყრელი კუთხით.
2. შიდა სარგებლობისათვის – ამ შემთხვევაში წარმოჩნდება საქმის ყველა ძლიერი და სუსტი მხარე. იგი მუდმივად გამოიყენება, როგორც მართვის ინსტრუმენტი.

მიმშვინელოვან წარმატებას მაღწევთ თქვენ ბიზნესში, თუ დაიწყებთ საქმეს შიდა სარგებლობის ბიზნეს-გეგმით. მისი შედგენის პროცესში თქვენ განიხილავთ მრავალ საკითხს, რომელიც შესაძლოა არასოდეს ჩაიწეროს საგარეო ბიზნეს-გეგმაში. ეს ყველაფერი საჭიროა მოსამზადებლად ინვესტორთან სალაპარაკოდ.

შიდა გეგმის შედგენისას წინასწარ უნდა იქნას შესწავლილი განვითარების ყველა ვარიანტი და სტრატეგია. თუ ინვესტორის მოზიდვა გამართლებული აღმოჩნდა, მაშინ ინვესტორსაც და ფირმასაც გარიგებისათვის მყარი საფუძველი ექნება.

ამრიგად, ბიზნეს-გეგმის დანიშნულება ის არის, რომ მეწარმეს ექმარება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაში:

- 1) მომავალი გასაღების ბაზრის მოცულობისა და პერსპექტივის შესწავლაში;
- 2) ბაზრისათვის საჭირო პროდუქციის წარმოებისათვის დანახარჯების შეფასებაში, საქონლის გასაყიდი ფასის დადგენაში და საქმის მომგებიანობის გამორკვევაში;
- 3) იმ მაჩვნებლების დადგენაში, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება საქმის რეგულარული კონტროლირება.

ბიზნესმენი, რომელიც გაარკვევს, რომ მას სჭირდება თავისი სამეწარმეო საქმიანობისათვის ბიზნეს-გეგმა, ამის შემდეგ აყალიბებს ბიზნეს-გეგმის სტრუქტურას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

• რეზიუმე,

- საწარმოს და დარგის აღწერა,
- პროდუქციის/მომსახურების აღწერა,
- პროდუქციის/მომსახურების მარკეტინგი და გასაღება,
- საწარმოს გეგმა,
- საორგანიზაციო გეგმა,
- ფინანსური გეგმა,
- პროექტის მიზანმიმართულება და ეფექტურობა,
- რისკები და გარანტიები.

ეს ყველა მხარე უნდა გაირჩეს ცალ-ცალკე, რათა უფრო ფართო შეხედულება გვქონდეს თითოეულზე.

რას წარმოადგენს რეზიუმე?

რეზიუმე ეს არის სარეკლამო დოკუმენტი. მასში მოცემულია მთელი ბიზნეს-გეგმის ძირითადი ასპექტები.

ინვესტორთა უმრავლესობა ამ დოკუმენტს საკმაო მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო ინვესტორისგან ბიზნესმენს აინტერესებს გაივოს: კრედიტის ოდენობა, დაფარვის სავარაუდო ვადები, გარანტიები და ასე შემდეგ.

ბიზნეს-გეგმის შემდეგი შემადგენლი ნაწილია **საწარმოს აღწერა**. ამ ნაწილში აღიწერება: ზოგადი ცნობები საწარმოს და მისი ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. მართვის სტრუქტურა და კადრები, საქმიანობის მიმართულებები, პროდუქცია, მიღწევები და პერსპექტივები, კავშირები.

შემდეგ საქმე შეეხება **პროდუქციისა და მომსახურების იმ სახეების აღწერას**, რომლის შეთავაზებასაც აპირებს ბიზნესმენი ბაზრისათვის. აქ საჭიროა ტექნიკოლოგიების იმ ასპექტების მითითება, რომლებიც აუცილებელია თქვენი პროდუქტისა თუ მომსახურების საწარმოებლად. ამასთანავე აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ უპირატესობაზე, რომლითაც თქვენი პროდუქცია თუ მომსახურება გამოირჩევა სხვებისაგან: ახალი ტექნიკოლოგიით, საქონლის ან მომსახურების ხარისხით, დაბალი თვითდღირებულებით და ა.შ. ამ სფეროში უნდა აღწეროთ თუ გააჩნიათ პატენტები ან საავტორო უფლებები გამოგონებაზე ან დაასახელეთ სხვა მიზეზები, რომელთაც შეუძლიათ თქვენს ბაზარზე კონკურენტის შემოჭრას შეეწინააღმდეგოს. ასეთი შეიძლება იყოს ექსკლუზიური უფლებების

ქონა ან სავაჭრო მარკა.

იმისათვის, რომ პროდუქციის (მომსახურების) გასაღება მოხდეს ხარისხიანად აუცილებელი საფეხურია – **მარკეტინგი და პროდუქციის/მომსახურების გასაღება**. ამ დროს უნდა დასაბუთდეს, თუ რატომ იყოდიან კლიენტები თქვენ პროდუქციას ან ისარგებლებენ თქვენი მომსახურებით. ინგესტორს ამ სფეროში კარგად უნდა აუხსნათ თქვენი მარკეტინგული გეგმის ძირითადი ელემენტები: ფასწარმოქმნა, საქონლის გავრცელების სქემა, გაყიდვების სტიმულირების მეთოდები, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: მყიდველი თუ მომხმარებელი ისე უნდა დააკმაყოფილოთ, რომ მას გაუჩნდეს სურვილი კვლავ ისარგებლოს თქვენი პროდუქციით თუ მომსახურებით.

იმისათვის, რომ წარმატებული ბიზნესი გქონდეთ, აუცილებელია აღიწეროს თქვენი ფირმის ყველა საწარმოო და სხვა სამუშაო პროცესები. აქ უნდა განვიხილოთ შენობა-ნაგებობებთან, აღჭურ-ვილობასთან, პერსონალთან დაკავშირებული საკითხები.

ასევე საჭიროა საორგანიზაციო გეგმის შედგენა, რომელიც მოიცავს:

- როგორ არის ორგანიზებული მმართველი გუნდი და ახსნილია მისი ყოველი წევრის უუნებია.

- ვინაა პროექტის ხელმძღვანელი და წამყვანი სპეციალისტები.

- როგორია სამართლებრივი უზრუნველყოფა, არსებული და შესაძლო მსარდაჭერა და შეღავთები.

ფინანსური გეგმის ნაწილში ბიზნესმენმა უნდა წარმოადგინოს პარტნიორების მონაცემები, მათი შესაძლებლობები და გამოცდილებები. მითითებული უნდა იყოს მმართველი გუნდის ხელფასი, პრემია, წილობრივი მონაწილეობა მოგებაში. ფინანსურ გეგმაში უნდა აღწეროს ბიზნესმენმა პროდუქციის წარმოებაზე გაწეული პირდაპირი (ცვალებადი) და მუდმივი ხარჯები. პროდუქციის თვითღირებულების კალკულაცია, პროდუქციის რეალიზაციის ხარჯთაღრიცხვა, ფინანსირების მოთხოვნილება და წყარო, შემოსავლებისა და გასავლების ცხრილი, ნალი ფულის ნაკადი, საპროგნოზო ბალანსი.

ყველაფერი ზემოთ თქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკგნა,

რომ ბიზნესში მენეჯმენტის სწორი წარმართვისათვის აუცილებელია ყველა ზემოთ მოყვანილი საკითხების გათვალისწინება და საქმიანი წინადადებების შესრულება.

1.3 ბიზნეს-ციკლები და ბიზნეს მოტივაცია

მაინც რა შთააგონებს ან აიძულებს ადამიანებს შექმნან საკუთარი ბიზნესი? მიზეზი შეიძლება სრულიად სხვადასხვა იყოს. მაგალითად, ადამიანებს უწნდებათ სურვილი იყონ დამოუკიდებელნი, გაითავისონ პასუხისმგებლობა საკუთარი შრომისათვის, გაანალიზონ ის შედეგები, რაც დამოუკიდებელმა მუშაობამ შეიძლება მოიტანოს. ზოგისთვის მთავარი მიზანია მიაღწიოს წარმატებას და გახდეს ცნობილი მეწარმე. ბევრს კლავს სურვილი აკონტროლოს საკუთარი კარიერა, აიღოს მეტი, ვიდრე მანამდე ჰქონდა ან, უბრალოდ დაკავდეს საყვარელი საქმით.

ახალი ბიზნეს-საქმიანობის დაწყება საშუალებას გაძლევთ იპოვოთ ბალანსი სამსახურსა და ცხოვრებისეულ პრიორიტეტებს შორის. საკუთარი ბიზნესი, ასევე, ხელს უწყობს ადამიანებს უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტაში. მაგალითად, როდესაც ადამიანი გადადის სხვა ქალაქში ან ქვეყნაში და მისთვის როულია დამსაქმებლის მოთხოვნებზე ადაპტირება. კერძო ბიზნესი, ასევე, მიმზიდველია საპენსიო ასაკის ადამიანებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ძალა და სურვილი აქტიური ცხოვრების წესის გაგრძელებისა, მაგრამ დამსაქმებელს სურს მათთან კონტრაქტის გაწყვეტა. ადამიანებს, რომლებიც ბევრს მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყანაში, შეუძლიათ შეადარონ ბიზნესის სახეობები ერთმნიერს და შექმნან ახალი ბაზარი თავისთ ქვეყანაში, რომელიც მომხმარებელს დააინტერესებს და დადებითად განაწყობს მისდამი.

მცირე ბიზნესის და მასთან დაკავშირებული ეტაპების გავლით თქვენ ემზადებით მართოთ საკუთარი საქმიანობა. სტადიები კი ციკლურია და როგორც ქვემოთაა მოცემული, ოთხ ფაზას მოიცავს. ეს ციკლები მუდმივად მეორდება ნებისმიერი კომპანიის მთელი თავისი არსებობის მანძილზე, მიუხედავად იმისა ვითარდება თუ არა ის.

ეს ციკლები შემდეგნაირია:

1. იდეა,
2. კვლევები-დაარსება-მიზნები,
3. გეგმები-გათვლები,
4. რეალიზაციის გაზრდა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეწარმეს სჭირდება შეისწავლოს ბიზნეს-იდეების გენერირება და შეარჩიოს ის გეგმა, რომელიც აუცილებლად მოუტანს წარმატებას და საფუძველს შექმნის ახალი საქმიანობის წამოწყებისათვის. შემდეგ აუცილებელია რეალობაში შემოწმდეს თქვენი ბიზნეს-იდეის სიცოცხლის-უნარიანობა. სანამ ჩაფიქრებული იდეისთვის ფრთხების შესხმას დაიწყებდეთ, უნდა დარწმუნდეთ შემდეგში:

1. ადამიანებს სამდვილად სჭირდებათ ის, რის შეთავაზებასაც აპირებთ.

2. თქვენ გეყოლებათ საქმარისი რაოდენობის მომხმარებელი, რათა ბიზნესში მოგება მოგიტანოთ.

შემდეგ ეტაპზე დგება ცხრილები, იქმნება გაყიდვების გეგმა. საჭიროა მუდმივი მუშაობა ნაწარმის, მომსახურებისა და მართვის პროცესების გასაუმჯობესებლად. წარმატებული ბიზნესი იქმნება არა ახალი მომხმარებლებით, არამედ მუდმივი და კმაყოფილი კლიენტებით. როგორც მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი თეორეტიკოსი, მეცნიერი და პუბლიცისტი პიტერ ლრაკერი (1909–2005) აღნიშნავდა: „ბიზნესის დანიშნულება ბევრად სცდება სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს. ის უნდა გამომდინარეობდეს საზოგადოების მოთხოვნებიდან, რადგან ის თვითონაა საზოგადოების ელემენტი. არსებობს ბიზნესის ერთადერთი და მთავარი დანიშნულება - შექმნას მომხმარებელი“.

მცირე ბიზნეს აქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ყოველთვის აუცილებელია მათი განხილვა. კერძოდ, დადებით მხარეში შეიძლება ვიგულისხმოთ დამოუკიდებლობა, მუშაობის სასურველი რეჟიმი, საკუთარი საქმით გატაცება, როდესაც შენი თავის უფროსი მხოლოდ შენ ხარ, შეუზღუდაობა ფინასურ საქმიანობაში, მუშაობის პროცესისაგან კმაყოფილების მიღება, თვითდაჯერებისა და ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავება, საოფისე პოლიტიკისა და მენეჯერების არარსებობა.

რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, აქ აღსანიშნავია იზოლაცია (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, როდესაც დამოუკიდებლად, მარტოს გიწევს მუშაობა), ფინანსური არასტაბილურობა, გადაღლა, სამედიცინო დაზღვევის არარსებობა, დამხმარე სერვისების ან პერსონალის არარსებობა.

განსაზღვრულ, რომელი დადგითი და უარყოფითი მხარეები გახსაითოებთ თქვენ. შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება. რომელი ქვემოთ მოყვანილი პუნქტებია მნიშვნელოვანი თქვენთვის? ხაზი გაუსვით მათ, რომლებიც თქვენ არ გეხებათ. რას დაამატებდით? რომელი მათგანი გამოვიდა მეტი - პლიუსი თუ მინუსი?

დადგითი:

- დამოუკიდებლობა,
- მოქნილობა,
- ვაკეთო ის, რაც მომწონს,
- საკუთარი თავის უფროსი,
- არ არსებობს შეზღუდვა ფინანსურ ოპერაციებში,
- სამსახური მანიშვებს კამყოფილებას,
- თავდაჯერებულობისა და უნარ-ჩვევების განვითარება,
- საოფისე პოლიტიკისა და მენეჯერების არარსებობა.

უარყოფითი:

- იზოლაცია,
- ფინანსური არასტაბილურობა,
- ადვილად ვერ წყდები სამუშაოს - არ გაქვს სამედიცინო დაზღვევა,

- არ გაქვთ დამხმარე რესურსები და არ გყავთ პერსონალი.

ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია დროის შეიძლება – როდის დავიწყოთ იგი. საკუთარი ბიზნესის დაწყება ყოველთვის შეიძლება, თუნდაც პენსიაზე გასვლის დადგომის პერიოდისათვის, მთავარია თქვენ თავს თვლიდეთ მომზადებულად. მოუხედავად იმისა, ბიზნეს-იდეის გაჩენის მომენტისათვის სად მუშაობთ, რა საქმიანობას ეწევით და მოგწონთ თუ არა ეს საქმიანობა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევაში საკუთარ ბიზნესს იწყებენ: სასწავლებელში სწავლის ან მისი დასრულების შემდეგ პერიოდში, ან სხვა სამუშაოზე მუშაობის დროს.

მცირე ბიზნესის დაწყების შემდეგ მას აქვს ეტაპები; ბიზნესის დაწყების დროის განსაზღვრისას გაითვალისწინეთ, რომ ბიზნესსაც, ისე როგორც ადამიანს, აქვს თავისი ცხოვრებისეული ციკლი და კარგი იქნება თქვენი ცხოვრების ციკლი რამდენადმე ემთხვეოდეს თქვენი ბიზნესის ციკლს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ბიზნესი გაივლის შემდეგ სტადიებს: დაბადება – ბაგშობა – ყრმობა – ორგანიზაციის სიმწიფე – დაბერება – განახლება.

განვიხილოთ ცალ-ცალკე.

I ეტაპი

ბიზნესის დაბადება მოიცავს: ბიზნეს-იდეის დაბადებას; ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლების შექმნას; საქონლისა და მოშსახურების ახალი მყიდველის გამოჩენას და მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; თავისუფალი საბაზრო ნიშის დაკავებას; ისეთი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა წარმატების რწმენა, რისკისადმი მზადყოფნა და მაღალი შრომისუნარისანობა; თანამშრომელთა მცირე რაოდენობას, რომელთაც ახასიათებთ გაბედული, ფხანი მოქმედება დევიზით: «მაღალი შედეგები, ნაკლები დანახარჯებით».

II ეტაპი

ბიზნესში ბაგშობა ემთხვევა მმართველობითი გამოცდილების დაგროვებას, მმართველობითი გამოცდილების დაბალი დონისა და არაკომპეტენტურობის შეუსაბამობას ბიზნესის ზრდის პოტენციალთან. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ მცირე ბიზნესის 90%, ამ დროს, კრაზს განიცდის. უნდა ეცადოთ, წარმატებას მიაღწიოთ მოკლევადიან პერსპექტივაში და შექმნათ მომავალი სწრაფი ზრდის საფუძვლები.

III ეტაპი

ყრმობა ის პერიოდია, როდესაც ხორციელდება კომპლექსური მენეჯმენტი თანამოაზრეთა მცირე გუნდით და როდესაც ხდება დაგეგმვის, ფინანსირების პროგნოზირების მარტივი ფორმების გამოყენებით დიფერენცირებულ მენეჯმენტზე გადასვლა. მნიშვნელოვანი დამყარებულ რისკს ცვლის სპეციალისტების გაანგარიშება. ამ პერიოდის დამახასიათებელ სპეციალისტები თავისებურებას წარმოადგენს უკმაყოფილების გაჩენა თანამოაზრეთა გუნდში იმის გამო, რომ ვიწრო, სპეციალისტები ცოდნის მქონე ძველი კოლექტივის

გვერდით მოდის ახალი კადრები. ამ უთანხმოების დასაძლევად სასურველია ბიზნესის დამფუძნებელმა თავის თავზე აიღოს მისი უშუალო მართვა.

IV ეტაპი

სიმწიფის პერიოდი უშუალოდ უკავშირდება ბიზნესის ახალ სფეროში გასვლას, გაფართოებას, გადაიარაღებას და სხვა. გაითვალისწინეთ, ამ პერიოდს, არც თუ იშვიათად, ახასიათებს წინსვლისაგან გამოწვეული თვითქმაყოფილება. ფრთხილად! მიღწეულმა წარმატებებმა თავბრუ არ დაგახვიოთ.

V ეტაპი

დაბერების სტადიას ახასიათებს ბიზნესის მართვის სფეროში ბიუროკრატიული ელემენტების გაჩენა, სიახლეების დანერგვისადმი ნაკლები ინტერესი, ნაკლები აქტიურობა. ბიზნესის მფლობელმა მაღლე უნდა შენიშნოს ასეთი მოვლენები და დაიწყოს გადარჩენისათვის ბრძოლა.

VI ეტაპი

განახლება ხდება მენეჯერების ახალი გუნდის მოწვევით. ისინი იმის საფუძველს ქმნიან, რომ მათი სპეციფიური ცოდნითა და გამოცდილებით დამუშავდეს და განხორციელდეს შინაგანი გადაჯგუფების პროგრამები.

ბიზნესის დაწყების დროის განსაზღვრისას მეტად მნიშვნელოვანია, აირჩიოთ: ბიზნესი დაიწყოთ ნახევარი თუ სრული სამუშაო დროით, ანუ სხვანაირად, გაარკვიოთ, რა უფრო უმჯობესია თქვენი მიზნის მიღწევისათვის – ბიზნესს დაუთმოთ ნახევარი სამუშაო დღე, თუ მის წამოწყებასა და განვითარებას მოანდომოთ მთელი დრო.

1.4 მცირე ბიზნესში მეწარმის როლი და მისი უნარ-ჩვევები

მაინც რა თვისებები უნდა ჰქონდეს მომავალ მეწარმეს იმისათვის, რომ წარმატებული ბიზნესი შექმნას?

ა) ადამიანი ბუნებით უნდა იყოს ბიზნესმენი - იგრძნოს საჭირო მომენტი და შესაძლებლობები, გარისკოს, მოახდინოს

იდეების გენერირება, ჰქონდეს შინაგანი მოტივაცია განვითარებისა და წარმატებებისათვის, მუდამ იყოს სიახლეების ძიებაში.

ბ) აუცილებელია იყოს „მმართველი“. შეეძლოს ადამიანების, საჭირო ინფორმაციისა და პროცესების მართვა.

გ) უმნიშვნელოვანებისა იყოს პროფესიონალი იმ სფეროში, სადაც აპირებს ბიზნესის წარმოებას. ეს დაეხმარება საქმის მაღალ დონეზე შესრულებაში. წარმატებული ბიზნესმენი დასაწყისში აუცილებლად დაბალანსებს ზემოთ მოყვანილ სამ თვისებას. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თქვენი წარმატებული ბიზნეს-საქმიანობის 50 პროცენტი პირდაპირ კავშირშია კონკრეტული სფეროს პროფესიონალურ დონეზე ცოდნაში. მიტომ, სასურველია ამასთან დაკავშირებული ყველა ხარვეზის მაქსიმალურად სწრაფად აღმოფხვრა. უკვე დღეს თქვენ შეგიძლიათ დასვათ კითხვები და დაიწყოთ მუშაობა სასურველი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ან გაისხენოთ პროფესიონალები, რომლებიც თავიანთი რჩევებით დაგვეხმარებოდნენ ამ ბარიერების დაძლევაში.

ბიზნეს-საქმიანობის დაწყებისას მნიშვნელოვანია მოვახდინოთ თვითშეფასება: ბიზნესთან დამოკიდებულება, აუცილებელი უნარ-ჩვევები, გამოცდილება და თანადგომა.

მისათვის, რომ საკუთარი ბიზნესი დაიწყოთ უნდა იყოთ ოპტიმისტურად განწყობილი, უნდა გჯეროდეთ, რომ თქვენ ამას შეძლებთ. უნდა იყოთ დისციპლინირებული და შეგეძლოთ საკუთარი თავის მართვა. კარი გაუღევ ყველა იმ შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება დაგვეხმაროთ ბიზნესის განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა უნდა იყოთ თავდაჯერებულნი. ბევრს სტანჯავს არასრულფასოვნების კომპლექსი. მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც შეძლებენ ამ კომპლექსის დაძლევას და თავისი თავის პოვნას, დიდ წარმატებას აღწევნ. როგორც დოქტორი ნორმან ვინჩენტ პილი აღნიშნავს: „, თავდაჯერებულობას მივყავართ თვითრეალიზაციისკენ და წარმატებებისაკენ.“ ასევე ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ რაღაც ახალის შესასწავლად, რადგან ბიზნესი მუდმივად მოითხოვს ინოვაციურ გადაწყვეტილებებსა და ევოლუციას. უნდა ვისწავლოთ ფოკუსირება კონკრეტულ დავალებებსა და გეგმებზე, პროექტებზე, შექვეთებზე და არ მივატოვოთ ისინი შეა გზაზე.

საჭიროა განავითაროთ აუცილებელი უნარ-ჩვევები. მათი

გონივრული გამოყენება პირდაპირ გავლენას მოახდენს თქვენი ბიზნეს-საქმიანობის ფინანსურ წარმატებაზე – მიზნის დასახვა, დაგეგმვა, ბიუჯეტი, მოლაპარაკებების წარმართვა, სწორი მარკეტინგი, კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილება და ა.შ.

მნიშვნელოვანია გქონდეთ გამოცდილება ბიზნეს-საქმიანობისა, რომლის დაწყებასაც აპირებთ. აღიჭურვოთ შესაბამისი ცოდნით პროდუქტის წარმოებისა და მომსახურების სფეროში. როგორც „აღმოსავლეთ ინგლისის ცენტრი მეწარმეობის განვითარებისათვის“ გვირჩევს, თუ ბაზარზე თქვენთვის რაღაც ახალის გატანას აპირებთ, სასურველია მანამდე რაიმე მცირე გამოცდილება დააგროვოთ ამ სფეროში. მაგალითად, შეიძლება მცირე ხნით იმ კომპანიასთან მუშაობა, ვისაც მსგავსი გამოცდილება უკვე აქვს ან შეგიძლიათ იგივე ნაწარმი კონკურენტი კომპანიებისაგან შეიძინოთ. თუმცა არ არის საჭირო ყველაფრის ერთბაშად შეძენა. სასურველია დააკირდეთ, იკოსხოთ, შეისწავლოთ. ეს დაგეხმარებათ კონკრეტული საქმიანობის სპეციფიკის გარკვევაში და უფრო უკეთესადაც მოემზადებით.

აუცილებელი პირობაა თქვენი სამუშაო ჯგუფის მოტივირების უნარი. შეეცადეთ მოიძიოთ ადამიანების მართვის ეფექტური მეთოდები. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ გახდეთ მოხალისე და იმუშაოთ ორგანიზაციაში, თქვენი შვილების სკოლაში დროებით დაიკავოთ მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა ან სულაც რაიმე ორგანიზაციის წარმომადგენელი იყოთ. ამის მთავარი მიზანი კი იქნება ისწავლოთ კონკრეტული ადამიანების მოტივირება და მათგან იმ სამუშაოს მიღება, რომელიც თქვენი კომპანიის განვითარებას წაადგება.

ბიზნეს-საქმიანობის დაწყებისას მნიშვნელოვანია თანადგომაზე ფიქრი. აუცილებელია ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელიც მორალურად დაგიდგებათ გვერდში, ვისაც გაუზიარებდით თქვენ სიხარულსა და პრობლემებს დაკაგშირებულს ბიზნესთან. ასეთი ადამიანი კი შეიძლება იყოს ნათესავი, ნაცნობი, მეგობარი ან უბრალოდ თანამოაზრე.

სასურველია ფინანსური მხარდაჭერის მოძიება პირველი 6 თვის განმავლობაში. „აღმოსავლეთ ინგლისის ცენტრი მეწარმეობის განვითარებისათვის“ გვირჩევს, რომ სანამ ბიზნესს დაგიწყებთ,

საჭიროა განვსაზღვროთ ე.წ. „გადარჩენის ბიუჯეტი“, ანუ შევიმუშაოთ ფინანსური გასავლის გეგმა ყოველი თვის განმავლობაში. მაგალითად: კვება, სატელეფონო ხარჯები, ტანსაცმელი, კომუნალური გადასახადები, ტრანსპორტი და სხვ. შემდეგ კი ეს ყოველთვიური რაოდენობა გავამრავლოთ ექვს თვეზე. სწორედ ეს ხარჯი უნდა გაითვალისწინოთ დამატებით ბიზნეს-საქმიანობის დაწყებამდე.

პირველი ექვსი თვის განმავლობაში მომხმარებლის მოზიდვა ძალიან ძნელია, ამაზე ბევრი მუშაობაა საჭირო. იმისათვის რომ სასოწარკვეთილი ნაბიჯების გადადგმა თავიდან აიცილოთ, სასურველია ზემოთ ნახსენები თანხა გქონდეთ. შეგიძლიათ შეაგროვოთ, სთხოვოთ ახლობლებს, ნაცნობებს ან საათობრივად იმუშაოთ რაიმე დაწესებულებაში. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოთ მზად, რომ გადადგებული გქონდეთ მინიმალური რაოდენობის თანხა ბიზნეს-საქმიანობის დაწყების მომენტისათვის.

უნდა გაითვალისწინოთ ოუ ვის ან სად მიმართავთ პროფესიონალური რჩევების მისაღებად ბიზნესის წარმოებასა და განვითარებასთან დაკავშირებით. ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ბაზრის კვლევა, წარმოება, ბიზნეს-სტრატეგიის შერჩევა, პერსონალის მართვა და სხვ.

II თავი. ბიზნეს-საქმიანობის დაწყების ვარიანტები

2.1 მცირე ბიზნესი და მარკეტინგის ელემენტები

ამ თავში და კერძოდ ამ ქვეთაგში განვიხილოთ მაგალითები როგორ უნდა დაიწყოთ ბიზნეს საქმიანობა და მიაღწიოთ წარმატებას.

ბიზნესის წარმოების დროს, ბიზმესმენის წინაშე ყოველთვის დგება ის მომენტი, რომ, როგორ გაუკეთონ თავიანთ მართლაც საუკეთესო პროდუქტსა თუ სერვისს ეფექტური მარკეტინგი, როგორ იპოვონ ყველაზე ეფექტური, ნაკლებ დანახარჯიანი გზა იმისათვის, რომ მოხიბლონ, შეინარჩუნონ და გაზარდონ მომზმარებელთა ბაზა.

ეს არის საერთო გამოწვევა ბევრი მცირე ბიზნესის მფლობელისათვის. ისინი აბანდებენ დროსა და ფულს რეკლამაში, მაგრამ, არ აქვთ საერთო მარკეტინგული სტრატეგია, თუ როგორ გარდაქმნან ინიციატივები გაყიდვებში და შეინარჩუნონ მომზმარებლები.

არსებობს ერთი მარტივი ციკლი, რომელიც საშუალებას მოგცემთ, ადვილად ჩამოაყალიბოთ თქვენთვის საჭირო მარკეტინგული გეგმა. ყოველგვარი ძვირადირებული წიგნების, სემინარების, ჩახლართული საგარჯიშოებისა და სირთულეების გარეშე. არსებობს შვიდი მარტივი ნაბიჯი, რომელიც შექმნის საფუძველს თქვენი გაყიდვებისა და მარკეტინგის განსაკითარებლად.

მცირე ბიზნესის მფლობელები ყოველთვის ოცნებობენ, რომ დაიჭირონ საუკეთესო ბალანსი წარმატებულ ბიზნესსა და საყვარელ საქმეებზე დროის ხარჯას შორის. ეს 7 ნაბიჯი სპეციალურად შექმნილია იმ მიზნით, რომ დაეხმაროს მცირე ბიზნესის მფლობელებს ამ ოცნების რეალიზაციაში. ამ პლატფორმაზე დაფუძნებული მარკეტინგული გეგმის შემუშავება დაგეხმარებათ, თავიდან აღმოაჩინოთ საუთარი ბიზნესის ფლობის სიამოვნება და მოგცემთ საშუალებას, მეტი დრო დაუთმოთ თქვენ ცხოვრებაში სხვა მნიშვნელოვან ნაწილებსაც. არ აქვს მნიშვნელობა, რას აკეთებ. რისი მიღწევაც გინდა, ის შენ ხელთაა:

1. მომხმარებლის მოზიდვა-დაინტერესება;
2. ბევრი საკონტაქტო ინფორმაცია;
3. დასახული პერსპექტივების გაზრდა;
4. მიმოქცევის გაზრდა;
5. კმაყოფილი მომხმარებელი;
6. მეტი რეალიზაცია;
7. მოიზიდე რეფერალები.

1) მომხმარებლის მოზიდვა-დაინტერესება

დღეს მომხმარებლები გახდნენ რეკლამის მიმართ მეტად მდგრადები: ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სატელევიზიო რეკლამებს, ბლოკავენ უცნობის წერილებს, არც უყურებენ ბანერებს.

მხოლოდ დაფინანსებული სარეკლამო კამპანია ვეღარ მოიზიდავს ტრაფიკს თქვენ ვებსაიტზე. თქვენ მოგიწევთ გამოიშვაოთ ის ღირებული კონვენტით - (ვებგვერდზე საინტერესო ინფორმაციით).

ზოგი კონტენტი, როგორიცაა ანგარიშები და ვებინარები, ნამდვილად ხელს უწყობს ინიციატივების გენერაციის პროცესს. კონტენტის იდეები შეიძლება იყოს: ფასდაკლების კუპონები, ანგარიშები, ბლოგის პოსტები, ვებინარები, ვიდეოები, გამოცდილებები.

მაგალითად, თუ თქვენი ბიზნესის ძირითადი მიმართულება ინტერიერის დიზანის პროგრამის გაყიდვაა, მაშინ უნდა დაწეროთ ანგარიში „10 ტრიუკი სივრცის უკეთესი დაგეგმვისათვის“, ან ბლოგის პოსტი: “ 2012 წლისთვის ინტერიერის დიზაინში მოდური ფერები“. ორივე შემთხვევაში თქვენ შექმნით ღირებულ ინფორმაციას თქვენი ვებსაიტისა თუ ბლოგისათვის.

მას შემდეგ, რაც შექმნით კონტენტს, საჭიროა, ხალხმა იპოვოს ის. აი რამდენიმე იდეა, რთაც შეგიძლიათ დაიწყოთ.

გახდი ადვილად პონადი საძიებო სისტემებში. SEO- ოპტიმიზაცია საძიებო სისტემებისათვის არის პროცესი, რის საშუალებითაც შენი კონტენტი და ვებსაიტი ხდება უფრო ადვილად მოძიებადი საძიებო სისტემებში, როგორიცაა Google, Bing, Ask.com, Yahoo, Yandex. საძიებო სისტემებში მაღალი მაჩვნებლები ნიშნავს, რომ

თქვენ გნახავთ მეტი ხალხი - ეს კი გაზრდის ტრაფიკს თქვენს ვებგვერდზე.

მიიღე შედეგები PPC (Pay Per Click) ტიპის რეკლამებით. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი გზა, გაუკეთო რეკლამა შენ ვებგვერდს და გადაიხადო მხოლოდ რეალურ ნახვებში. ყველაზე კარგად კი ეს სისტემა მუშაობს ოოგლე დჭორდს და აცემოკ დს შემთხვევაში.

Google AdWords არის ყველაზე მარტივი და ყველასთვის ცნობილი პალტფორმა Pay Per Click რეკლამებისათვის. ძირითადად შენ აკეთებ ფსონებს იმ სიტყვებზე, რომლებიც დაკავშირებულია შენს ბიზნესთან და ამისთვის უხდი Google-ს განსაზღვრულ თანხას ყოველთვის, როცა ვინმე აკლიკებს (აწყაპუნებს ბმულზე) შენს განცხადებას. რაც უფრო პოპულარულია ეს სიტყვა, მით უფრო მაღალია ფასი ერთ კლიკზე.

Facebook Ads – Facebook არის Google-ს შემდეგ მეორე ადგილზე მსოფლიოში მომზმარებლების რაოდენობით დღეში. თუ Google გთავაზობთ აირჩიოთ სიტყვები, რასაც ხალხი ეძებს, Facebook გთავაზობთ, აირჩიოთ ხალხი, რა ტიპის აუდიტორიას გსურთ აჩვენოთ თქვენი რეკლამა - მაგალითად იოგას ენთუზიასტებს თუ დედებს, რამე კონკრეტული რეგიონის (ZIP კოდის) მიხედვით.

განვითარეთ სოციალური.

არ უნდა შეგაშინოს სოციალურმა მედიამ. მომზმარებელთა 75% იყენებს სოციალურ მედიას, რომ გაარკვიოს რაიმე პროდუქტებისა და სერვისების შესახებ. გააკეთეთ ბლოგი, სადაც ილაპარაკებთ თქვენი ახალი პროდუქტების შეახებ, ინდუსტრიის ან კომპანიის სიახლეებზე. გაუკეთეთ Twitter-ს ფოლოვერებს ან მათ, ვისაც თქვენი გვერდი მოსწონს აცემოკ-ზე, ექსკლუზიური და სპეციალური შეთავაზებები. ყურადღება დაუთმეთ თქვენ ბიზნეს კონტაქტებს LinkedIn-ზე.

2) ბევრი საკონტაქტო ინფორმაცია

ახლა, როცა შენ ხიბლავ ხალხს კარგი და ლირებული კონტენტით, გჭირდება, რომ მოიპოვო მათი საკონტაქტო ინფორმაცია. გებ-ფორმები არის შესანიშნავი საშუალება ამისათვის,

მაგრამ სინამდვილეში მომხმარებელთა უმრავლესობა არასდროს ავსებს ფორმებს, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს რამდენიმე მიზეზით: კონტენტი არ ქმნის ამის მოთხოვნილებას.

ვიზიტორებმა თავისი პირადი ინფორმაცია რომ დატოვონ, ისინი ამისთვის საკმარისად მოტივირებულები უნდა იყვნენ. მათ უნდა აინტერესებისგან გამოიყოფონ კონტენტი. ამისათვის კი ის უნდა იყოს ინფორმატიული და ორიგინალური. სუსტი ან უბრალოდ გადმოკირებული სტატიები კარგად არ იმუშავებას. ბევრ საიტზე არის სიახლეების გამოწერის ფორმა, მაგრამ ეს მეთოდი ნელ-ნელა კარგავს პოპულარობას, რადგან ხალხი ცდილობს, თავიდან აირიდოს ზედმეტი იმეილების მიღება ისედაც გადავსცულ საფოსტო ფუთებში.

დარწმუნდი, რომ აღწერა, რომელსაც კონტენტს ურთავ, ახდენს ვიზიტორების მოტივაციას მოქმედებისკენ. მაგალითად, გამოიყენე კარგი სათაურები და მარტივად ახსენი ამ კონტენტის სარგებლიანობა. შენ ითხოვ ბევრ ინფორმაციას.

მომხმარებლები სულ უფრო და უფრო ცდილობენ დაიცვან თავიანთი პირადი ინფორმაცია. შესაბებული ფორმების რაოდენობის მაქსიმალურობით რამდენადაც შესაძლებელია, შეამცირეთ აუცილებლად შესავსები ველების რაოდენობა. როგორც წესი, სახელი და იმეილი საკმარისია. თუ სხვა ბიზნესები არიან შენი მომხმარებლები, მაშინ შეიძლება დაამატოთ კომპანიის ველიც. ერთი კარგი წესი არსებობს: რაც უფრო მეტი ინფორმაციას ითხოვ, მთ უფრო მეტი ღირებულება უნდა მაიწოდო. მერცე შეგიძლია ყოველთვის მოითხოვ მომხმარებლებისგან მეტი ინფორმაცია, როცა თქვენი ურთიერთობები გაიზრდება.

არ გენდობიან

თუ ვიზიტორი არ ავსებს ფორმას თქვენ საიტზე, შეიძლება იყოს გამოწვეული იმით, რომ თქვენი საიტი არ გამოიყურება დაამაჯერებლად. როცა პოტენციური მყიდველი ათვალიერებს თქვენს საიტს, მან უნდა იგრძნოს, რომ თქვენ სთაგაზობთ ექსპერტიზის კომფორტულ დონეს. უფრო ნაკლები ნიშნავს, რომ ისინი გააგრძელებენ თვალიერებას, სანამ არ იპოვიან ვინმეს, ვინც ამ ექსპერტიზის შეგრძნებას დაუკმაყოფილებს. ექსპერტიზის დემონსტრირება მარტივია კლიენტთა შეფასებებითა (testimonials) და გამოცდილების (case studies) განთავსებით საიტზე, ჯილდოების

ხსენებით, რომლებიც აგიღიათ, სერტიფიცირებისა და კონფიდენციალურობის პოლიტიკით.

3) დასახული პერსონალიზების გაზრდა

სიმართლეა, რომ რეკლამის ნახვისთანავე მომხმარებლები არ ყიდულობენ პროდუქტებს. ისინი ყიდულობენ მაშინ, როცა არიან მზად ყიდვისათვის. რომ მივწვდეთ ასეთ მყიდველებს, საჭიროა ნდობის მუდმივი განვითარება. მცირე ბიზნესების კარგად ცნობილი პრობლემა ის არის, რომ არ იყენებენ თავიანთ კონტაქტებს, ისე, როგორც საჭიროა. აგრამ, თანმიმდევრულ, ღირებულ მესიჯებს შეუძლიათ ნამდვილად გაზარდონ კონკურენტუნარიანობა, როგორც კი დაიწყებთ ამ პროცესს კარგი, ნათელი კომუნიკაციური გეგმით.

შეარჩიე კომუნიკაციის სისტერ და შეუქმნი სწორი მოლოდინი მომხმარებლებს, რომლებიც გაწვდიან თავიანთ ინფორმაციას, უნდათ, რომ მიიღონ თქვენგან შეტყობინებები, მაგრამ არ სურთ შეწუხდნენ ძალიან ხშირი კომუნიკაციისაგან. შეიმუშავეთ მომხმარებლების სურვილებსა და თქვენს ბიზნესზე მორგებული დროის გრაფიკი თქვენი სარეკლამო კამპანიებისათვის. პირველ პლანზე დააყენეთ, რა თქმა უნდა მომხმარებლების ინტერესები. მაგალითად, როგორ ავირჩიოთ წარწერა: „გამოიწერეთ ჩვენი ყოველთვიური სიახლეები “თუ „მიიღოთ ყოველკვირეული სპეციალური შეთავაზებები“ . თუ თქვენ გაქვთ ონლაინ მაღაზია, მაშინ სასურველია, დააგზავნოთ ყოველკვირეული იმეილები ახალი პროდუქტების ან დროში შეზღუდული ფასდაკლებების შესახებ. თუ თქვენ ხართ მამოტივირებელი მოსაუბრე, მაშინ ყოველთვიური ნიუსლეტერი (ინგ. **Newsletters** - საინფორმაციო ბიულეტენი) უკეთესი მიღომა იქნებოდა. ყოველდღიური იმეილები თითქმის ყოველთვის ცუდი იდეაა. კარგი თანმიმდევრობა იქნებოდა:

პირველი დღე - ნიუსლეტერი (საქმიანობის მიმოხილვა); მე-15 დღე - ფასდაკლების კუპონი; 30-ე დღე - ნიუსლეტერი; კომუნიკაციები გახადე პერსონალური გამოცდილების, აჩვენებს, რომ მომხმარებლები უკეთ პასუხობენ იმ კომუნიკაციებს, რომლებიც პერსონალურად მათთვისაა განკუთვნილი. შეაფასეთ თქვენი კომუნიკაციები -“იმეილი”, პირდაპირი “მეილინგის” საშუალებები თუ რაც იქნება - და განსაზღვრე, როგორ შეიძლება გამოიყენო ისინი პერსონალური შეტყობინებებისათვის. ყველაზე მარტივი იქნებოდა,

რომ გამოიყენოთ მომხმარებლების, სახელები ან ნაყიდი პროდუქტების მიხედვით შესთავაზოთ მათ შესაძლო საინტერესო პროდუქტები.

პერსონალური იმეილ-კომპანიები იღებენ 2-3-ჯერ მეტ კლიკებს და 2-ჯერ მეტ გაყიდვებს, ვიდრე სტანდარტული იმეილ-კომპანიები.

განვითარდი ავტომაციურებით - ნაძვილ პასუხებამდე!

რამდენჯერ გიყიდიათ რამე ინტერნეტით და მიგიდიათ ზოგადი იმეილი ავტომოპასუხისგან, მაგრამ ელოდით, რომ პერსონალური იქნებოდა? გააღმავა ამ იმეილმა თქვენი ურთიერთობები კომპანია-სთან თუ უბრალოდ გაგადიზიანათ?

ბევრი პატარა კომპანია აგზავნის მომენტალურ იმეილებს ავტომოპასუხების საშუალებით, რადგან ფიქრობენ, რომ ეს მომხმარებელს მოსწონს. მაგრამ, მომხმარებლები მათ კითხვას უბრალოდ დროის კარგვად აღიქვამენ. სულ სხვა, როცა იღებ სრულად პერსონალიზირებულ იმეილს, რომელიც ითვალისწინებს შენს მიერ ნაყიდი პროდუქტების თუ მომსახურების ისტორიას და ინტერესებს. ამაზონი ამსა აკეთებს მუდმივად, შენც შეგიძლია. შეაფასეთ განსხვავება ზოგად მარტივ მესიჯსა და ასეთ შეტყობინებას შორის: „გამარჯობა, გვანცა. მაღლობა, რომ იყიდე ჩვენთან ლურჯი სმარტფონი. ჩვენ გვაქვს კიდევ რამდენიმე კარგი ნივთი, რომელიც შენ უნდა იცოდე და გამოგადგება შენი ტელეფონისათვის. ამასთან ერთად, ჩვენ გვაქვს ასევე ლურჯი აქსესუარები. როგორც ახალ მყიდველს, შენ შეგიძლია დაზოგო 15 % აქსესუარებზე მხოლოდ ამ კვირაში.“

4) მიმოქცევის გაზრდა ანუ საიტზე მყიდველის მოზიდვა

შეიძლება მოიზიდოთ საიტზე ვიზიტორები, მოიპოვოთ საკონტაქტო ინფორმაცია და მოამარავოთ ისინი შეთავაზებებით; მაგრამ, თუ ეს ყველაფერი გაყიდვებად არ გადაიქცა, საქმე ცუდად წავა. თქვენი ბიზნესის ტიპისა და მოწყობის მიხედვით, ალბათ იყენებთ ორ მეთოდს: ინტერნენტ მაღაზიის კალათა და გაყიდვების გუნდი. არ აქვს მნიშვნელობა, რა მეთოდს იყენებთ, არსებობს რამდენიმე სტრატეგია, რომელიც საშუალებას მოგცემთ, რეალიზაცია გაუკეთო მათ მთელ პოტენციალს.

კლუბზრდული საყიდლების კალათა.

ელექტრონული საყიდლების კალათა წარმოადგენს თქვენ ციფრულ მაღაზიას და ისეთივე მარტივი უნდა იყოს, როგორც ჩვეულებრივ მაღაზიაში სტუმრობა. ამასთანავე, მას აქვს რამდენიმე ისეთი უპირატესობა, რაც არ შეიძლება განხორციელდეს ჩვეულებრივ მაღაზიაში.

პირველ რიგში, ონლაინ კალათა საშუალებას იძლევა, შესთავაზოთ მომხმარებლებს დამატებით რამის ყიდვა ისე, რომ გაზარდოთ ტრანზაქციების რაოდენობა.

დამატებითი პროდუქტების შეთავაზებები ეფექტურია მაშინ, როცა დაკავ-შირებულია მიმდინარე შეკვეთასთან.

კარგი კალათა საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მარტივად დაამატონ ესა თუ ის პროდუქტი თავის შეკვეთას. ზოგიერთი კალათა საშუალებას იძლევა სულაც რამდენიმე სხვადასხვა დამატებითი შეთავაზება მიაწოდოთ მომხმარებელს.

ინტერნენტ გაყიდვების მეორე უპირატესობა არის ის, რომ შეგიძლიათ ანალიზი გაუკეთო, რას ათვალიერებდნენ მომხმარებლები საიტზე და შესთავაზოთ მათ, მოგვიანებით, ფასდაკლებები ამ პროდუქტებზე.

ჰერსონალური გაყიდვები ზოგიერთი კომპანიის შემთხვევაში, მომხმარებლებს უწევთ დაუკავშირდნენ გაყიდვების აგწნტს შესყიდვის გაეთებამდე. სამწუხაროდ, ასეთი ბიზნესების უმეტესობა კარგავს შემოსავალს, „იყიდე ან მოკვდი“ მენტალიტეტის გამო. თუ პირველი კავშირის დროს მომხმარებელი არ იყო მზად ყიდვისათვის, მაშინ ხშირად ასეთი კონტაქტები უჩინარდება შავ ხვრელებში, რადგან მათ არ აქცევენ საკმარის ყურადღებას და არ უთმობენ დროს. ასეთი დაკარგული შესაძლებლობები კი, დროის ხანგრძლივ პერიოდში, შემოსავლებში დიდ დანაკარგს იძლევა.

ეს რომ აიცილოთ, უნდა ზარდოთ ჰერსპექტივები და გაარკვიოთ, როდის იქნებიან მზად რომ გადაამისართოთ გაყიდვების მენეჯერთან. თქვენი გაყიდვების გუნდი არის ღირებული რესურსი, თქვენი ბიზნესის ზრდის მამოძრავებელი ძალა. უფრო ეფექტური იქნებით, თუ თქვენი CRM ავტომატურად აფასებს გარკვეულ ქცევებსა და ფაქტორებს, აკეთებს კარგი კონტაქტების იდენტიფიკაციას და ინტელიგენტურად ახდენს მათვის ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა ინდუსტრია

და გეოგრაფია.

დამატებით, ყოველდღიურად თქვენი გაყიდვების გუნდი აწყდება ათეულობით კომუნიკაციას. ზოგიერთი მათგანის ავტომატიზაცია თქვენს გუნდს ცოტაოდენ თავისუფალ დროს გამოუნახავს, იმისათვის, რომ ფოკუსირება გაუკეთოს უფრო დიდი მნიშვნელობის საუბრებს. მარტივი საპასუხო მესიჯების ავტომატიზაცია შეიძლება გამოყენებული იყოს, რათა ავტომატურად დაემატოს შენიშვნები ჩანაწერებში, გაიგზავნოს მადლობის წერილები ზარების შემდეგ, გაიგზავნოს ინფორმაციული იმეილები და ა.შ. საუკეთესო ნაწილი ის არის, რომ თქვენი გაყიდვების გუნდი იწყებს CRM-ის განხილვას, როგორც დასაფასებელი რესურსის და არა მხოლოდ დროის კარგვად ჩაითვლება.

5) ქმარებული მომხმარებელი

თუ ოდესმე დარჩენილხართ უკმაყოფილო მომსახურებით, რომელიც გაგიწიეს (და ვინ არ დარჩენილა), არ გაგიკვირდებათ; რომ კომპანიების უმეტესობა ხარჯავს უფრო მეტ დროს ახალი კლიენტების მოზიდვაზე, ვიდრე არსებულის შენარჩუნებაზე.

მომხმარებლების შენარჩუნება არ ნიშნავს იმას, რომ ამულო ისინი ისევ და ისევ იყიდონ, არამედ იგრძნონ ბედნიერება ამ მოქმედებით. ბენეფიტები ბევრია:

ლოიალობა და განმეორებადი ძიზნესი. ბედნიერი მყიდველები თქვენი ბრენდის „ადვოკატები“ ხდებიან, მოჰყავთ სხვა მყიდველები, გიცავნონ დისკუსიებში, მეგობრებს, კოლეგებსა და სოციალურ ქსელებში უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

მომსახურება როგორც მარკეტინგული სტრატეგია. კარგი მომსახურება არის უზარმაზარი კონკურენტული უპირატესობა. წარმოიდგინეთ სიტუაცია, როცა რამის შეკეთება გჭირდება ოფისში. კომპანია A-მ ერთი საათი დააგვიანა მოსვლა, დიდხანს ლაპარაკობდა მობილურ ტელეფონზე და ისე წავიდნენ, რომ არც კი უთქვამთ გააკეთეს თუ არა რამე. კომპანია B, მოვიდა დროულად, აგიხსნეს, რის გაკეთებას აპირებდნენ თქვენი პრობლემის გადასაწყვეტად და მოგცეს ფასდაკლების კუპონი შემდეგი სერვისისთვის. რომელ კომპანიას დაუკავშირდებით შემდეგში?

იგივე თბილი, მეგობრული მიღვომა უნდა გამოიყენო, რომ შეინარჩუნო მომხმარებლები ურთიერთობის მანძილზე. პოზიტიური

გამოცდილების საფუძველზე ბიზნესი იღებს რეფერალებს და განმეორებით მომხმარებლებს. კარგი სერვისი, როგორც სტრატეგია, უნდა იყოს პირველ ადგილზე და მთლიანად გამჯდარი კომპანიის ძირითად ფასეულობებში. ყველა პროცესი, ყველა გადაწყვეტილება, ყველა თანამშრომელი უნდა მოექცეს ამ სტრატეგიის ქვეშ იმისათვის, რომ იყოთ წარმატებული.

ჩააბარე, როგორც დაპირდი – ავტომატურად; მიუხედავად მთელი მონდომებისა, ბევრი პატარა კომპანია, პირდება სტრაფად მიტანას და მიაქვს დაგვიანებით იმ ელემტნტარული მაზეზების გამო, რომ მათ არ აქვთ საკმარისი დრო და ენერგია პროცესის დაგეგ- მილად განხორციელებისათვის. საბედნიეროდ, კარგი მომსახურების ბევრი ელემტნტი შეიძლება იყოს ავტომატიზირებული, რომელიც შეამცირებს ქაოსს და მომხმარებლებიც თავს ბედნიერად და კმაყოფილად იგრძნობენ.

მაგალითად, ერთ-ერთი დიდი გამოწვევა არის ის, რომ ბიზმესმენები ხშირად ასწავლიან მომხმარებელს, თუ როგორ გამოიყონონ წარმატებით მათი პროდუქტი. პერსონალური სწავლების მაგივრად, რომელიც იმართება ტელეფონით და მოითხოვს ორივე მხრიდან დიდ დროს, ავტომატიზაცია საშუალებას იძლევა შექმნათ ისეთი კამპანია, რომელიც მომხმარებელს ინფორმაციას მიაწვდის ავტომატურად გარკვეული დროის განმავლობაში.

ავტომატიზაციის მეორე უპირატესობა ისაა, რომ მარტივად შეძლებთ, გამოყოთ კმაყოფილი და უკმაყოფილო მომხმარებელი. მომხმარებლები, რომლებიც არიან კმაყოფილნი, გადამისამართდებიან ავტომატურად შთაბეჭდილებებისა და რეფერენალების მოზიდვების კამპანიაში, სანამ შეძლებთ, უკმაყოფილო მომხმარებლებს გაესაუბროთ პირადად.

6) მუტი ურთიერთობა მომხმარებელთან

ერთ-ერთი საინტერესო სტატისტიკური ფაქტი, რაც ბიზნესების მფლობელებმა იციან არის ის, რომ შენი მოგების 80% მოდის შენი მომხმარებლების 20%-დან. თუმცა, მაშინ როცა ცირკე ბიზნესის უმეტესობა ახალი კლიენტების მოზიდვაზე ფოკუსირდება, ძველი მომხმარებლები რჩებიან ყურადღების გარეშე.

როგორც გითხარით, მუდმივი კომუნიკაცია არსებითია მომხმარებლებთან ურთიერთობის დროს; და ეს არ უნდა დამთავრდეს მას

შემდეგ, რაც პირველი შესყიდვა განხორციელდება. მომხმარებელი, რომლელსაც უკვე ჰქონდა თქვენგან რამის ყიდვის კარგი გამოცდილება, აუცილებლად იფიქრებს თქვენ კომპანიაზე განმეორებით, როცა დასჭირდებათ იგივე ან მსგავსი სახის პროდუქტი, ან მომსახურება. გააგრძელეთ მათთან ურთიერთობა, მიაწოდეთ სიახლეები და პერსპექტივები, შეატყობინეთ ახალი პროდუქტებისა და სერვისების შესახებ.

სუკეთესო გზა ამისათვის არის ავტომატური, დაგეგმილი კომპანია, რომელიც განაწილებულია თანმიმდევრულად და აგრძელებს კომუნიკაციას მომხმარებლებთან იმეილების ან პირდაპირი საფოსტო დაგზავნების (Direct mail) ან სხვა ინტერნეტ მეთოდების საშუალებით. თქვენ შეგიძლიათ იგივე მეთოდებით განახორციელოთ ახალი პროდუქტების ან სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლებისთვის მათი წინა შესყიდვების ისტორიაზე დაყრდნობით, მხოლოდ იმ პირობით, რომ ყოველ ჯერზე რამე ღირებულს მიაწვდით.

7) მოზიდე რეფერალები

მას შემდეგ, რაც უკვე დაამყარეთ კარგი ურთიერთობა თქვენ მომხმარებლებთან, კარგ პოზიციაზე ხართ იმისათვის, რომ გადადგათ ბოლო ნაბიჯი და მოიზიდოთ რეფერალები (რეფერალი ეწოდება მომხმარებელს, რომელიც დარეგისტრირდა პროექტზე სხვა მომხმარებლის მოწვევით (სარეფერალო ლინკით). მომხმარებელს, რომელმაც მოიწვია პროექტზე რეფერალი, ეწოდება რეფერალი. თავის მხრივ რეფერერიც შეიძლება იყოს სხვა მომხმარებლის რეფერალი.) და კომპანიონები.

მოიზიდოთ მომხმარებლების რეფერალები ყოველთვის უფრო სასიამოვნოა; აკეთო ბიზნესი ისეთ ადამიანთან, ვინც შენმა ახლობელმა გაგაცნო. ამ იდეაზე დაყრდნობით, მომხმარებელთა რეფერალების პროგრამა არის ფანტასტიური გზა, მოპოვო კარგი კონტაქტები. კომპონენტი მომხმარებლებისგან კონტაქტების მიღება ძალიან – მარტივია უბრალოდ სთხოვეთ და არ დაგავიწყდეთ, დააჯილდოვოთ ისინი სამადლობელი საჩუქრით, კრედიტით ან ლამაზი სამადლობელი ბარათით.

მოზიდეთ კომპანიონები

კომპანიონები არიან მესამე მხარის წარმომადგენლები,

რომლების ყიდიან თქვენს პროდუქტებს თავიანთ საიტზე ან ემაილით ან სოციალური მედიის საშუალებით. ისინი წარმოადგენენ კარგ საშუალებას თქვენ ვებ-გვერდზე ტრაფიკის გაზრდისათვის. ამ პროგრამის საუკეთესო მხარე არის დ I - თქვენ იხდით მხოლოდ წარმადლობის მიხედვით. თქვენ დებთ ძალიან მცირე ინვესტიციას მარკეტინგულ რესურსებში და შემდეგ უხდით კომპანიონებს ყველა კონტაქტის ან გაყიდვისათვის, რომელსაც ისინი გამოიმუშავებენ. რადგანც თქვენი ინვესტიცია არის მინიმალური, ამ პროგრამებს შეუძლიათ მოიტანონ გასაოცარი შედეგები.

გაუკეთეთ მოტივაცია პარტნიორებს სამოქმედოდ.

რეფერალებისა და აფილიატების (ინგ. **affiliate** - ფილიალი, ქვეგანაყოფი) პროგრამების შემუშავებისას მნიშვნელოვანია ხაზი გაუსვათ, რისი იმედი გაქვთ, რომ წარმატებას მიაღწიოთ და შესთავაზეთ კარგი პირობები, რომ მიიღონ მონაცილეობა. პარტნიორის მაზანი ყოველთვის ფული არ არის. გამოყავით დრო, რომ გაიგოთ მათი მოტივაცია და შეიმუშავოთ პირობები, შეთავაზებები, რომელიც მათ სურვილებს ემთხვევა. ნაბიჯი 5 - ჩაბარე, როგორც დაპირდი, რომელიც მომზმარებლებისათვის შემოგთავაზეთ, უნდა გამოიყენოთ თქვენი პარტნიორების მიმართაც.

ასევე, ამ ქვეთავში განვიხილოთ რა უნდა გავითვალისწინოთ მცირე მაღაზის ასამუშავებლად.

როგორ დაგიწყოთ მაღაზის ბიზნესი

მცირე ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ადგილის შერჩევა. მაღაზის ადგილის შერჩევის კრიტერიუმებად უნდა მიიჩნიოთ: მაღაზის შეთავსებადობა და ზონირება. მცირე ბიზნესისათვის ადგილის შერჩევა განვიხილოთ საცალო სავაჭრო ობიექტის (მაღაზის) მაგალითზე.

1-ლი საფეხური მაღაზის ადგილის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი სამი ფაქტორი:

1) შეარჩიოთ ქალაქი, სოფელი, სადაც თქვენ გინდათ ბიზნესის დაწყება.

2) მოცემული ქალაქის (სოფლის) ფარგლებში კონკრეტული რაიონის ან კონკრეტული ადგილმდებარეობის შერჩევა.

3) შერჩეულ კონკრეტულ რაიონში ან კონკრეტულ ადგილ-

მდებარეობის ფარგლებში, კონკრეტული ადგილის დადგენა.

მუ-2 საფეხური

თუ სხვა ქალაქში (ან სოფელში) აპირებთ ბიზნესის დაწყებას მოგიხდებათ გაითვალისწინოთ:

• ამ ქალაქის (სოფლის) სავაჭრო რაიონის სიდიდე (ბაზრის მოცულობა);

- მოსახლეობის რაოდენობა და მისი ზრდის ტენდენციები;

• მოსახლეობის მყიდველობითი უნარი და ამ უნარის განაწილება;

• საცალო-სავაჭრო პოტენციალი ვაჭრობის სხვადასხვა სფეროში;

• კონკურენტთა რაოდენობა, ანუ თქვენი პროდუქციის ანალოგიური ან მისი შემცვლელი პროდუქციის გამყიდველთა რაოდენობა, მათ მიერ პროდუქციის გაყიდვების სიდიდე და ინტენსივობა;

- კონკურენტთა რაოდენობის ზრდა;

მუ-3 საფეხური

მოცემული ქალაქის (სოფლის) ფარგლებში კონკრეტული ადგილმდებარეობის შერჩევისას შეაფასეთ შემდეგი ფაქტორები:

• ცალკეული მაღაზიის უნარი – მიზიდოს მყიდველის ყურადღება;

• კონკურენტუნარიანი მაღაზიების რაოდენობა და ხარისხობრივი არე;

- მაღაზიამდე იოლად მისასვლელი გზების არსებობა;

• შერჩეული ადგილმდებარეობის რაიონში მისი შესაძლო ეკონომიკურად აქტიურობის ზრდა;

მუ-4 საფეხური

შერჩეულ კონკრეტულ რაიონში ან კონკრეტულ ადგილმდებარეობის ფარგლებში კონკრეტული ადგილის დადგენისას გაითვალისწინეთ:

• ადგილმდებარეობის მახლობლად სატრანსპორტო მოძრაობის საკმარისობა და პოტენციალი;

- ადგილმდებარეობას აქვს თუ არა უნარი – მიიქციოს გზად მოძრავ მგზავრთა ნაკადის ყურადღება;
- ახლომდებარე მაღაზიებში არის თუ არა
- ურთიერთშემცვლელი ან ურთიერთდამატებითი პროდუქტები;
- საქმარისია თუ არა ავტომობილთა სადგომების ფართობი;
- შერჩეული ადგილის ღირებულება;

მუ-5 საჯეხური

გასაყიდი საქონლის სახეები. მაღაზის ადგილმდებარეობის შერჩევაზე გავლენას ახდენს მყიდველთა შეხედულებები, მათი სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფა. ისინი იყოფიან სამ ძირითად კატეგორიად:

- ყოველდღიური მოწმარების საქონლის მყიდველები;
- ძვირადღირებული საქონლის მყიდველები;
- ფუფუნების (პრესტიული) საქონლის მყიდველები.

მუ-6 საჯეხური

საცალო საგაჭრო ობიექტისათვის ადგილმდებარეობის შერჩევაზე კიდევ სხვა უმრავი ფაქტორი მოქმედებს. გაანალიზეთ ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვები და გაეცით პასუხი.

- რა ფართობი გესაჭიროებათ საცალოდ ვაჭრობისათვის, ოფისისათვის, საწყობისათვის ან სამუშაო კაბინეტისათვის (ოთახისათვის)?

• არის თუ არა საავტომობილო სადგომი ხელმისაწვდომი და საკმარისად დიდი?

• მოითხოვს თუ არა თქვენი საქმიანობა სპეციალურ (განსაკუთრებულ) ან სხვა გაყვანილობებს?

• იქნება თუ არა სარეკლამო ხარჯები უფრო მეტი, შედარებით მოშორებული ადგილმდებარეობის არჩევის შემთხვევაში?

• ემსახურება თუ არა რაიონს საზოგადოებრივი ტრანსპორტი?

• შეუძლია თუ არა რაიონს უზრუნველგყოთ მუშახელით?

• იმყოფება თუ არა შესაფერის დონეზე სახანძრო დაცვა და პოლიცია?

• რამე პრობლემას ხომ არ წარმოადგენს სამედიცინო და კომუნალური მომსახურება?

• საკმარისად არის თუ არა განთავსებული რაიონი, რათა მიიზიდოს მყიდველთა ყურადღება საღამოთი და ამასთან უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება?

• არსებობს თუ არა მყიდველისათვის კეთილმოწყობილი ტუალეტი?

• მდგრადი მყიდველის თუ არა მაღაზია მომხმარებლისათვის მოსახერხებულ ადგილზე?

• გააჩნია თუ არა მაღაზიას თავშესაფარი მომხმარებლისათვის ცუდი ამინდის დროს?

• ძალიან ძვირი ხომ არ დაგიჯდებათ დამნაშავისაგან დაზღვევა?

• ხომ არ აპირებთ ისეთი მომსახურების გაწევას, როგორიცაა ნაყიდი საქონლის ადგილზე მიტანა?

• ძალიან არის თუ არა დამოკიდებული სავაჭრო რაიონი სეზონურ ბიზნესზე?

• მოსახერხებულია თუ არა თქვენი საცხოვრებელი ადგილისა და თქვენი სავაჭრო ობიექტის ურთიერთობანლაგება?

• ცხოვრობენ თუ არა ახლომახლო თქვენი პოტენციური მყიდველები?

როგორ დავიწყოთ საკუთარი ბიზნესი პატარა ქალაქში (ზოგადი რჩევები).

ბიზნესის წამოწყება პატარა ქალაქში, ბიზნეს იღებთან განსაკუთრებით ფრთხილი მიღებომაა საჭირო. ყველაზე სასარგებლო და შემოქმედებითი იდეა, რომელიც მეგაპოლისში იქნებოდა წარმატებული, პატარა ქალაქში კი დიდი აღბათობაა იმისა, რომ არ იქნებოდა წარმატებული ბიზნეს იდეა; მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არცერთი ბიზნეს იდეა არ იქნება წარმატებული პატარა ქალაში, მას აქვს თავისი პლუსები და მინუსები; გარდა ამისა არსებობს გარკვეული იდეები, რომლებიც იმუშავებენ პატარა ქალაქებში.

1-ლი ეტაპი

ქალაქის სიმცირე ნიშნავს, რომ ბიზნესის წამოწყებისას დამფუძნებელი აწყდება შემდეგ პრობლემებს:

1. ცოტაა მომხმარებელი – ასე, რომ არ აქვს აზრი გახსნას მაგალითად უაღრესად სპეციალიზებული მაღაზია (ხელთ ნაკეთობების, კოსმეტიკის და ა. შ.)

2. ცოტაა მაღალგალიფიციური მუშაკები. უმეტესობა მაღალგალიფიციური მუშაკები მუშაობენ დედაქალაქში ან რეგიონულ ცენტრებში. რა ხელფასსაც არ შესთავაზებო, არაგალიფიციური მუშაკები ვერ შეძლებენ იმუშაონ მათზე უკეთესად.

3. პატარა ქალაქი - ესაა ადგილი სადაც ყველას იცნობს. ასე, რომ თუ ვინმე განავრცობს ჭორს, რომ მოიწმოა თქვენ კაფეში, ჩათვალეთ ნახევარი ქალაქი აღარ შემოვა თქვენთან. მეორე მხრივ მას აქვს თავისი პლუსები, რადგან ჭორები ახალ დაწესებულებაზე გავრცელდება სწრაფად.

მუ-2 ეტაპი

პატარა ქალაქებში არსებობს გარკვეული უპირატესობები ბიზნესისათვის:

1. იაფი მუშა ხელი. ზოგადად გასამჯელო პატარა ქალაქებში მცირეა დიდ ქალაქებთან შედარებით ასე, რომ პერსონალზე ხარჯები ნაკლებია.

2. შენობის გადასახადი დაბალია.

3. ეფექტური გამოსავალია გავხსნათ იაფი სუპერმარკეტი, სადაც ცოტაა სუპერმარკეტები. ყველა ეს უპირატესობა საშუალებას მოგვცემს დაიწყოთ ბიზნესი, რომელსაც შედარებით მცირე კაპიტალი აქვს.

მუ-3 ეტაპი

იმან, ვინც უპვე გადაწყვიტა დაიწყოს ბიზნესი პატარა ქალაქში, უნდა დაივიწყოს ვიწრო სპეციალიზირებული საწარმოები. როგორც არ უნდა გინდოდეთ გახსნათ ფიტნეს კლუბი ქალებისათვის, სადაც იქნება აერობიკა, იოგა და სხვა, სამწუხაროდ შესაძლებელია პატარა ქალაქში წარუმატებელი იყოს.

მუ-4 ეტაპი

იმისათვის, რომ გავიგოთ პატარა ქალაქის მოთხოვნილებები შეგვიძლია გადავხედოთ გაზეთებს, რეკლამებს, ფორუმებს და სხვა საინფორმაციო წყაროებს. ეს იქნება საკმარისი გამოყოფილი მომხმარებელი, ამოირჩიოთ აქედან ერთი და დააკმაყოფილოთ მისი მოთხოვნილებები.

მუ-5 ეტაპი

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ქალაქის სპეციულიკა. თუ ის მდებარეობს რეგიონულ ცენტრთან ახლოს, შეგვიძლია ვუზრუნველყოთ იმავე რესურსებით, რომლებითაც უზრუნველყოფებ რეგიონული ცენტრები თავის მოსახლეობას, მაგრამ, ცოტა იაფად. ამ გზით თქვენ მოიზიდავთ კლიენტებს რეგიონული ცენტრიდანაც, რომლებიც ჩამოვლენ თქვენთან ცოტა ეკონომიკურად, რომ გამოვიდნენ. თუ ქალაქი მდებარეობს ეკოლოგიურად სუფთა ადგილას და სიახლოვეს შენდება კოტეჯები, შეგვიძლიათ თამამად გახსნათ რესტორანი, ოლონდ საჭმლის გატანა ნებადართული უნდა იყოს. რა თქმა უნდა მოსახლეობა შემოიხედავს თქვენთან.

2.2. მცირე ბიზნესი და საწყისი კაპიტალი

ხშირად დაიმის კითხვა, არის დიდი შსჯელობა, რომ რა არის კონკრეტულად საჭირო იმისათვის, რომ სრულფასოვანი ბიზნესი დავიწყოთ? როგორ გადავდგათ პირველი ნაბიჯები და სად მოვიძიოთ საწყისი კაპიტალი? ამ კითხვებზე პასუხი მათ, როგორც წესი არ აქვთ. ამ წიგნში ჩვენ შევეცადეთ გაგვემუდავნებინა ყველა საიდუმლო, რაც ბიზნესის სწრაფ და ეფექტურ განვითარებას ეხება: როგორ მოვიძიოთ საწყისი კაპიტალი, რა გზებით მოვახდინოთ ნაწარმის პირველადი რეალიზაცია, და, საერთოდ, როგორ შევქმნათ ბიზნესი, რომელიც უმოკლეს ვადაში მოგვიტანს მოგებას.

ალბათ ყოველ მეორე ადამიანს აქვს სურვილი ჰქონდეს კერძო ბიზნესი. ოცნებებში ისინი ხედავენ თავიანთ თავს - როგორ ისვენებენ საკუთარ კუნძულზე, მაგრამ ამ სანუკვარი ოცნების განხორციელებას ხელს უშლის ყველაზე მთავარი - ფული. „ყველაფერი რიგზეა, დამრჩა მხოლოდ შესაბამისი რაოდენობის თანხის მოძიება ბიზნესის წამოსაწყებად“ - ფიქრობს ის და ეს აზრი, როგორც ზღვის ტალღა, მოულოდნელად ატყდება ოცნებაში აგებულ ქვიშის კოშკებს - ცოტა ხნის წინ იგი თავს იწონებდა სასახლეებით, მაგრამ თვალწინ მხოლოდ დამსხვრეული ოცნების კოშკებია.

კაცობრიობის განვითარების ისტორიის მანძილზე შეგვიძლია უამრავი ისეთი მაგალითის მოძიება, როდესაც წლების განმავლობაში მძინარე რევოლუციურმა იღეამ მოულოდნელად ვულკანივით ამოხეთქა და ადამიანების ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1800 წელს ფრანგმა ძმებმა ნიეპსებმა გამოიგონეს „პირეოლოფორი“ - იგივე შიგა წვის ძრავა. სხვადასხვა მიზეზების გამო (ისტორიული პერიპეტიები, სამეცნიერო წრეებისა და უბრალო ადამიანების მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება) ამ გამოგონებამ მზის შუქი ვერ იხილა. იქნებ ძმებს უფრო ენერგიულად უნდა ემოქმედათ? ფაქტი ერთია, ამ გამოგონებიდან ზუსტად 70 წლის შემდეგ მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა რუდოლფ დიზელის სახელი.

დღეს ძალიან ბევრ ადამიანს თითქოს ხელი აქვს ჩაქნეული. ჩვენთვის ცნობილია ბევრი ულევი ენერგიის მქონე ადამიანი, რომლებმაც უბრალოდ გვერდზე გადადეს ქაღალდის ნაგლევებზე დაწერილი თავიანთი გრანდიოზული ბიზნეს-იდეები. შემოდეს თაროზე და არასოდეს ახსენდებათ ისინი, გარდა ერთი შემთხვევისა - როდესაც ნოსტალგია შემოაწვებათ.

თუმცა, არსებობს რიგი გზებისა და საშუალებების, თუ როგორ მოვიპოვოთ საწყისი კაპიტალი, რომელი საშუალებაა

ყველაზე პოპულარული, ყველაზე კომფორტული და აკადემიური. ჩვენ ვრცლად განვიხილავთ თითოეულ მათგანს და დასკვნის სახით მოგახსენებთ - გვჭირდება თუ არა საწყისი კაპიტალი საერთოდ?

საწყისი კაპიტალი - ეს არის ფულადი ან სხვა სახის მატერიალური რესურსი, რომელზეც თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ თქვენი ბიზნესის წარმოება. ის წარმოადგენს ინვესტიციის გარკვეულ ფორმას, რომელიც მუშაობს მანამ, სანამ თქვენი წარმოება პირველ მოგებას არ მოიტანს.

რა თქმა უნდა, საწყისი კაპიტალის მოცულობა დამოკიდებულია პროექტის მასშტაბურობაზე. დღეს ინტერნეტის ეპოქა გვაძლევს საშუალებას დაგიწყოთ საკუთარი ბიზნესი სულ რაღაც რამდენიმე ასეულ დოლარად. მაგალითად *YouTube*-ში ეტაპობრივად ჩაიდო 4 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია. შესანიშნავი იდეაა - გაუზიარო ყველას შენი საყვარელი ვიდეო - მოგებამ კი შეადგინა 1,6 მილიარდი აშშ დოლარი.

მაშ ასე, როგორ მოვიპოვოთ საწყისი კაპიტალი? რა თქმა უნდა, პირველ რიგში, უნდა მოვიძიოთ თანხები. თუმცა ამას საუკეთესო დასაწყისს ვერ დავარქევთ.

პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: ბევრი დამწყები ბიზნეს-მენი, დაახლოებით, ასე ფიქრობს - „მე მაქვს შესანიშნავი იდეა, მოვიძიობ თანხას, რათა ფრთხი შევასხა ჩემს ჩანაფიქრს, შემდეგ კი შევხვდები მყიდველს და ბიზნესიც დაიძვრება.“ თუმცა, ასეთი ალგორითმი, როგორც წესი, არაეფექტურია.

საქმე იმაშია, რომ უკვე მზა პროდუქტით პირდაპირ ბაზარზე გასვლის მცდელობა თავიდანვე კრაზისთვისაა განწირული. რატომ? ბაზარზე სავარაუდოდ უკვე არსებობს თქვენი ნაწარმის მსგავსი საქონელი და არაერთი. ამიტომ თავიდან საჭიროა ბაზრის შესწავლა, იმის გაგება თუ რა სჭირდება დღეს ბაზარს, რა სახის მოთხოვნები გვაქვს სახეზე. ამ ინფორმაციის ზუსტად გაანალიზების შემდეგ კი უკვე შესაძლებელია ბიზნეს საქმიანობის დაწყება.

ჩვენთვის ცნობილია ასობით მაგალითი, როდესაც კონკრეტული ადამიანები და მთელი კომპანიებიც კი, რომლებმაც

დიდი ინვესტიციები ჩადეს, რათა შესულიყვნენ ბაზარზე უკვე დავიწყებული და მყიდველისათვის უინტერესო ნიშით. შემდეგ კი სასოწარკვეთილი და უიმედო ხმით მეკითხებოდნენ: „როგორ მოვიქცეთ ახლა? როგორ გავყიდოთ ყოველივე ეს? როგორ მოვიზიდოთ მყიდველები?“ ფულადი რესურსების მოპოვება, გარშემო მყოფთათვის დაზმარების ხელის გაწევა - აი ბიზნესის საუკეთესო გარიანტი!

კომპანიების 90 პროცენტი, როგორც წესი, იქმნება და ყალიბ-დება საკუთარი ფულით: ანაზღაურება, სტიპენდიები, დანაზოგი. ადამიანები თანხას დებენ კონკრეტულ პროექტში მოგების მიზნით, გადადგამენ პირველ ნაბიჯს და ნელ-ნელა გრძნობენ ბიზნესის განსავითარებლად საჭირო თანხის ნაკლებობას. ამ შემთხვევაში რჩება ერთადერთი გამოსავალი - სესხება.

დასავლეთში ადამიანები სესხს იღებენ მეგობრებისგან და ნათესავებისაგან. აფორმებენ საბანკო სესხის ხელშეკრულებას შესაბამისი უძრავი ქონების უზრუნველყოფით. მე არ ვარ იმის მომხრე, რომ წლიურად საბანკო დავალიანების გამო გიწევდეს შენი შემოსავლის 20-24 %-ის გადახდა.

მაშ ასე, სესხი ეს არის ყველაზე სტანდარტული და გავრცელებული მიდგომა, საწყისი კაპიტალის მოსაპოვებლად. სესხის აღების სამი მთავარი გზა არსებობს: საკუთარი თავი, ნაცნობები და მეგობრები, ბანკი.

თუ სხვა გზა არ რჩება, ისესხე ფული საკუთარი თავისგან
თუ თანხის სესხებას ვერ ახერხებთ და ვერც სხვა რაიმე გამოსავალს ხედავთ, იქნებ... საკუთარი თავისგან ისესხოთ?! შეიძლება რაიმე საგარეულო ძვირფასი ნივთი მიიტანოთ ლომბარდში (თუმცა როგორ მიიღებენ ამას თქვენი ოჯახის წევრები ეს უკვე სხა თემაა) ან გაყიდოთ საკუთარი ავტომობილი. იქნებ გირჩევნიათ ფულის დაგროვება დაიწყოთ და ოცი წლის შემდეგ, 50 წლის ასაკში წახვიდეთ რიო-დე-ჟანეიროში მუდმივი საცხოვრებლის უფლებით? რა, გმადლობთ! ყველაფერი მინდა დღეს და ახლავე!!!

იმ შემთხვევაშიც კი თუ ფულის შეგროვება მოგიწევთ არა 20, არამედ ვთქვათ 2-3 წელი, ამ დროის განმავლობაში თქვენ რამდენჯერმე მოასწრებდით, საკუთარი კომპანიით, მეცხრე ცაზე ასვლასაც და უიმედოდ მიწაზე დანარცხებასაც.

კიდევ ერთი საშუალებაა დატვირთოთ იპოთეკით თქვენი ბინა ან კერძო სახლი. ბევრს ეს ნაბიჯი სწორად მიაჩნია, რადგან ფიქრობს, რომ თანხასაც მიიღებენ და ღია ცის ქვეშ არავინ დატოვებს. მაგრამ კოგზი შეიძლება ნაცარში ჩაგივარდეთ. შესაძლებელია კრედიტის აღებაც. აგრამ, ამ შემთხვევაში აშკარა ნაკლებობაა თქვენთვის სასარგებლო პირობებისა. შენახვის, დაბრუნებისა და ოვერდრაფტის (ინგ. **Overdraft** - ზეგავმიური, გადახარჯვა) პირობები ყველა ბანკს სხვადასხვა აქვს. დიდი რაოდენობის თანხას, გრძელვადიანი პირობით, ამ გზით ვერ მიიღებთ.

მაშინ რაშია გამოსავალი? თუ მცირე რაოდენობის თანხა გჭირდებათ, ჯობია ისევ თქვენ თავს სთხოვოთ. აგრამ, გახსოვდეთ ყველაზე მთავარი - დარწმუნებული უნდა იყოთ იმაში, რომ თქვენი ბიზნეს-გეგმა უახლოეს მომავალში მოგიტანთ სულ მცირე მოგებას მაინც.

ყველაზე ცუდი ვარიანტი: სესხი ახლობლებისგან ან მეგობრებისგან.

რა თქმა უნდა თანხა შეგვიძლია ვისესხოთ ახლობლებისგან ან ნათესავებისგან. შესანიშნავი ვარიანტია არა? - უარს არ გეტყვიან და აუცილებლად გასესხებენ. ისინი ხომ თქვენი ნათესავები არიან, ასე რომ ზოგჯერ ცოტა დაგვინებაც შეიძლება. ისესხოთ თანხა ნაცნობ-მეგობრებისგან ეს ყველაზე ცუდი ვარიანტია, რომელიც თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ. გსურთ დაცილდეთ თქვენ მეგობარ გოგონას? ისესხეთ მისგან თანხა და შემდეგ აღარ დაუბრუნოთ. გინდათ თქვენი საუკეთესო მეგობარი დაკარგოთ? სთხოვეთ გარკვეული რაოდენობის თანხა და შემდეგ უბრალოდ დაივიწყეთ დაბრუნება. შეიძლება ყელამდე ჩაეფლოთ ვალებში - თქვენი საუკეთესო მეგობარი ამას გაპატიებთ, მაგრამ თქვენი მეგობრობა კი აუცილებლად დასრულდება. თქვენი სამეგობრო და სანათესაო ეს განსაკუთრებული ადგილია, რომელიც მალევე გადაიქცევა დანაღმულ ველად, როგორც კი თანხის მოძიებასა და სესხებას გადაწყვეტით.

სასურველია ვისესხოთ მხოლოდ მცირე რაოდენობის თანხა. თუ ბევრი გჭირდებათ, უმჯობესია მოძებნოთ შესაბამისი ფიზიკური პირები ან კომპანიები, ანუ ისინი, ვისთვისაც სესხის გაცემა

პროფესიული საქმიანობაა.

შეგიძლიათ მიმართოთ ბანკსაც და კრედიტი აიღოთ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ბიზნესი მაღევე მოიტანს პირველ მოგებას, ამ თანხის რადაც ნაწილი აუცილებლად დაგჭირდებათ საბანკო პროცენტების დაფარვაში.

2.3. ბიზნესი და ინვესტორი

ინვესტორებს ჩვენ ე.წ. „კეთილი ადამიანები“ ვუწოდეთ - ესენი არიან საშუალო ან უფროსი ასაკის პროფესიონალები უმაღლესი განათლებით (ძირითადად ბიზნესის ადმინისტრირების, საინჟინრო ან საბურების/მეტყველო სფეროში). ზოგიერთი მათგანი წარმატებული მეწარმეა, სხვები კი მაღალანაზღაურებადი პროფესიონალები არიან (ბუღალტრები, კონსულტანტები, ადვოკატები, წარმატებული კომპანიების აღმასრულებელი დირექტორები). მათგვის ფინანსური დახმარების თხოვნა საქმაოდ საინტერესო საშუალებაა საწყისი კაპიტალის მოსაპოვებლად. პირობები კი ყველას სხვადასხვა აქვს. საქმის მთავარი არის კი მდგომარეობს იმაში, რომ „კეთილი ადამიანები“ მზად არინ უმაღლეს გავიდნენ თქვენი საქმიდან, როგორც კი ბიზნეს ურთიერთობაში ინვესტორი გამოჩენდება. ინვესტორებს არ უყვართ ისინი და მაქსიმალურად გაურბიან მათთან ურთიერთობას. ასე რომ „კეთილი ადამიანები“ მხოლოდ საწყის ეტაპზე - კომპანიის განვითარებაში გეხმარებიან.

საშუალო მოცულობა იმ ინვესტიციისა, რომლიც მზადაა გაიღოს „კეთილმა ადამიანებმა“, შეადგენს 50-100 ათას აშშ დოლარს. ისინი იღებენ აქციების დიდ პაკეტს. მაგალითად, თუ საწყის ეტაპზე კომპანია შეფასებულია 100 ათას აშშ დოლარად, „კეთილ ადამიანებს“ შეუძლია მიიღოს აქციების 40 პროცენტი 40 ათას დოლარად. ხოლო თუ კომპანია შეფასებულია ერთ მილიონ აშშ დოლარად, მას შეუძლია მიიღოს აქციების 10 პროცენტი, შესაბამისად 100 000 დოლარად. იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე ინვესტორი ჩნდება და კომპანიის თვითღირებულება 5 მილიონი აშშ დოლარი ხდება, „კეთილი ადამიანი“ იღებს კუთხნილ ერთ მეორედს/მესამედს/მეხუთედს და მაშინვე გადის საქმიდან. მას ასეთი

პირობები სავსებით აქმაყოფილებს.

არსებობს დაფინანსების კიდევ ერთი სახეობა - ბრიჯ-კრედიტი (ინგ. bridge - ხიდი). დაფინანსების ეს ფორმა გულისხმობს კომპანიის განვითარების ხელშეწყობას ვენჩურულ ეტაპზე - როდესაც კომპანიამ ამოწურა ყველა ფინანსური საშუალება და შემდგომი განვითარებისათვის რაღაც გარკვეული თანხაა საჭირო. ასეთ დროს საქმეში ერთვება იმ ინვესტორთა სინდიკატი, რომელთაც წარსულში უკვე დააფინანსეს აღნიშნული ბიზნესი.

ასევე, არსებობს სპეციალური ვენჩურული ფონდები, (ვენჩურული ფონდი (ingl: venture – სარისკო საწარმო) — საინვესტიციო კომპანია, რომელიც მხოლოდ ინოვაციურ საწარმოებთან და პროექტებზე მუშაობს (სტარტაპებთან). ვენჩურული ფონდები ინვესტიციებს ახორციელებენ ფასიან ქაღალდებსა და მაღალი ან შედარებით მაღალი რისკის საწარ-მოებში, საქმაოდ მაღალი მოგების მიღების მოლლიდინით. ჩვეულებრივ, შეგავსი დაბანდებები ხდება უახლესი სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროებში. როგორც წესი, პროექტების 70-80 პროცენტს არ მოაქვს უკუგება, მაგრამ პროექტების 20-30 პროცენტიდან მიღებული მოგება ფარავს ყველა ხარჯს). პირველად საქართველოში UUGT-მ შექმნა ვენჩურული ფონდი, რომლის ძირითადი მიზანი საქართველოს საანფორმაციო ტექნოლოგიების სივრცეში ნოვაციური იდეების და პროექტების დაფინანსებაა, რომლებიც მხოლოდ ბრიჯ-კრედიტზე (მოკლევადიანი, მაღალპროცენტიანი კრედიტი) არიან ორიენტირებულნი. ამ სახის ფონდებს მეწარმეები მიმართავნ იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორები, გარკვეული მიზეზების გამო, ვეღარ აფინანსებენ კონკრეტულ ბიზნესებს.

ბრიჯ-კრედიტის გაცემა ხდება განსაზღვრულ ეტაპებად. მხოლოდ, პირველ ეტაპზე აღებული სასესხო ვალდებულების გასტუმრების შემდეგ შესაძლებელია ახალი კრედიტის მოთხოვნა. ასევე შესაძლებელია ე.წ. „კონვერტირება“. ეს საშუალებას აძლევს მფლობელებს მოახდინონ აქციების კონვერტირება დაფინანსების შემდგომ ეტაპამდე. როგორც წესი, წლიური სასესხო განაკვეთი ბრიჯ-კრედიტის შემთხვევაში შეადგენს 8 პროცენტს, კონვერტირების შემთხვევაში კი მფლობელები იღებენ აქციათა ღირებულების 5-15 პროცენტიან ფასდაკლებას.

როდის არის ყველაზე მისაღები ბრიჯ-კრედიტის გამოყენება? დაფინანსების შემდეგ ეტაზე გადასვლისას. მირითადად მას იყენებენ ბაზარზე აქციებით გასვლის წინ. მთავარ მიზანს კი წარმოადგენს ნაღდი უულის მაქსიმალური შენარჩუნება, ყველა საჭირო ოპერაციის ჩასატარებლად.

თუ თქვენ ვერ ახერხებთ საკუთარი გზებით თანხების მოძიებას, სხვა საშუალებაც არსებობს. შეგიძლიათ ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო თანხის მოძიება სხვას გადაულოცოთ ანუ მოძებნოთ ინვესტორი. ამ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობის თანხა გჭირდებათ.

ბევრისთვის ბიზნესის წარმოადგენს პანაცეას წარმოადგენს ცოტა „მოსულელო“ ინვესტორის მოძიება: – „მოდით მოვძებნოთ ვინმე, ვინც მზად იქნება სასწრაფოდ და ზედმეტი კითხვების გარეშე დააფინანსოს ჩვენი ბიზნესი!“. იწყება ასეთი ბიზნეს-პარტნიორის ან ინვესტორის ძებნა, რომელიც დაუფიქრებლად და ჩუმად გასცემს ნაღდ უულს.

სამწუხაროდ ასეთი გამოუცდელი ინვესტორები თანამედროვე მსოფლიოში ძალიან ცოტაა. ბუნგბრივია ბევრისთვის რთულია გასცეს საკუთარი თანხა გარკვეული ვადით ან ზოგჯერ საერთოდ დაკარგოს ის (რაც ძალიან ხშირია ბევრი სტარტაპის დაფინანსების დროს).

ბევრ პოტენციურ ინვესტორთან ყოველდღიურად მიდის უამრავი ენთუზიაზმით სავსე ადამიანი გენიალური იდეებით. თუმცა ისინი მაღლევე ხვდებიან ფილტრში - მდიდარი ადამიანი ინტერესდება თვითონ ინვესტიციის მათიებლმა თუ გაიღო სულ მცირე თანხაც კი საკუთარი ბიზნესის განსავითარებლად. თუ პასუხი უარყოფითია, მაშინ ეს ინვესტორისთვის ძალიან დიდ რისკს გულისხმობს და იგი მარტივად იტყვის უარს. დამეთანხმეთ, არავის სურს საკუთარი ფული უაზროდ დაკარგოს. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია დასავლეთის ქვეყნებისათვის - ინვესტიციების ჩადება ხდება მხოლოდ ისეთ კომპანიებში, სადაც უკვე წარსულში გაიცა გარკვეული რაოდენობის თანხა. ეს მაქსიმალურად გამორიცხავს ინვესტორისათვის ისეთ შემთხვევას, როდესაც თქვენ მოისურვებთ მის ფულთან ერთად გაქცევას.

ვენწურული კაპიტალი. მითები და რეალობა

ახლა კი უფრო ვრცლად განვიხილოთ რას გულისხმობს ვენწურული კაპიტალი. ამ სახის კაპიტალს ფლობენ ორგანიზაციები, რომლებიც როგორც წესი, აფინანსებენ სტარტაპს, ანუ როდესაც ბიზნესი იწყებს განვითარებას. ამის შემდეგ ისინი ღევალურად ტოვებენ აღნიშნულ კომპანიას და, საშუალოდ, მოგების სახით იღებენ შემოსავლის 200-300 პროცენტს.

ასე რომ, თუ თქვენ გჭირდებათ დიდი რაოდენობის თანხა საკუთარი ბიზნესის წამოსაწყებად, თამამად შეგიძლიათ მიმართოთ ვენწურულ კომპანიებს. მაინც რა უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს ამ სახის ფინანსურ ორგანიზაციებთან ბიზნეს ურთიერთობას?

უპარველეს ყოვლისა, ვენწურული კაპიტალით სარგებლობის დროს, თქვენგან არ მოითხოვენ სასესხო პროცენტების გადახდას წლიურად ან კვარტალურად. შეგიძლიათ გარკვეული რაოდენობის თანხა აიღოთ საკმაოდ გრძელი ვადით და ყოველგვარი გირაოს გარეშე. არასოდეს გამოგაცხადებენ ბანკოტად, რადგან თქვენ და თქვენი ინვესტორები, ამავე დროს, ბიზნეს პარტნიორები ხართ. და ბოლოს, თუ მომავალი საშმიანობა შეიცავს მაღალ რისკებს, არავინ, გარდა ვენწურული ინვესტორებისა, არ გასცემს დიდი რაოდენობის თანხას ბიზნესის განსავითარებლად.

ვენწურული ინვესტორი ყოველთვის ყველაზე მეტადაა დაინტერესებული თქვენი ბიზნესის დადებითი შედეგებით. ვენწურული კაპიტალის იღეოლოგია ასეთია - რისკი ჭარბი მოგების სანაცვლოდ. თუმცა აქაც არის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. სანამ უშუალოდ მიბრძანდებით კონკრეტულ ვენწურულ კომპანიაში თანხის სასესხებლად, სასურველია მცირე ინფორმაციის მოპოვება მასზე: რომელ სურვის ანიჭებს უპირატესობას? რა სახის ბიზნესითაა უფრო დაინტერესებული? მაგალითად, არიან სხვადასხვა სახის ვენწურული კომპანიები, რომლებიც ინვესტიციებს დებენ მხოლოდ სატელეფონო ბიზნესში ან თავდაცვის ინდუსტრიაში.

მეორე საკითხი რომელიც ასევე უნდა გაარკვიოთ არის შემდეგი - რა რაოდენობის მოგებას ელოდებიან თქვენგან ვენწურული კომპანიები? ბევრი ბიზნეს ორგანიზაცია, სავარაუდო მოგების გაანგარიშებისას, ორიენტირდება საკუთარ შემოსავლებზე და 25

პროცენტის ვენჩურული კომპანიისათვის დაბრუნება უდიდეს შეურაცხყოფად მიაჩნია. რეალურად კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ვენჩურული კომპანიის მიზნები.

თუ კომპანია საკმაოდ დიდია, უმჯობესია გადახედოთ სტატისტიკას და გაიგოთ, რა რაოდენობის მოგებაზეა თანახმა. ბევრი ვენჩურული ინვესტორი, თუ ის დაინახავს რომ ორ-სამ წელიწადში მოგება არ იქნება 200-300 პროცენტი, უბრალოდ თქვენთან ლაპარაკსაც არ ისურვებს. იმისათვის რომ კომპანიებმა გასცენ ინვესტიციები ათიდან ერთი წარმატებული ბიზნესისათვის მაინც, მათ მოგების მაქსიმალური რაოდენობა უნდა მიიღონ. ამიტომ, სანამ მიხვალთ და პირდაპირ განაცხადებთ: – მეგობრებო, მოდით ჩემი ბიზნეს-იდეა დავაფინანსოთ!!! - შეასრულეთ სამინაო დავალება: ჩამოაყალიბეთ თქვენი ბიზნეს-გეგმა და აუზენით ინვესტორებს, რა სახის და რაოდენობის მოგების იმედი შეიძლება ჰქონდეთ.

როგორი იქნება თქვენი სტრატეგია კომპანიის განვითარებისათვის? გრაფიკის წარდგენისას, სადაც თქვენი კომპანიის სავარაუდო ზრდის დინამიკა იქნება ასახული, შეეცადეთ ინვესტორები არ გააცინოთ. თუ თქვენი გრაფიკი ჰგავს ჰოკეის ჯოხს, ანუ თავიდან საწყისი კაპიტალი ძალიან მცირეა და შემდეგ უცებ მიღიარდებზე ადის, შეგიძლიათ მაშინვე მოისროლოთ იგი. უმჯობესია წარადგინოთ გეგმა, სადაც ნაჩვენები იქნება სტაბილური ზრდა და შემოსავლის ჯერ გაორმაგება, შემდეგ გასამმაგება და ა.შ. ისეთი შენაარსის ზღაპრები, როგორიცაა: „საჭიროა ცოტა მოვითმინოთ და სრული ბედნიერება გვეწვევა!“ - დიდი ზანია არავის აღარ აინტერესებს.

ბიზნეს-გეგმის შედგენისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ მარკეტინგიც - როგორ შეუწყობთ ხელს ნაწარმის ან მომსახურების განვითარებას და მიწოდებას. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ: რეკლამა, პიარი, ინფორმაცია, პირდაპირი მარკეტინგი და ა.შ. კარგი იქნება თუ გეგმის წარდგენისას უკვე გყავთ კონკრეტული კლიენტები.

განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგას თქვენი კომპანია, ინვესტორთან ვიზიტის მომენტში (მაგალითად თუ თქვენ უკვე გაქვთ ბიზნეს საქმიანობის გარკვეული გამოცდილება და საწყისი კაპიტალიც) და რაც უფრო ნაკლები თანხა გჭირდებათ, ამ

შემთხვევაში მაქსიმალურად გაიზრდება ვენჩურული ინვესტორების მხრიდან თქვენდამი დაინტერესება.

რუსეთში ვენჩურული კაპიტალი საკმაოდ განვითარებულია, თუმცა არა ისე, როგორც უცხოეთში. რატომ? რუსეთში მრეწველობა დასავლეთთან შედარებით დაბალგანვითარებულია და ამ სახის კაპიტალის საჭიროებასაც ბევრი ბიზნესმენი უბრალოდ ვერ ხედავს.

ერთ-ერთი უმთავრესი კითხვა, რომელიც ვენჩურული კაპიტალის მფლობელებს უჩნდებათ მდგომარეობს შემდეგში - როგორ გავლენ ისინი ბიზნესდან თქვენთან ურთიერთობის შემდეგ? მათთვის ხომ თქვენი კომპანია ჩვეულებრივი ნივთია - უნდა იყიდოს იაფად და გაყიდოს ძვირად. ისინი არ ფიქრობენ იმაზე რამდენად კარგია ეს ნაწარმი, თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებთ - შემოგთავაზა ერთი მილიონი? უნდა მიიღოს ათვერ, ოცჯერ ან ასჯერ მეტი. ამიტომ, მათი მთავარი კითხვები უფრო მერკანტილური იქნება - ინვესტიციების მოცულობა, რისკ-ფაქტორები და საბოლოო მოგება.

ამიტომ, კარგად დაგეგმეთ ვენჩურული ინვესტორების „გამდიდრების“ მთელი პროცესი - და ისინი დაუსრულებელ რიგებად ივლიან თქვენთან. წარუდგინეთ მათ თქვენი კომპანიის სამუშაო მოდელი და კონკრეტული კლიენტები. ნუ მოითხოვთ პირდაპირ მილიონ დოლარს, რომელსაც რაში დახარჯავთ ჯერ თავადაც არ იცით. განუცხადეთ მარტივად: - საჭიროა გარკვეული რაოდენობის თანხა კონკრეტული ნაბიჯის გადასადგმელად, კონკრეტული მიზნის მისაღწევად! უჩვენეთ გეგმის მიხედვით, როგორ განვითარდება თქვენი კომპანია, განსაზღვრულ საფუძურამდე, სამი წლის შემდეგ, როგორ გახვალთ საფონდო ბაზარზე ან შეუერთდებით რომელიმე დიდ კორპორაციას. რაც უფრო მეტი გეგმა და განვითარების სავარაუდო სურათი გექნებათ, მოქმედებაც უფრო მარტივი და საინტერესო იქნება ინვესტორებისათვის.

ვენჩურული კაპიტალი. საკომისიო, რომელიც შეიძლება თავიდან ავიცილოთ

თუ თქვენ ეყრდნობით დიდი კომპანიების მონაცემებს
(მაგალითად ამბობთ, რომ კომპანია Gartner კვლევების თანახმად,
ინტერნეტ-რესურსების მოხმარების რაოდენობა ერთ სულ
მოსახლეზე შეადგენს საშუალოდ თხუთმეტ მილიონ გვერდს), ამას
სერიოზულად არასოდეს არავინ არ მიიღებს. მაქსიმუმი რაც
შეგიძლიათ გააკეთოთ, ასეთი სახის ინფორმაცია გაკვრით,
შემთხვევით ახსენოთ. მაგრამ, ამ სახის ინფორმაციაზე ააგოთ
თქვენი კომპანიის განვითარების მომავალი სტრატეგია, ეს ძალიან
დიდი სისულელეა. შეცდომა, რომელსაც ასევე ბევრი უშვებს არის
მინიშნება ისეთ კორპორაციულ მონსტრებზე, როგორებიცაა **Amazon**
და **eBay**, შემდეგი სიტყვებით: – მხოლოდ ამ კომპანიების
შემოსავლების ორი პროცენტი მრგვცა და ყველაზე ბედნიერები
ვიქწებოდით!

III თავი. მცირე ბიზნესი და კანონმდებლობა

3.1 სამეწარმეო და არასამეწარმეო პირის რეგისტრაცია

სამეწარმეო და არასამეწარმეო პირის რეგისტრაციაში ესე ზოგადად აღებულმა, შეიძლება თქვენში გაურკვევლობა გამოიწვიოს და ვერ მიხვდეთ რა იგულისხმება, ამიტომ უმჯობესია თავიდანვე განვმარტოთ რას შეიძლება მოიცავდეს სამეწარმეო საქმიანობა და რა სამართლებრივი ფორმა შეიძლება მივანიჭოთ მას და ასევე რას შეიძლება მოიცავდეს არასამეწარმეო პირი, ამის შემდეგ გადავიდეთ მათი რეგისტრაციის პროცედურების დეტალურ განხილვაზე.

რას წარმოადგენს მეწარმე ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით და ვალდებულებებისთვის დამოუკიდებლად აგებს პასუხს თავისი ქონებით.

იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა, საგალდებულოდ უნდა დარეგისტრირდეს რეესტრში. მეწარმე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

რა არის სამეწარმეო საქმიანობა?

სამეწარმეო საქმიანობა არის სუბიექტის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

რა არის არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა?

არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა არის სუბიექტის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, მოგების მიღების მიზნის გარეშე.

რა სამართლებრივი ფორმები არსებობს მეწარმე იურდიული პირისათვის?

კანონმდებლობით დადგენილია შემდეგი სამართლებრივი

ფორმები:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – შპს;
2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – სპს;
3. კომანდიტური საზოგადოება – კს;
4. სააქციო საზოგადოება – სს;
5. კოოპერატივი.

რა განსხვავდებაა სამართლებრივ ფორმებს შორის?

ძირითადი განსხვავდება გამოწვეულია პარტნიორთა ქონებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებით; კერძოდ, სააქციო საზოგადოების აქციონერთა, კოოპერატივის მებაიეთა და შპს-ის პარტნიორთა პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საზოგადოების კაპიტალში განხორციელებული შენატანის პროპრიეტეტი, ხოლო სპს-ის პარტნიორები პასუხს აგებენ არა მხოლოდ შენატანით, არამედ მთელი ქონებით, სრულად, პირადად და სოლიდარულად. კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა ნაწილი საზოგადოების ვალდებულებებისთვის, შპს-ის პარტნიორთა მსგავსად, შეზღუდულად აგებს პასუხს (კომანდიტი), ხოლო, პარტნიორთა ნაწილი სრულად აგებს პასუხს, მთელი ქონებით პირადად და შეუზღუდავად (კომპლემენტარი).

ვინ შეიძლება წარადგინოს განაცხადი იურიდიული პირის რეგისტრაციაზე?

განცხადებელი სერვისზე შეიძლება იყოს უშუალოდ დაინტერესებული პირი (დასარეგისტრირებელი სუბიექტის ერთ-ერთი პარტნიორი/დამფუძნებელი, ხელმძღვანელობასა ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი) ან დაინტერესებული პირის წარმომადგენელი. ვის უნდა მივმართოთ მეწარმე ან არამეწარმე (არაკომერციულ) იურიდიულ პირად რეგისტრაციისათვის?

მეწარმე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის მიმართეთ იუსტიციის სახლს. თან იქნიეთ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება ფრონტ ოფისის ოპერატორის მიერ).
2. თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
3. ყველა პარტნიორის/დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილი და

სათანადო წესით დამოწმებული შეთანხმება/წესდება.

4. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია აღილზე).

იმ შემთხვევაში თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი, მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

იმ შემთხვევაში, თუ ოურიდიული პირი რეგისტრირდება პარტნიორის/დამფუძნებლის, ხელმძღვანელის/წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მისამართისგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული პირების საკუთრებას, დამატებით წარმოსადგენი იქნება აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობა ან სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული ხელშეკრულება ამ ნივთით სარგებლობის შესახებ (იჯარის, ქირავნობის, თხოვებისა ან სხვა).

იმ შემთხვევაში თუ ოურიდიული პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იმსავალროულად არ არის საზოგადოების დამფუძნებელი, დამატებით წარმოსადგენია მისი თანხმობა აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

შენიშვნა: კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

როგორ დავამოწმოთ სარეგისტრაციო დოკუმენტაცია?

სარეგისტრაციო დოკუმენტი შესაძლებელია დამოწმებულ იქნეს, როგორც სანოტარო წესით, ისე სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა)¹.

3.2 ინდივიდუალური მეწარმე

თუ თქვენ გსურთ ინდ.მეწარმედ დარეგისტრირება მოგიწევთ

¹ საჯარო რეესტრის ვებ-გვერდის დახმარებით:

<http://www.napr.gov.ge/>¹

იუსტიციის სახლში სტუმრობა, სადაც საკმაოდ ოპერატიულად ხდება ამ პროცედურის გავლა; იუსტიციის სახლის იდეამ, საკმაოდ გაამარტივა და, ჩემი, აზრით, გააიაფა ის ხარჯები, რაც ბიზნესის რეგისტრაციისათვის იყო საჭირო; მაგრამ ზოგიერთი ფიქრობს, რომ ის საფასური რაც ბიზნესის რეგისტრაციისათვის არის დაწესებული ძვირია.

აღნიშნულ მოაზრებას პირადად მე არ ვეთანხმები, რადგან – ადრე წესდების დაწერისათვის ცალკე უული უნდა გადაგეხადა (აღნიშნული ინდენტარმენტი არ ეხება), საბუთების შეგროვებისათვის გარკვეული ხარჯები უნდა გაგეწია და ა.შ. ამჟამად წესდების ნიმუში ვებ-გვერდზე დევს, საბუთების ჩამონათვალი კი ისეთია, რომელსაც დამოუკიდებლად ძალიან მარტივად შეაგროვებთ; პლიუს ამას მომსახურება და კომფორტი ცალკე პროდუქტია, რომელშიც ძალიან ბევრი დამატებით ფულსაც კი იხდი, სწორედ ამ მიზეზთა გამო არ ვფიქრობ, რომ ბიზნესის რეგისტრაციის საფასური ძვირია.

კინ არის ინდივიდუალური მეწარმე (ინდ. მეწარმე)?

ინდივიდუალური მეწარმე (ინდ. მეწარმე) – ინდივიდუალური მეწარმე არის ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, მეწარმედ არის რეგისტრირებული რეესტრში და თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები-სათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

ჩვენი აზრით ინდენტარმის უარყოფითი მხარე არის ის რომ ის კრედიტორების (ანუ მევალეების) წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, რაც იმას ნიშნავს რომ თუ თქვენ გაქვთ ვთქვათ რომელიმე ბანკის ვალი ან გადასახდელი გაქვთ თანხა მომწოდებელზე, მაგრამ გაკოტრდით და ბიზნესი აღარ გაქვთ, მევალეს, ამ შემთხვევაში, ბანკს ან მომწოდებელს შეუძლია ეს დავალიანება ამოიღოს თქვენ სახელზე რეგისტრირებული ნებისმიერი ნივთიდან; არ აქვს მნიშვნელობა ეს ნივთი თქვენ ბიზნესის დაწყებამდე გქონდათ, ბიზნესის დაწესების შემდეგ შეიძინეთ თუ გაკოტრების შემდეგ; აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად არსებობს სხვა სამართლებრივი ფორმები მაგალითისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – შპს.

ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირდებიან, ძირითადად, ის

ადამიანები ვინც შედარებით უფრო წვრილი ბიზნესის დაწყებას აპირებენ, მაგ: მინი მარკეტი, საცხობი, სავაჭრო დახლი ბაზრობაზე, ასევე მიკროავტობუსის მძღოლებიც ინდ. მეწარმედ არიან რეგისტრირებულნი.

რეგადად რა არის რეგისტრაცია?

რეგისტრაცია ნიშნავს სუბიექტის წარმოშობის, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების და რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) ოურიდიულ პირთა რეესტრში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით. ინდივიდუალური მეწარმე წარმოშობილად ითვლება რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

რა იგულისხმება სამეწარმეო საქმიანობაში?

სამეწარმეო საქმიანობა არის სუბიექტის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, საუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტაცითა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. შესაბამისად, ფიზიკური პირის მიერ ასეთი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, რეესტრში ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაცია სავალდებულო არ არის.

ვინ შეუძლია რეგისტრაციის სერვისით სარგებლობა?

ანიშნული სერვისი განკუთვნილია ფიზიკურ პირთათვის, რომელთაც სურთ დაიწყონ სამეწარმეო საქმიანობა. ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაცია შეუძლია როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირებს. არასრულწლოვანი (18 წლამდე) პირის რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლებისა (მშობლები, მეურვე, მზრუნველი), მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობით.

ვინ შეიძგა იყოს განმცხადებული ინდ. მეწარმედ რეგისტრაციაზე?

განმცხადებული სერვისზე შეიძლება იყოს უშუალოდ დაინტერესებული პირი (ვინც რეგისტრირდება ინდივიდუალურ მეწარმედ) ან დაინტერესებული პირის წარმომადგენელი.

რა დოკუმენტაციას საჭირო იხ. მეწარმედ რეგისტრაციისათვის?

როგორც უკვე აღვნიშნე ინდ. მეწარმედ რეგისტრაციისათვის დაგჭირდებათ იუსტიციის სახლში ვიზიტი ან შეგიძიათ ეწვიოთ შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს.

- განცხადება (რომელსაც ადგილზე ოპერატორი შეგივსგბთ);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე);
- კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვონ ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად (მაგრამ ეს ძალიან იშვიათად, შეიძლება მოხდეს).

ინდ. მეწარმედ რეგისტრაციის ვადა და ფასი:

- რეგისტრაცია ერთ სამუშაო დღეში – 20 ლარი;
- რეგისტრაცია იმავე სამუშაო დღეს – 50 ლარი.

ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და სრულდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე¹.

დასტებით რა შეიძლება გავთვალისწინოთ ინდ.მეწარმედ რეგისტრაციის?

იმ შემთხვევაში, თუ პირი ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირდება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მისამართისგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც არ წარმოადგენს მის საკუთრებას, დამატებით უნდა წარმოადგინონ აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობა ან სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული ხელშეკრულება, ამ ნივთით სარგებლობის შესახებ (იჯარის, ქირავნობის, თხოვებისა ან სხვა).

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით

¹ მონაცემები მოკვლეულია იუსტიციის სახლის ვებ-გვერდის დახმარებით: <http://house.gov.ge/>

დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

რა შემთხვევაში ხდება ინდივიდუალური მეწარმის რევისტრაციის გაუქმება?

ინდივიდუალური მეწარმის რევისტრაციის გაუქმების საფუძველია რევისტრირებული პირის განცხადება გაუქმების მოთხოვნით, ინდივიდუალური მეწარმის გარდაცვალება, გარდაცვლილად გამოცხადება, ქმედუუნაროდ აღიარება.

3.3 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო

იგი მსოფლიოში სამეწარმეო საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მის წარმოშობას საფუძვლად დაედო ორი მიზეზი.

პირველი, მისი შექმნის პროცედურა უფრო ადვილი იყო, ვიდრე სააქციო საზოგადოებისა; მეორე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება წევრობაზე დაფუძნებული საწარმოები კი არ არის, არამედ მათ გააჩნიათ საწესდებო კაპიტალი, რომლითაც შემოიფარგლება საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობა, ე.ი. ამ საწარმოს პარტნიორები საზოგადოების ვალებზე კი არ აგებენ პასუხს, არამედ საწარმოს საწესდებო კაპიტალით.

უმთავრესად, სწორედ ეს, მეორე მიზეზი გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნის საფუძველი, რადგან დამფუძნებლები ხშირად გაურბიან თავიანთი პირადი ქონებით პასუხისმგებლობას. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კაპიტალური საზოგადოებაა. მისი საწესდებო კაპიტალი არ უნდა იყოს ორი ათას ლარზე ნაკლები. ფულადი შესატანის დროს, თანხა შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ვალუტით. ფულადი შესატანის გარდა, საზოგადოებაში შესატანი შეიძლება წარმოდგენილ იყოს სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტის სახით, ე.ი. არაფულადი შესატანი.

არაფულადი შესატანი გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოების წესდებაში. მასში ასევე მითითებული უნდა იყოს არაფუ-

ლადი შესატანის სახეობა და თითოეული პარტნიორის წილის ოდენობა.

საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისათვის არაფულადი შესატანი უნდა განხორციელდეს ისე, რომ საზოგადოებას, მის ხელმძღვანელობას ჰქონდეს შესაძლებლობა თავისუფლად გამოიყენოს და განკარგოს იგი. თუ არაფულადი შესატანის თავისუფლად გამოყენება შეუძლებელია, მაშინ შესატანი განხორციელებულად არ ჩაითვლება და საზოგადოებას შეიძლება რეგისტრაციაზე უარი ეთქვას. შპს იქმნება პარტნიორების კაპიტალის გაერთიანების შედეგად. მისი არსებობა არ არის მასში წევრობაზე დამოკიდებული და სახოგადოებიდან პარტნიორის გამოსვლა არ იწვევს მის ავტომატურად დაშლას.

იგი შეიძლება დაარსოს როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმა. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი შეიძლება იყოს სახელმწიფოც. ამასთანავე, მისი დაარსება შეუძლია ერთ პირსაც.

შპს-ს აქვს მმართველობის დამოუკიდებელი ორგანოები - პარტნიორთა კრება და დირექტორატი. რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს, ამ ფორმის საზოგადოებისათვის იგი ფაკულტატური ორგანოა, დამოკიდებულია პარტნიორთა შეთანხმებაზე; და თუ ეს ორგანო არსებობს, მაშინ მასზე კრცელდება სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსათვის დადგენილი წესები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. იგი ტარდება სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მანც და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ.

რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს საწესდებო კაპიტალის მეოცედი ნაწილის, ე.ი. ხუთი პროცენტის, მფლობელ პარტნიორს. კრების მოწვევისას, მითითებული უნდა იყოს კრების მიზანი, დღის წესრიგი და კრების მოწვევის საფუძველი. თუ ინიციატორი პარტნიორის ამ მოწვევას სხვა პარტნიორები ან დირექტორები არ გამოეხმაურებიან, მაშინ იგი თვითონ იწვევს ამ კრებას. კრების მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის საკითხს წყვეტს საერთო კრება. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება

განსახილველ საკითხს.

რა თანხაა საჭირო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დასაფუძვებლად?

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება შეიძლება ნებისმიერი ოდენობის თანხით.

შეუძლიათ თუ არა შპს პარტნიორებს თვისის წილის განხვისება?

შპს პარტნიორებს შეუძლიათ გაასხვისონ თავისი კუთვნილი წილი, თუ წესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული.

როგორ განისაზღვრება შპს პარტნიორის წილის ოდენობა?

პარტნიორების წილი შპს-ში განისაზღვრება შპს-ს წესდებით.

ვინ მართავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას?

1) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მართავს პარტნიორთა კრება. შპს წესდებით შესაძლებელია გათვალიწინებული იყოს დირექტორის თანამდებობა და ფუნქციები.

2) შპს წარმომადგენლობას ახორციელებს შპს-ს დირექტორი. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ “კანონით ან/და საწარმოს წესდებით

შეუძლიათ თუ არა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ აწარმოოს ისეთი საქმიანობა, რომელიც არ არის განსაზღვრული მისი წესდებით?

შპს-ს შეუძლია აწარმოოს წესდებით გაუთვალისწინებული საქმიანობაც, თუ ეს საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კანონს.

3.4 სააქციო საზოგადოება

სააქციო საზოგადოება — იურიდიული პირი, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ნომინალური ღირებულება დგინდება კანონმდებლობით. საზოგადოების ყველა დოკუმენტი აღირიცხება საზოგადოების წიგნებში, რასაც ადასტურებს ყველა დოკუმენტი აღირიცხება საზოგადოების

სამეთვალყურეო საბჭოს თაგმჯდომარე ხელის მოწერით.

თუ აქციები გაცემულია სააქციო ბარათის სახით, მაშინ საზოგადოების წიგნში უნდა აღინიშნოს გაცემის თარიღი, ნომინალური ღირებულება და სააქციო ბარათის ნომერი. თუ არ არის სააქციო ბარათები გაცემული, მაშინ საზოგადოების წიგნში გაკეთებული რეგისტრაცია ცვლის სააქციო ბარათს. ამ შემთხვევაში აქციები საზელობით აქციებად უნდა გაიცეს. აქციონერთა მთავარი მოვალეობაა გადაიხადონ შესატანი განსაზღვრული აქციის მისაღებად. მათი პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებების მიმართ შემოიფარგლება აქციების შესაძნად გადახდილი თანხით, ანუ წილით სააქციო საზოგადოების კაპიტალში, ხოლო მათი წილი მოგებაში განისაზღვრება აქციის ნომინალური ღირებულების შესაბამისად. არ შეიძლება მიეცეთ აქციონერებს სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა.

საწესდებო კაპიტალი და აქციის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება სათანადოდ რეგისტრირებული სააქციო საზოგადოების წესდებით. ჩვეულებრივი აქციები შეიძლება გაიცეს როგორც წარმოდგენის, ასევე სახელობითი აქციების სახით. სახელობითი აქციები შეიძლება გაცემული იყოს ბარათზე ინდოსამენტის მეშვეობით, ან თუ კი ბარათები არ არის გაცემული სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებისა და საზოგადოების წიგნში რეგისტრაციის მეშვეობით. გაცემული ჩვეულებრივი აქციების უმცირესი ნომინალური ღირებულება უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, ერთ ხმას საერთო კრებაზე.

ყველა ჩვეულებრივი აქციის საერთო ნომინალური ღირებულების ოდენობამდე შეიძლება გაიცეს შეღავთიანი აქციები, რომლებიც განსაზღვრულია ჩვეულებრივ აქციებზე უფრო ადრე და უფრო მაღალი დივიდენდების მიღება, მაგრამ ისინი არ იძლევიან ხმის უფლებას საერთო კრებაზე. სახელობით აქციების გადაცემა სხვა პირებზე შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე. საზოგადოების წესდებასა და სააქციო ბარათში ან საზოგადოების წიგნში რეგისტრაცია უნდა აღინიშნოს ამგვარი თანხმობის აუცილებლობის შესახებ. სააქციო საზოგადოებას შეუძლია, ეროვნული ბანკის თანხმობით, საწესდებო კაპიტალის შესაქმნელად წარმომდგენისა და სახელობითი ფასიანი ქაღალდების

სახით, ასევე გამოუშვას ობლიგაციები, კონვენსიური სესხის ობლიგაციები შემდგომში მათი აქციებად გარდაქმნის უფლებით და ოფიციალური სესხით, შემდგომში სახელობითი აქციების მიღების უფლებით.

აქციონერები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ საერთო კრებაზე. საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელ აქციონერებს გააჩნიათ სხვა დამატებითი უფლებებიც. აქციონერმა თავისი აქციის წარდგენით უნდა დაამტკიცოს კრების მუშაობაში მისი მონაწილეობისა და ხმის უფლება. საერთო კრება გადაწყვეტილება უნარიანია თუ მას ესწრება, ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის სულ ცოტა ნახევარი. საერთო კრება მოიწვევა 20 დღის ვადაში, დირექტორების მიერ ბეჭდვით ორგანოში კრების დღის წესრიგის გამოცხადებიდან, ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნით. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, იგივე დღის წესრიგით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც წარმოდგენილი კაპიტალ-კვოტის მიუხედავად მაინც გადაწყვეტილებაუნარიანია.

საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას მოადგილე ან ერთ-ერთი დირექტორი. კრების მიმღინარეობისა და გადაწყვეტილების შესახებ ოქმს ადგენს ნოტარიუსი. ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო შედგება სულ ცოტა სამი და არა უმეტეს 21 წევრისგან. წევრთა 2/3 აირჩევა საერთო კრების მიერ, ხოლო 1/3 შეიძლება აირჩეს მუშა-მოშახურეობაგან. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს, იმავდროულად, დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა დღის წესრიგითურთ უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა 8 დღით ადრე.

სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმომადგენლია წევრთა ნახევარზე მეტი, რომელთა ხმების უბრალო უმრავლესობით მიღება გადაწყვეტილება. სამეურ-

ნეო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით, თუმცა, დირექტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

დირექტორებს ევალებათ საზოგადოების ზელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა, რისი უფლებამოსილებებიც განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანი წესით. დირექტორები ადგენერ წლიურ ანგარიშს და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშს, ასევე მოგების განაწილების ვარიანტს სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად, რის რევიზიასაც ახდენს მორიგი საერთო კრების მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებით არჩეული აუდიტორი¹.

რა არის აქცია?

1. აქცია არის ფასიანი ქაღალდი.

აქციის სახეებია: ჩვეულებრივი აქცია, რომელიც უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლება, პრივილეგირებული აქცია, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ დივიდენდის მიღებას.

რა არის აქციას ნომინალური ღირებულება?

• აქციის ნომინალური ღირებულებაა ის ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია სააქციო საზოგადოების წესდებით და რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება.

ეს ეკისრება პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე?

კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელია სააქციო საზოგადოება, მთელი თვისი ქონებით და არა რომელიმე მისი აქციონერი.

3.5 სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის

¹ ვიგიპჯია - Davis, J.S. (1917). Essays in the Earlier History of American Corporations, vols. 1–2, Cambridge, MA: Harvard University Press.

საწარმო, სადაც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზედაოების გაღდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთ-ერთი პარტნიორის სახელს, სპს დამატებით (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება)¹.

ყველი სამეურნეო წლის ბოლოს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყველა პარტნიორის წილი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3.6 კომანდიტური საზოგადოება

1. კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

2. კომანდიტურ საზოგადოებას ჰყავს ორი სახის პარტნიორები:

3. შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), რომელთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საგარანტიო თანხის გადახდით.

4. სრული პარტნიორები (კომპლემენტარები), რომელთა ქონებრივი პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდული არ არის.

კინ შეიძლება იყოს კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი?

კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი ასევე იურიდიული პირი.

აქვთ თუ არა მოგების მიღების უფლება შეზღუდულ პარტნიორებს კომანდიტურ საზოგადოებაში?

შეზღუდულ პარტნიორებს აქვთ კუთვნილი მოგების მიღების მოთხოვნის უფლება. მათ არ შეუძლიათ ამ მოგების მოთხოვნა, ვიდრე მათი შენატანი დათქმულ თანხაზე ნაკლებია.

შესაძლებელია თუ არა კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორების წილის მექვიდრეობით გადაცემა ან მისი გასწისება?

შეზღუდული პარტნიორების წილი შეიძლება გასხვისდეს ან მექვიდრეობით გადაეცეს სხვა პარტნიორის თანხმობის გარეშე, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

3.7 კოოპერატივი

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაქმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

რა ოდენობის წილი გაუთვის კოოპერატივის წევრს?

1.კოოპერატივის წევის წილი განისაზღვრება მის მიერ შეტანილი პაის ოდენობის მიხედვით.

2.კოოპერატივის ერთი წევრი შეიძლება ერთდროულად ფლობდეს რამდენიმე პარს.

3.კოოპერატივის წევრს შეუძლია გავიდეს კოოპერატივიდან მისი განკხადების საფუძვლზე.

4.კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის წილი გადაეცემა მის მექვიდრეს.

5.კოოპერატივის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს სამუურნეო წლის განმავლობაშიც თავისი პაი წერილიბითი შეთანხმებით გადასცეს სხვა პირს და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშმწორების გარეშე, თუ პრეტენდენტი მის მაგივრად ხდება ან უკვე არის კოოპერატივის წევრი. წესდება (პარტნიორთა შეთანხმება) შეიძლება კრძალავდეს ან დამატებით პირობებს უდგენდეს ამგვარ გადაცემას.

ბიზნესის ორგანიზაცია

იმისათვის, რომ ბიზნესმენმა დაარეგისტრიროს საწარმო ან ორგანიზაცია აუცილებელი პირობაა იცოდეთ ყველა ის შესაძლო

პრობლემა, რომელიც შეხვდება რეგისტრაციის დროს.

ამიტომ, შევეცადეთ მოკლედ აგვეზნა ის ძირითადი საკითხები, რომელიც რეგისტრაციის დროს დაგჭირდებათ. მაშ ასე, განვიხილოთ ეს კითხვები:

I-ლი კითხვა

რამდენ დღეში უნდა განხორციელდეს საწარმოთა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია?

პასუხი:

საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენისთანავე.

შე-2 კითხვა

რა შემთხვევაში შეიძლება ეთქვას უარი საწარმოს რეგისტრაციაზე?

პასუხი:

საწარმოს რეგისტრაციაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

ა) სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ აქმაყოფილებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

ბ) სარეგისტრაციოდ წარდგენილია ცრუ, არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები;

გ) არ არის გადახდილი სარეგისტრაციო მოსაკრებელი.

შე-3 კითხვა

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით რამდენს უნდა შეადგენდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი?

პასუხი:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

შე-4 კითხვა

საჭიროა თუ არა საწარმოს რეგისტრაციისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა?

პასუხი:

რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება.

მუ-5 კითხვა

საწარმოს სარეგისტრაციო განცხადება მოითხოვს თუ არა ნოტარიულ დამოწმებას?

პასუხი:

თუ პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) სარეგისტრაციო განცხადებას ხელს აწერენ მარეგისტრირებელ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იგი არ მოითხოვს ნოტარიალურ დამოწმებას. სხვა შემთხვევაში სარეგისტრაციო განცხადება ნოტარიალურად უნდა დამოწმდეს.

მუ-6 კითხვა

რომელი კანონი არეგულირებს საწარმოთა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას?

პასუხი:

საწარმოთა სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციას არეგულირებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; საქართველოს საგადასახადო კოდექსი და „გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის, იურიდიულ პირთა ფილიალების სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 8 მაისის 419 ბრძანება.

მუ-7 კითხვა

რა ითვლება საქართველოს საწარმოდ?

პასუხი:

საქართველოს საწარმოდ ითვლება საწარმო, რომლის საქმიანობის ან/და მართვის ადგილი საქართველოშია.

მუ-8 კითხვა

შეიძლება თუ არა გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის შეცვლა (გამოცვლა)?

პასუხი:

საიდენტიფიკაციო ნომერი მუდმივია და მისი შეცვლა (გარდა შეცდომით მინიჭებულისა) ან გამეორება აკრძალულია, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის

გათვალისწინებული.

მუ-9 კითხვა

რა ვადაში უნდა მიმართოს საწარმომ/ორგანიზაციამ საგადა-
სახდო ორგანოს რეგისტრაციისათვის?

პასუხი:

საწარმო/ორგანიზაცია ვალდებულია საგადასახადო
კოდექსით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის დაწყე-
ბამდე განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს
საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მიზნით.

მუ-10 კითხვა

სად ხორციელდება საწარმოს/ორგანიზაციის სახელმწიფო
ან/და საგადასახადო რეგისტრაცია?

პასუხი:

საწარმოს/ორგანიზაციის სახელმწიფო ან/და საგადასახადო
რეგისტრაცია (აღრიცხვა) ხორციელდება ადგილსამყოფლის (იური-
დიული მისამართის) მიხედვით შესაბამის საგადასახადო ორგანოში.

მუ-11 კითხვა

რა ვადაშია ვალდებული საგადასახადო ორგანო გასცეს
სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი?

პასუხი:

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან უნდა გაიცეს
დაუყოვნებლივ, პირის მოთხოვნისთანავე.

მუ-12 კითხვა

რა არის საჭირო სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიღების-
თვის?

პასუხი:

განცხადება შესაბამის საგადასახადო ორგანოში.

მუ-13 კითხვა

სავალდებულოა თუ არა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერზე
უფლებამოსილი პირის ხელმოწერის და ბეჭდის არსებობა?

პასუხი:

სამეწარმეო რეესტრის ამონაწერზე ხელს აწერს უფლება-
მოსილი პირი, რომელიც მოწმდება შესაბამისი ბეჭდით (გარდა
ელექტრონული სახით მიღებული რეესტრის ამონაწერისა).

მუ-14 კითხვა

აქვს თუ არა ელექტრონული სახით მიღებულ რეესტრის ამონაწერს იურიდიული ძალა?

პასუხი:

ელექტრონული სახით მიღებულ რეესტრის ამონაწერს აქვს იგივე იურიდიული ძალა, როგორიც წერილობითს.

მუ-15 კითხვა

ვადიანია თუ არა სახელმწიფო (სამეწარმეო) რეესტრის ამონაწერი?

პასუხი:

სახელმწიფო (სამეწარმეო) რეესტრის ამონაწერი შეიცავს მონაცემებს (ცვლილებების გათვალისწინებით), მისი გაცემის დღისათვის არსებული მდგომარეობით.

მუ-16 კითხვა

ვის შეიძლება მიეცეს ამონაწერი რეგისტრირებული საწარმოს სახელმწიფო რეესტრიდან, კონკრეტული საწარმოს შესახებ?

პასუხი:

სამეწარმეო რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაცენოს სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს და საწარმოს მარეგისტრირებელ საგადასახადო ორგანოში მიიღოს ამონაწერი რეესტრიდან.

მუ-17 კითხვა

ვის შეუძლია მიიღოს ელექტრონული სახის სახელმწიფო (სამეწარმეო) რეესტრის ამონაწერი?

პასუხი:

სახელმწიფო (სამეწარმეო) რეესტრის ამონაწერის ელექტრონული სახით მიღება შესაძლებელია, თუ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია განხორციელდა 2006 წლის 1 ივლისს ან/და შემდგომ პერიოდში. ამასთან, 2006 წლის 1 ივლისამდე რეგისტრაციის შემთხვევაში, სახელმწიფო (სამეწარმეო) რეესტრის ამონაწერის ელექტრონული სახით მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 2006 წლის 1 ივლისის შემდგომ პერიოდში მოხდა ცვლილების რეგისტრაცია.

მუ-18 კითხვა

სავალდებულოა თუ არა საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია?

პასუხი:

საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია არ არის სავალდებული. საწარმოს შეუძლია ფილიალის დაარსების შესახებ შეტყობინება (კანონის დანართი 6) გაუგზავნოს მარეგისტრირებელ ორგანოს ფილიალის აღვილსამყოფლის მიხედვით. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია, სამეწარმეო რეგისტრში შეიტანოს ინფორმაცია ფილიალის რეგისტრაციის თაობაზე.

მუ-19 კითხვა

რომელი საგადასახადო ორგანო ახორციელებს უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციას?

პასუხი:

უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაცია ხდება უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის იურიდიული მისამართის მიხედვით შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.

მუ-20 კითხვა

რა არის საჭირო სამეწარმეო იურიდიული პირის (შპს, სს, კს, სპს, კოოპერატივი) რეგისტრაციისათვის?

პასუხი:

- სარეგისტრაციო განცხადება. თუ პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) სარეგისტრაციო განცხადებას ხელს აწერენ მარეგისტრირებელ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იგი არ მოითხოვს ნოტარიალურ დამოწმებას. სხვა შემთხვევაში სარეგისტრაციო განცხადება ნოტარიალურად უნდა დამოწმდეს;

- საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის ნიშანში, რომელიც უნდა დამოწმდეს ნოტარიუსთან ან შესრულდეს მარეგისტრირებელ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით;

- თუ საწარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან უცხო ქვეყნის

იურიდიული პირები, ის სარეგისტრაციოდ წარადგენენ საქართველოს მოქალაქისათვის/ საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსათვის დადგენილ ექვივალენტურ მონაცემებს. უცხო ქვეყნის იურიდიული პირების შემთხვევაში მათი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტოლით ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.

- სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დამოწმებული საბანკო დაწესებულების მიერ).

21-ე კითხვა

რამდენია სამეწარმეო იურიდიული პირების (შპს, სს, კს, სპს, კოოპერატივი) სარეგისტრაციო მოსაკრებელი?

პასუხი:

- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაცია – 60 ლარი;
- კომანდიტური საზოგადოების რეგისტრაცია – 80 ლარი;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაცია – 160 ლარი;
- სააქციო საზოგადოების რეგისტრაცია – 360 ლარი;
- კოოპერატივის რეგისტრაცია – 120 ლარი;

22-ე კითხვა

რა დოკუმენტებია საჭირო უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის რეგისტრაციისათვის?

პასუხი:

- განცხადება სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის /აღრიცხვის შესახებ. განცხადებაში ფილიალის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერა შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით ან განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას ნოტარიალურად დამოწმებული;
- ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში, რომელიც შეიძლება შესრულდეს მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით ან დამოწმდეს სანოტარო წესით;

• მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული (ლეგალიზებული ან აპოსტოლით დამოწმებული) საწარმოს გადაწყვეტილება ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) საქართველოში რეგისტრაციის (დაფუძნების) და ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე;

• დამფუძნებელი საწარმოს საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, ოურიდიული მისამართის, სარეგისტრაციო (საიდენტიფიკაციო) ნომრის და საწარმოს ხელმძღვანელი პირების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტები (იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული სათანადო წესით);

• სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

23-ე კითხვა

რამდენია საწარმოს (მათ შორის უცხო ქვეყნის) ფილიალის სარეგისტრაციო მოსაკრებელი?

პასუხი:

საწარმოს (მათ შორის უცხო ქვეყნის) ფილიალის სარეგისტრაციო მოსაკრებელი შეადგენს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს რეგისტრაციისათვის დაწესებული მოსაკრებლის 50%-ს.

• შპს-ს ფილიალის რეგისტრაცია – 80 ლარი;

• სს-ის ფილიალის რეგისტრაცია – 160 ლარი;

• კოოპერატივის ფილიალის რეგისტრაცია – 60 ლარი;

• სპს-ს ფილიალის რეგისტრაცია – 30 ლარი;

• ქს-ს ფილიალის რეგისტრაცია – 40 ლარი.

24-ე კითხვა

რა დოკუმენტებია საჭირო საწარმოში დირექტორის ცვლილების რეგისტრაციისათვის?

პასუხი:

• სარეგისტრაციო განაცხადის ფორმა. თუ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი სარეგისტრაციო განცხადებას ხელს აწერს მარეგისტრირებელ ორგანოში, რეგისტრაციაზე

უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იგი არ მოითხოვს ნოტარიალურ დამოწმებას. სხვა შემთხვევაში სარეგისტრაციო განცხადება ნოტარიალურად უნდა დამოწმდეს;

• ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის ნიმუში, რომელიც უნდა შესრულდეს მარეგისტრირებულ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით ან დამოწმდეს ნოტარიუსთან.

25-ე კითხვა

რა დოკუმენტებია საჭირო საწარმოს სახელისა და იურიდიული მისამართის ცვლილების რეგისტრაციისათვის?

პასუხი:

• სარეგისტრაციო განაცხადის ფორმა. თუ ხელმძღვნელობაზე უფლებამოსილი პირი სარეგისტრაციო განცხადებას ხელს აწერს მარეგისტრირებულ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იგი არ მოითხოვს ნოტარიალურ დამოწმებას. სხვა შემთხვევაში სარეგისტრაციო განცხადება ნოტარიალურად უნდა დამოწმდეს;

• საწარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა;

• სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

26-ე კითხვა

რამდენია საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების სარეგისტრაციო მოსაკრებლი?

პასუხი:

საწარმოს წესდებაში ან მისი ფილიალის დებულებაში ცვლილებების სარეგისტრაციო მოსაკრებელი შეადგენს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს რეგისტრაციისათვის დაწესებული მოსაკრებლის 25%-ს.

• შპს-ს სარეგისტრაციო მონაცემებში, წესდებაში ცვლილებების რეგისტრაცია – 40 ლარი;

• სს-ის სარეგისტრაციო მონაცემებში, წესდებაში ცვლილებების რეგისტრაცია – 90 ლარი;

• კოპერატივის სარეგისტრაციო მონაცემებში, წესდებაში ცვლილებების რეგისტრაცია – 30 ლარი;

• სპს-ს სარეგისტრაციო მონაცემებში, წესდებაში ცვლილებების რეგისტრაცია – 15 ლარი;

• კს-ს სარეგისტრაციო მონაცემებში, წესდებაში ცვლილებების რეგისტრაცია – 20 ლარი.

27-ე კითხვა

სად რეგისტრირდება სამეწარმეო ამხანაგობა?

პასუხი:

სამეწარმეო ამხანაგობა რეგისტრირდება საგადასახადო ორგანოში ერთ-ერთი იმ პირის მისამართის მიხედვით, რომლის სახელიც (სახელწოდებაც) მითითებულია სამეწარმეო ამხანაგობის სახელწოდებაში.

28-ე კითხვა

რა არის საჭირო სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციისათვის?

პასუხი:

• სარეგისტრაციო განცხადება. თუ პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) სარეგისტრაციო განცხადებას ხელს აწერეს მარეგისტრირებულ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იგი არ მოითხოვს ნოტარიიალურ დამოწმებას. სხვა შემთხვევაში სარეგისტრაციო განცხადება ნოტარიალურად უნდა დამოწმდეს;

• ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის ნიშვნი, რომელიც უნდა დამოწმდეს ნოტარიუსთან ან შესრულდეს მარეგისტრირებულ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით;

• სამეწარმეო ამხანაგობის მონაწილე ფიზიკური პირები, რომლებიც არ არიან მეწარმედ რეგისტრირებული, ვალდებული არიან, სამეწარმეო ამხანაგობის სარეგისტრაციო განცხადებასთან ერთად წარადგინონ განცხადება ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის შესახებ და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

• სამეწარმეო ამხანაგობის მონაწილე უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციისათვის, სარეგისტრაციო განცხადებასთან ერთად

წარდგენილ უნდა იქნას აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული მისი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

29-ე კითხვა

რამდენია სამეწარმეო ამხანაგობის სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის მოსაკრებელი?

პასუხი:

სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციისათვის არ მოხდება გადახდა სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელის ან სხვა რაიმე გადასახადის.

30-ე კითხვა

სად ხდება საწარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაცია?

პასუხი:

საწარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილება არ მოითხოვს სამეწარმეო რეგისტრში რეგისტრაციას. საწარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაციას ახორციელებს:

ა) თუ საწარმოს პარტნიორთა რაოდენობა 50 ან 50-ზე ნაკლებია – თავად საწარმო ან დამოუკიდებელი რეგისტრატორი;

ბ) თუ საწარმოს პარტნიორთა რაოდენობა 50-ზე მეტია – დამოუკიდებელი რეგისტრატორი.

წელიწადში ერთხელ მართვაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი მარეგისტრირებელ ორგანოში წარადგენს ინფორმაციას (წინა წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობით) საწარმოში პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის შესახებ.

31-ე კითხვა

რა დოკუმენტებია საჭირო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის?

პასუხი:

- სარეგისტრაციო განაცხადი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი სარეგისტრაციო განაცხადი, დამოწმებული სანოტარო წესით;

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

დაფუძნების სანოტარო წესით დამოწმებული აქტი (ოქმი);

• ეროვნული სპორტული ფედერაციების, ქონებრივი უფლებების კოლეგიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების ან პროფესიული კავშირების რეგისტრაციის შემთხვევაში – მათი სანოტარო წესით დამოწმებული წესდებები;

• სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დამოწმებული საბანკო დაწესებულების მიერ);

• ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) გამოიყენებს საქმიან ურთიერთობებში;

• ცნობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ – ადგილსამყოფლის მესაკუთრის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა ან ადგილსამყოფლით სარგებლობის თაობაზე დადგნილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.

32-ე კითხვა

რამდენია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო მოსაკრებელი?

პასუხი:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო მოსაკრებელი შეადგენს 60 ლარს.

33-ე კითხვა

სავალდებულოა თუ არა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო განაცხადის სანოტარო წესით დამოწმება?

პასუხი:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო განაცხადი მოწმდება სანოტარო წესით.

34-ე კითხვა

რამდენ დღეში ხდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია?

პასუხი:

გადაწყვეტილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო და

საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ მიიღება განაცხადის შეტანიდან 3 სამუშაო დღეში.

35-ე კითხვა

რა არის საჭირო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (მათ შორის უცხო ქვეყნის) ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციისათვის?

პასუხი:

- სარეგისტრაციო განაცხადი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი სარეგისტრაციო განაცხადი დამოწმებული სანოტარო წესით;
 - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება ფილიალის (წარმომადგენლობის) შექმნის შესახებ;
 - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
 - გადაწყვეტილება ფილიალის (წარმომადგენლობის) ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ფილიალის (წარმომადგენლობის) ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე;
 - სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დამოწმებული საბანკო დაწესებულების მიერ);
 - ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) გამოიყენებს საქმიან ურთიერთობებში.
- უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის შემთხვევაში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება ფილიალის (წარმომადგენლობის) შექმნის და ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ, აგრეთვე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული სათანადო წესით.

36-ე კითხვა

რამდენია არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირის (მათ შორის უცხო ქვეყნის) ფილიალის სარეგისტრაციო მოსაკრებელი?

პასუხი:

საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირის ფილიალის სარეგისტრაციო მოსაკრებელი შეადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დაწესებული მოსაკრებლის 50%-ს- 30 ლარი.

უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირის (განურჩევლად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) ფილიალის სარეგისტრაციო მოსაკრებელი შეადგენს 40 ლარს.

IV თავი. საინვესტიციო პოლიტიკა და გენერაციული

4.1 ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა

ინვესტიციები უზრუნველყოფს კვლავწარმოების უწყვეტობას. ხელს უწყობს საწარმოო, ინვესტიციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობს წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურიანობის შემდგომი ამაღლების პროცესში.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარებში.

სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (ინვესტირე - შემოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში. ამასთანავე არსებობს ინვესტიციების მრავალი განმარტება, კერძოდ, ჯონ მეინარდ კეინსის განმარტებით ინვესტიციები ორგვარი ხასიათის მატარებელი ეკონომიკური კატეგორიაა.

ერთი შერივ, იგი წარმოადგენს დაგროვების მიზნებისათვის აკუმულირებელი შემოსავლების სიდიდეს, ანუ პოტენციურ საინვესტიციო მოთხოვნას; ხოლო მეორე შერივ, დანახარჯს, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო წინადადებების რეალიზაციის შედეგად კაპიტალური ქრინგის მნიშვნელოვან ზრდას. მისი აზრით, ინვესტიციები არის კონკრეტულ პერიოდში სამეწარმეო საქმიანობის შედეგად კაპიტალური ქრინგის დირექულების ზრდა; ასევე შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მოცემული პერიოდისათვის მოხმარებისათვის არ არის გამოყენებული [12,13,14].

გმენქიუს აზრით „ინვესტიციების მცირე რაოდენობაც კი, მშრომელთა მწარმოებლურობის მკვეთრ ზრდას იწვევს. მდიდარ ქვეყნებში მშრომელებს კაპიტალის დიდი რაოდენობა აქვთ, რომელსაც შრომაში იყნებენ და მათი მაღალი მწარმოებლურობაც ამით აიხსნება“ [23].

ინვესტიციების არსის ახსნისათვის ეკონომიკურ ლიტერა-

ტურაში ასევე ხშირად გამოიყენება ლგიტმანისა და გჯონკის განმარტება, კერძოდ, "ინვესტიცია" – ეს კაპიტალის განთავსების ნებისმიერი ინსტრუმენტია, გათვლილი ხერხია კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების ან ზრდის და შემოსავლების დადებითი სიდიდის მიღების მიზნით [24].

ინვესტიციებში იგულისხმება ეკონომიკურ სისტემაში მოქმედი კაპიტალის მოცულობის ზრდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიცია წარმოადგენს სხვადასხვა ინსტრუმენტით განხორციელებული გარკვეული ხარჯების ერთიანობას აწმყოში და შესაძლო გაფართოებულ მოთხოვნას მომავალში.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს ინვესტიციის ორგვარი განსაზღვრა: პირველი – ეკონომიკური ანუ არსობრივი, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია არის სამომავლო მოთხოვნი-ლებების დაკმაყოფილების აქტი გაზრდილი მოცულობით და მეორე - ტექნიკური, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია დანახარჯების ჯამია. ორივე ეს ასპექტი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ურთიერთს განსაზღვრავს.

ამასთანავე, ინვესტიციების განხორციელება დასაშვებია, როდესაც მოცემული საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის პირობებში, ინვესტიციების კაპიტალური ღირებულება C_0 , მისი რეალიზაციის საწყის ეტაპზე არ არის უარყოფითი:

$$C_0 = \sum \frac{b_t - a_t}{1 + j} \geq 0,$$

სადაც, t - მოქმედების დრო,

b - დარიცხვები,

a - გადახდები.

აღნიშნული პრინციპი მეტყველებს იმაზე, რომ მოცემული საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის პირობებში, ინვესტიციები მისაღებია, როდესაც ყოველწლიური საშუალო შემოსავლები აჭარბებს შესაბამის დანახარჯებს. შესაბამისად, ინვესტიციების განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების არსებობისას უპირატესობა ენიჭება იმ ვარიანტს, როდესაც მოცემული საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის პირობებში გარკვეული მომენტისათვის კაპიტალური ღირებულება მინიმალურია.

ცნება “საინვესტიციო გარემო” მოიცავს ყველა იმ ფაქტორს, რომელსაც ითვალისწინებს ინვესტორი კაპიტალდაბანდებების განხორციელებამდე და რომელიც, საბოლოო ჯამში აისახება ისეთ კომპლექსურ მაჩვენებელზე, როგორიცაა საინვესტიციო რისკი [25, 26].

საქართველოს კანონმდებლობით “ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდება და გამოყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე” [27, 28].

ინვესტიციების ყველა ზემოაღნიშნული განმარტებების შეჯამებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ინვესტიციის ცნება შემდეგნაირად: ინვესტიცია ეს ფაქტიურად კონკრეტული საქმის, პროექტის ან ღონისძიების შესასრულებლად მიმართული ფულია. ასეთი კაპიტალის დაბანდების მიზანი მოგებაა.

სამეწარმეო საქმიანობის ობიექტებში ინვესტიციები სხვა-დასხვა ფორმით, აღრიცხვის, ანალიზის და დაგეგმვისათვის ისინი კლასიფიცირდება ცალკეული ნიშნის მიხედვით.

დაბანდების ობიექტების მიხედვით გამოყოფენ რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებს. რეალური ინვესტიციები (კაპიტალ-დაბანდებები) ფულის დაბანდებაა მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებში. ფინანსური ინვესტიციები საშუალებების დაბანდებაა ფასიან ქაღალდებში – აქციები და ობლიგაციები.

ინვესტირებაში მონაწილეობის მიხედვით, არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი ინვესტიციები.

პირდაპირი ინვესტიცია ითვალისწინებს ინვესტორის უშუალო მონაწილეობას ფულადი საშუალებების ჩასადებად ობიექტის შერჩევაში. იგი გულისხმობს შრომის პროდუქტის პირდაპირ გარდაქმნას წარმოების საშუალებებად, კაპიტალის ფულად ფორმაში ფორმირების ეტაპის გარეშე.

არაპირდაპირი ინვესტიციები ხდება საფინანსო შუამავლების მეშვეობით – კომერციული ბანკები, საინვესტიციო კომპანიები, ფონდები და სხვა.

პერიოდის მიხედვით ინვესტირება იყოფა – მოკლევადიან და გრძელვადიან ინვესტიციებად. ზოგადად, მოკლევადიანს მიაკუთვნებენ 1 წლამდე პერიოდს, გრძელვადიანს – 1 წლის ზევით.

ინვესტიციები საკუთრების ფორმის მიხედვით იყოფა: კერძო,

სახელმწიფო, ერთობლივი და უცხოური.

კერძო ნიშნავს, როდესაც ინვესტიციის ჩადება ხდება სახელმწიფო ფორმის იურიდიული პირების ან უშუალოდ მოქალაქების მიერ.

სახელმწიფო ინვესტიციები ახასიათებს სახელმწიფო და მუნიციპალურ საწარმოებში კაპიტალის ჩადებას, აგრძოვე ცენტრალურ და რეგიონულ ბიუჯეტებს და არასაბიუჯეტო ფონდებს.

როდესაც საუბარია საინვესტიციო გადაწყვეტილების შესახებ, აქტუალური ხდება რისკ-ფაქტორების გაანალიზების საკითხი. ინვესტიციების მოსალოდნელი შედეგების შეფასებისას გამოიყენება:

“სუფთა დღევანდელი ღირებულების” მეთოდი, რითაც განისაზღვრება მომავალში მოსალოდნელი შემოსავლების დღევანდელი ღირებულება.

“უკავების საპროცენტო განაკვეთი”, როდესაც პროექტზე გაწეული დანახარჯები ამ პროექტის განხორციელების შემდეგ მისაღები შედეგების მიხედვით დგინდება.

ინვესტიციის “ამოღების” მეთოდი, რაც განისაზღვრება ინვესტიციაზე გაწეული დანახარჯების ამოღება [30].

კაპიტალდაბანდების განხორციელებამდე ინვესტორისთვის გადასაწყვეტი ძირითადი რისკ-ფაქტორები შეიძლება შემდევი სახით ჩამოყალიბდეს: განვიხილოთ პოლიტიკური რისკი, რომელიც უპავშირდება ქვეყნის შევნით მოსალოდნელ სამოქალაქო არასტაბილურობას. ინვესტიციების ეკონომიკური არსის დახასიათების შემდეგ, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სახსრების დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ინვესტორის მიერ გასავლელი ეტაპები [32].

პირველი ეტაპი, მიმართულია კაპიტალის სწრაფი ზრდისკენ – ინვესტიციების განხორციელების საწყის ეტაპზე ინვესტორს, როგორც წესი, აქვს შეზღუდული რაოდენობის თანხა, ამიტომ იგი მიისწრაფვის სახსრების სწრაფი მიღებისკენ, დროის შედარებით მოკლე განაკვეთში.

მეორე ეტაპი მნიშვნელოვანი ხდება კაპიტალის ზრდის ხარისხი და ინვესტიციისგან მიმდინარე შემოსავლის მიღება.


მესამე ეტაპი, მოიცავს კაპიტალის შენარჩუნებას, მდგრადი

და, ამასთანავე, მაღალი შემოსავლის მიღებას.

ინვესტიციები იყოფა აგრეთვე რისკის მიხედვით: ურისკო, დაბალი რისკის, საშუალო და მაღალი რისკის ინვესტიციებად.

ურისკო ინვესტიციებია, როდესაც საშუალებების დაბანდება ხდება ისეთ ობიექტებში, საიდანაც გარანტირებულია მოგების მიღება. დაბალი რისკის ინვესტიციებად ითვლება, სადაც კაპიტალი იდება ისეთ ობიექტებში, რომელშიც რისკი დაბალია საშუალო საბაზრო დონეზე. საშუალო რისკის ინვესტიციებია, როდესაც რისკი შეესაბამება საშუალო საბაზრო დონეს. მაღალი რისკის ინვესტიციებად ითვლება როცა რისკი მაღალია საშუალო საბაზრო დონესთან შედარებით.

სქემატურად ინვესტირების პროცესი შემდეგნაირად გამოიყერება:



ნახ.N 1

ინვესტიცია ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა, მხოლოდ ინვესტიციების გამოყენებით ხდება ეკონომიკის წინსვლა [27].

მეწარმე, რომ აწყობილი საქმიდან მიღებულ მოვებას მხოლოდ თავის კეთილდღობას ახმარდეს და მოგების ნაწილს არ დებდეს უკან, მის გაფართოებაში, მაშინ კონომიკა ერთ ადგილზე გაიყინებოდა. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს შექმნას, რისთვისაც სახელმწიფომ

სათანადოდ შეუწყოს ხელი ინვესტორს ადგილობრივი იქნება ეს (უფრო მეტადაც) თუ გარედან შემოსული.

იმისათვის, რომ სწორად და საღად წარიმართოს საინვესტიციო პროცესი ერთ ერთი მთავარი პირობაა სწორი საინვესტიციო პოლიტიკის არსებობა.

ამ მიზნით კანონმდებლობაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს საინვესტიციო კაპიტალის გადასახადებიდან გათავისუფლება გარკვეული დროით, ინვესტიციის დაცვა, რეინვესტიციის (ინვესტირებით მიღებული მოგების ისევ საქმეში უკან ჩადება) წახალისება და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციების ძირითადი ეტაპების კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამ პროცესის სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე და საპროგნოზო ეტაპებზე მაკროეკონომიკური პარამეტრების დაგეგმვა ემყარება ორ მთავარ ფაქტორს, რომელთაგან ერთ-ერთია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა. ეს პროცესი უნდა ეყრდნობოდეს ფისკალური პოლიტიკის შესაბამის ცვლილებებს, სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რეფორმებს, რათა ეკონომიკის დროებითი გამოცოცხლების საფუძველზე, საფინანსო-საბანკო სისტემის მონაწილეობით, უზრუნველყოს გრძელვადიანი ზრდა [15].

რაც უმთავრესია საინვესტიციო პოლიტიკაში ეს არის როგორი საინვესტიციო გარემო იქნება ქვეყნაში.

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად მეტად მნიშვნელოვანია ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების რიცხვის გაზრდა. დიდი მნიშვნელობა აქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებელ ხელშეკრულებებს, ვინაიდან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო, ერთი მხრივ, უკავშირდება იმ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობას, სადაც განხორციელდა ინვესტიცია, ხოლო მეორე მხრივ – იმ ქვეყნისას, რომლის რეზიდენტიცაა ინვესტორი.

ქვეყნებს შორის შესაბამისი ხელშეკრულების არ არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება იწვევს ორმაგ დაბეგვრას, რაც უარყოფითად აისახება კაპიტალის მოძრაობაზე და, შესაბამისად, ინვესტიციების განხორციელებაზე.

ინვესტიციების განხორციელებისას ყველაზე დიდი შემაფერ-

ხებელი პრობლემა, კორუფციასთან ერთად, არის ბიუროკრატია, რაც სერიოზულ ბარიერს უქმნის ყოველ ინვესტორს.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს ნაკლოვნებას წარმოადგენს ასევე ე.წ. დამატებითი ხარჯების მაღალი დონე; მშედველობაში გვაქვს: კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდება და აქედან გამომდინარე, მეწარმეების დამატებითი ხარჯების ზრდა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

უცხოელი მეწარმეები ერთხმად აცხადებენ, რომ ყველაზე მეტ პრობლემებს ისინი საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობისას აწყდებიან. არანაკლებ მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ქვეყნის არასრულყოფილი საბანკო სისტემაც. იყულისხმება, სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი და ბანკების მიერ, ძირითადად, მოკლევადიანი კრედიტების გაცემა. სანვესტიციო გარემოზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა.

საქართველოში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, რაც კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. აქვე აღვნიშვნავთ, რომ არსებული სიძნელეების გამო მრავალი საინვესტიციო კომპანია იკავებს თავს საქართველოში ინვესტიციების დაბანდებაზე.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა წარმოადგენს. საინვესტიციო პოლიტიკის საშუალებით შესაძლებელია წარმოების მოცულობის, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესის დინამიკაზე ზემოქმედება.

საერთოდ საინვესტიციო პოლიტიკა გამომდინარეობს მაკრო და მიკროეკონომიკური ინვესტირების შერწყმაში. ამიტომ საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპი იქმნება ყველა ეკონომიკური ბერკეტით - სახელმწიფო შეკვეთებით, საკრედიტო, საგადასახადო, საამორტიზაციო და სხვა მარეგულირებელი ინსტრუმენტებით სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობისათვის მიზანშეწონილი ეკონომიკური გარემოს შექმნით [13].

სტაბილური საინვესტიციო გარემო ჩვენ ქვეყანაში

მოზღვავებული და პორტფელური ინვესტიციების მოზიდვის საწინდარია. საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობა იხვეწება და ორიენტირებულია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე.

სახელმწიფოს ამოცანაა შემუშაოს მწყობრი, პერსპექტივაზე გათვლილი, დაბალანსებული სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა და შექმნას მისი რეალიზაციისათვის საჭირო სამართლებრივი, ეკონომიკური და ადმინისტრაციული მექანიზმები, რაც ითვალისწინებს:

ინვესტიციების დაფინანსების საიმედო წყაროებისა და მეთოდების შეჩევას; საინვესტიციო პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრას; საინვესტიციო პაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნას; ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

დასახელმწიფო მექანიზმების ამუშავებისათვის სახელმწიფო უნდა უზრუნველყოს სწორი საგადასახადო სისტემა. უნდა მოაწესორივოს ამორტიზაციის დარიცხვისა და საამორტიზაციო ანარიცხების მექანიზმი. დაიცვას ინვესტირების ინტერესები; მიიღოს ანტიმონოპოლიურ ზომები; ხელი შეუწყოს ფინანსური ლიზინგის განვითარებას. შექმნას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელი პირობები.

საქართველოს მთავრობამ, 2006 წელს, მიიღო კანონი “ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”. მოცუმული კანონის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით [26].

იგი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებზე, რომელიც დაბანდებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე.

ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ზემოთხსენებული სააგენტო არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ინვესტორებთან ურთიერთობაში.

სააგენტოს საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. სააგენტო უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის აღებაში, ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში. ზემოხსენებული მოშპასურება ფასიანია (გამონაკლისს წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიცია) და მომხასურების საფასურს განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო [19].

საინვესტიციო პოლიტიკა მუშავდება რეგიონალ, დარგობრივ და სამეურნეო სუბიექტების დონეზე. ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ მათ რეალიზაციაზე უპირველეს გავლენას ახდენს სახლმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს და შექმნას საინვესტიციო გარემო, რომელიც დაიცავს ინვესტორს.

საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკა არის საწარმოს ფინანსური სტრატეგიის შემადგენლი ნაწილი, რომელიც მდგომარეობს საწარმოო პოტენციალის გაფართოებასა და განახლების უფრო რაციონალური გზების შერჩევასა და რეალიზაციაში.

საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებას საფუძვლად უდევს შემდეგი პრონციპები:

- ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური ეფექტების მიღწევა.

- უფრო მეტი მოგების მიღება ჩადებულ კაპიტალზე მინიმალური საინვესტიციო დანახარჯების პირობებში.

- სახსრების რაციონალური განკარგვა.

- საწარმოს მიერ სახელმწიფო მსარდაჭერის გამოყენება ინვესტიციების ეფექტიანობის გადაღებისათვის.

- სუბსიდიებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და კერძო უცხოური ინვესტორების შეღავათიანი კრედიტების მოზიდვა.

- კონკრეტული პროექტების რეალიზაციასთან დაკავშირებული საინვესტიციო რისკების მინიმიზაციის უზრუნველყოფა.

- ინვესტიციების ლიკვიდურობის უზრუნველყოფა.

საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

1) საწარმოს ფინანსური მდგომარეობა;

2) წარმოების ტექნიკური დონე;

3) ლიზინგით დანადგარების მიღების შესაძლებლობა;

4) საწარმოს საკუთარი სახსრების, აგრეთვე სასესხო

საშუალებების მიღების შესაძლებლობების არსებობა;

5) შეღავათები, რომელსაც ინვესტორი მიიღებს

სახელმწიფოსგან;

6) პროექტის კომერციული და საბიუჯეტო ეფექტიანობა;

7) დაზღვევის და არაკომერციული რისკებიდან შესაბამისი გარანტიების მიღების პირობები.

საწარმოს საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაციისათვის რესურსების მოთხოვნილება განისაზღვრება მისი სამეცნიერო და საწარმოო პოტენციალით, რომელიც აუცილებელია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად პროდუქციის გამოსაშვებად.

საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას რეკომენდდებულია განისაზღვროს ინვესტიციების საერთო მოცულობა, საკუთარი სახსრების გამოყენების გზები და დამატებითი ფულადი რესურსების მოზიდვის შესაძლებლობები [20].

საინვესტიციო პოლიტიკის უფექტიანობა ფასდება შემოსავლების და ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის მაჩვენებლებით. აღნიშნული მაჩვენებლები განისაზღვრება ბიზნეს-გეგმისა და პროექტის დასაბუთების წინასწარი გაანგარიშების საფუძველზე საწარმოს საინვესტიციო სტრატეგიის ფარგლებში.

4.2. საინვესტიციო მენეჯმენტის ამოცანები და ფუნქციები

საინვესტიციო მენეჯმენტი ეყრდნობა ზოგადი მენეჯმენტის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და წარმოადგენს ფუნქციონალური

მენეჯმენტის ნაირსახეობას. საინვესტიციო მენეჯმენტი შედის საწარმოს მართვის საერთო სისტემაში და მისი ერთ-ერთი ფუნქციონალური ნაწილია; უშუალო კავშირშია საწარმოს მართვის ისეთ ძირითად ფუნქციონალურ სისტემასთან, როგორიცაა საფინანსო მენეჯმენტი, საინოვაციო მენეჯმენტი, საწარმოო-ტექნიკური მენეჯმენტი და სხვა [21, 22].

კავშირი საფინანსო მენეჯმენტთან ვლინდება საკუთარი და ნასესხები წყაროების ხარჯზე საინვესტიციო რესურსების ფორმირების მართვით. საინოვაციო მენეჯმენტის სისტემასთან ასოცირდება, საინოვაციო საქმიანობის გაატეიურების საფუძველზე დამატებით მიღებული მოგებიდან საკუთარი ინვესტიციების განვითარების მართვით. საწარმოს მართვის საერთო სისტემასთან ინტეგრირება ხელს უწყობს ინვესტირების მიმართულებებისა და ფორმირების სწორად შერჩევას, საინვესტიციო პროექტების ოპტიმალურად დაფინანსებას და საერთოდ ინვესტირების ეფექტიანობას.

საინვესტიციო მენეჯმენტი მთავარი მიზნის რეალიზაციის პროცესში წყვეტის შემდეგ ამოცანებს:

- ეფექტინი საინვესტიციო გზით ქმნის საწარმოს ეკონომიკური განვითარების მაღალ ტემპს. საინვესტიციო საქმიანობით რეალიზდება საწარმოს გრძელვადიანი მიზნები.

- საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსავლების მაქსიმიზაციის უზრუნველყოფა ხდება საბოლოო ჯამში მომგებიანი ინვესტიციის შერჩევის შედეგად.

- უზრუნველყოფს საინვესტიციო რისკების მინიმიზაციას. ამ დროს აუცილებელია განისაზღვროს საინვესტიციო რისკები და მასთან დაკავშირებული ფინანსური დანაკარგები.

- ფირმის ფინანსური მდგრადობის და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში არსებითია საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება, მას თან უნდა ახლდეს ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზი.

- საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციის დაჩქარების გზების ძიება. საინვესტიციო პროგრამების სწრაფი რეალიზაცია ხელს უწყობს ბაზრის კონიუქტურის შეცვლას და საინვესტიციო რისკების შემცირებას.

საინვესტიციო მენეჯმენტი იყოფა ფუნქციონალურ ჯგუფებად. ეს ჯგუფებია: 1. საინვესტიციო მენეჯმენტის, როგორც მმართველობითი სისტემის ფუნქციები და 2. საინვესტიციო მენეჯმენტის, როგორც საწარმოს მართვის სპეციალური სფეროს ფუნქციები.[23]

პირველი ითვალისწინებს შეძლევ სამუშაოებს:

• საწარმოს საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავება გულისხმობს საინვესტიციო საქმიანობის მიზნებსა და მიზნობრივი მაჩვენებლების სისტემის გრძელვადიანი პერიოდისათვის ჩამოყალიბებას;

• საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის ყველა ასპექტის მიხედვით მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფით ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა. ასეთ სტრუქტურებს აგებენ ფუნქციონალურ ან იერარქიული ნიშნით და გამოყოფენ კონკრეტულ "პასუხისმგებლობის ცენტრებს" [30].

• საინვესტიციო გადაწყვეტილებათა ალტერნატიული ვარიანტების დასაბუთებისათვის ეფექტური საინფორმაციო სისტემების ფორმირება ამ დროს უნდა მოეწყოს საწარმოს საინვესტიციო პოზიციის და ინვესტიციის ბაზრის კონიუქტურის მუდმივი მონიტორინგი;

• საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის ანალიზის განხორციელება სხვადასხვა ასპექტით. ამ ფუნქციის რეალიზაციის პროცესში ტარდება ცალკეული საინვესტიციო ოპერაციების ექსპრეს-ანალიზი;

• საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის დაგეგმვის განხორციელება მისი ძირითადი მიმართულებების მიხედვით ხდება მიმდინარე გეგმებისა და ოპერატიული ბიუჯეტების შედგენა ძირითადად საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით.

- საინვესტიციო საქმიანობის სფეროში მიღებული მმართველობით გადაწყვეტილებათა რეალიზაციის სტრუქტურირების ქმედითი სისტემების შემუშავება. ამ ფუნქციის რეალიზაციის პროცესში ყალიბდება წახალისებისა და სანქციების სისტემა.

- საინვესტიციო საქმიანობის სფეროში მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ეფექტური

კონტროლის განხორციელება იგი უკავშირდება საწარმოში შიდა კონტროლის შექმნას.

საწარმოს მართვის სპეციალური ფუნქციები [30]:

✓ რეალური ინვესტიციების მართვა, ამ დროს ხდება ცალკეული რეალური პროექტების ძიება და მათი საინვესტიციო მიზანდევლობის შეფასება და ყველაზე ეფექტური პროგრამების შერჩევა.

✓ ფინანსური ინვესტიციების მართვა მიმდინარეობს ფინანსური ინვესტიციების პორტფელის შედგენა მისი შემოსავლიანობის, რისკის და ლიკვიდურობის კრიტერიუმების მიხედვით.

✓ ინტელექტუალური ინვესტიციების მართვა ითვალისწინებს მისი შეძენისა და განვითარებისათვის ღონისძიებების განსაზღვრას.

✓ საინვესტიციო რესურსების მართვა მდგომარეობს ფინანსურ ბაზარზე სიტუაციიდან გამომდინარე საინვესტიციო მიზნით სასესხო კაპიტალის მოზიდვის მიზანშეწონილობას.

✓ საინვესტიციო საქმიანობისათვის განპირობებული ფულადი ნაკადების მართვას სრულყოფს საინვესტიციო საქმიანობის პროცესში ფულადი სახსრების მიღებისა და ხარჯვის პროგნოზირება.

საერთოდ, საინვესტიციო მენეჯმენტის ობიექტებს წარმოადგენს:

➤ საწარმოთა ინვესტიციები,

➤ საინვესტიციო საქმიანობა,

➤ მცირე საწარმოს მესაკუთრე, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საინვესტიციო მენეჯმენტის ფუნქციებს,

➤ ფართო პროფილის საინვესტიციო მენეჯერი ანუ დაქირავებული სპეციალისტი, რომელიც ასრულებს საწარმოს საინვესტიციო მართვის ყველა ფუნქციას,

➤ ფუნქციური საინვესტიციო მენეჯერი არის დაქირავებული სპეციალისტი, რომელიც მართვის სპეციალიზებულ ფუნქციებს ასრულებს, კერძოდ:

1. საწარმოს რეალური ინვესტიციების მართვა,

2. საწარმოს ფინანსური ინვესტიციების მართვა,

3. საინვესტიციო რესურსების ფორმირება და ფულადი ნაკადების მართვა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით საინვესტიციო გარემოს შეფასების პირველი გამოკვლევა ეპუთვნის პარვარდის ბიზნესის სკოლის თანამშრომლებს (1969 წელი). პირველი კვლევის მეთოდიკა ითვალისწინებდა საექსპერტო სკალის გამოყენებას. იგი მოიცავდა ცალკეული ქვეყნების მიხედვით შემდეგ მახასიათებლებს: უცხოური და საკუთარი ინვესტორებისათვის საკანონმდებლო პირობები, კაპიტალის გატანის შესაძლებლობები; ეროვნული ვალუტის სიმყარე, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია; ინფლაციის დონე, ეროვნული კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობა. იმის გამო, რომ გამოკვლევაში საინვესტიციო გარემოს შეფასებისათვის გამოყენებული მაჩვენებლები საკმარისი არ აღმოჩნდა ინვესტიციურ პროცესებზე მოქმედი პირობების მთელი კომპლექსის დეტალური ანალიზისათვის, საჭირო გახდა შესაძარავი პარამეტრების გაფართოება და რაოდენობრივ (სტატისტიკურ) მაჩვენებელთა შემოღება, რაც მოხდა 1981 და 1989 წლებში. ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა შემდეგი სახის პარამეტრები და მაჩვენებლები: ეკონომიკური სისტემის ტიპი, მაკრო- ეკონომიკური მაჩვენებლები (მეპ-ის მოცულობა, ეკონომიკის სტრუქტურა და სხვა), ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის მდგრადირება, საგარეო ვაჭრობის განვითარების პირობები, სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკაში.

4.3 საქართველოს საინვესტიციო გარემო

ინვესტიციები თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. საინვესტიციო კრედიტები ერთმანეთისაგან განსხვავდება ინვესტორის (კრედიტორის) რისკის დონით, რადგანაც აუცილებელია, პროექტის მომგებინობის მიუხედავად, კრედიტებისა და პროცენტების დადგენილ ვადებში უკან დაბრუნება. ინვესტიციები უკან ბრუნდება და თან მოაქვთ მოგება მხოლოდ მომგებიანი პროექტებიდან. თუ პროექტი წამგებიანია, მაშინ შესაძლებელია ინვესტიციების მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვა.

საინვესტიციო საქმიანობა - ეს არის ინვესტიციების ჩადება

და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება მოგების მიღების და/ან უფრო სასარგებლო ეფექტის მიღწევის მიზნით.

არსებობს ინვესტიციების სხვადასხვა კლასიფიკაცია:

- ინვესტირების ობიექტების მიხედვით,
- ინვესტირების ძირითადი მიზნების მიხედვით,
- დაბანდების ვადების მიხედვით,
- საინვესტიციო რესურსებზე საკუთრების ფორმის მიხედვით.

ყველაფერთან ერთად, ინვესტიციები ხასიათდება ორი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრით: რისკით და მომგებიანობით. როგორც წესი, რაც უფრო მაღალია ინვესტიციის რისკი, მით უფრო მეტი უნდა იყოს მოსალოდნელი მოგებაც. რისკებსა და მოგებას შორის შეფარდების აღწერისათვის ხშირად იყენებენ CAPM-ის მოდელს (აქტივების შემოსავლიანობის შეფასების მეთოდს).

საინვესტიციო რისკის ოდენობა უჩვენებს ინვესტიციისა და მისგან შემოსავლის დაკარგვის ალბათობას. საერთო ინტეგრალური რისკის ოდენობა შედგება რისკის 7 სახეობისაგან: საკანონმდებლო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ფინანსური, კრიმინალური, ეკოლოგიური.

საქართველოში ინვესტიციების 10 მიზეზი:

1. პოლიტიკური და ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები.
2. მიმზიდველი მაკროეკონომიკური გარემო.
3. კონკურენტული სავაჭრო წესები.
4. ლიბერალური საგადასახადო კოდექსი.
5. სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია.
6. მოდერნიზებული ბიზნეს ლიცენზიების სისტემა.
7. რეფორმირებული ტექნიკური რეგულირების სისტემა.
8. სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა.
9. კონკურენტული საბანკო სექტორი.
10. საქართველო - უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა.

საქართველო ფინანსური რესურსების ნაკლებობას ეკონომიკის ბევრ სექტორში, ჯერ კიდევ, განიცდის. ფინანსურ ინსტიტუტებს, ბანკებს, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიებს საქართველოში საქმიანობის წარმართვისას საკმაოდ მაღალი რისკის ქვეშ უწევთ

მუშაობა. შესაბამისად, მაღალია სესხის საპროცენტო განაკვეთებიც. აქედან გამომდინარე, თანხების გამონახვა ახალი პროექტების ან სულაც ჩვეულებრივი საქმიანი ოპერაციებისთვის აქ უფრო ძირადლირებულია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.


ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი ინვესტიციებია. ისეთი მცირე განვითარებადი ქვეყნისთვის კი, როგორიც საქართველოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რადგანაც შიდა ინვესტიციები, როგორც წესი, დეფიციტურია.

ბოლო პერიოდში პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში აქტიური დისკუსია მიმდინარეობს ქვეყნის ეკონომიკის მდგრმარეობის შესახებ. დისკუსიის ძირითადი საგანია ეროვნული ვალუტის დევალვაცია, ინფლაციური მოლოდინები, საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობა და სხვა. არასტაბილური ვალუტა ბიზნესის წარმოებისა და ქვეყნის კეთილდღეობის ზრდის სერიოზული შემაფერხებელი რომ არის, ეს საყოველთაოდ მიღებული აზრია.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ლარის კურსი დასტაბილურდეს და სავალუტო ბაზარზე სწრაფად დადგინდეს ახალი წონასწორობა. გავაკეთოთ მოკლე ექსკურსი 2012 წლიდან საქართველოში საინვესტიციო გარემოზე და მის ხელშემწყობ და ხელშემშენელ ფაქტორებზე.

2012 წელს, მეორე ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 432.7 მლნ აშშ დოლარი, რაც ამავე წლის პირველ ნახევართან შედარებით 46.2 მლნ აშშ დოლარით ნაკლები იყო.


2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელოდ გაიზარდა და 941.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს მხოლოდ 30.3 მლნ აშშ დოლარით აღემატება. 2014 წლის პირველი სამი კვარტლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 923.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2013 წლის იგივე პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლზე 29%-ით მეტია.



საქართველოსთვის იდეალურია ყველა სახის ინვესტიცია, მაგრამ მათ შორის გამოვყოფით ისეთი ტიპის ინვესტიციებს, რომელიც შემოიტანს ცოდნას ჩვენს ქვეყანაში – განათლებას და გამოცდილებას, რომელიც აწევს ჩვენი სამუშაო ძალის დონეს და კონკურენტუნარიანს გახდის. ასეთებია მომსახურებაზე ორიენტირებული კომპანიები, ტექნიკური და მაღალი დონის კომპანიები.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთანავე, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაშინ როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
(მლნ. აშშ დოლარი)**



დიაგრამა 2

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2012-2016 კვარტლების მიხედვით
(მლნ. აშშ დოლარი)**




დიაგრამა 3


საქსტატის წინასწარი მონაცემების თანახმად, 2015 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებულმა ჯამურმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ 1 019 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 17%-ით

ნაკლებია.

ძირითადი ინდუსტრიული ქვეყნი 2012-2016Q1
(მლნ. აშშ დოლარი)



დღაგრამა 4



დააგრძნეს 5. პირდაპირი უცხოური ინკუსტიციები გვონიმიკის სექტორების მიხედვით 2012-2015 წწ. (აშშ დოლარი)

სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ ექსი გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყნასთან, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული, კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

2006 წლიდან 2015 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინკუსტიციებმა სულ 12

535,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2015 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1 564,5 მლნ. აშშ დოლარი დაფიქსირდა (დაზუსტებული მაჩვენებელი), რაც 41,1%-ით აღემატება წინა 5 წლის (2010-2014) საშუალო მაჩვენებელს -1 108,72 მლნ. აშშ დოლარს.


2015 წელს აზერბაიჯანში საქართველოში ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია განახორციელდა (35,1%), მის შემდეგ კი ლიდერობენ გაერთიანებული სამეფო (24,7%), ნიდერლანდები (10%) და ლუქსემბურგი (6,7%).

სექტორების მიხედვით კი 2015 წელს წამყვან პოზიციას ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორი (37%) იკავებს, რომელსაც მოპყვება საფინანსო სექტორი (11%), სასტუმროები/რესტორნები(9%) და ჯანდაცვა(9%).

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წლის I კვარტალში 376,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2008 წლის შემდეგ და 29,1%-ით (84,9 მლნ აშშ დოლარი) მეტია 2015 წლის I კვარტალის დაზუსტებულ მაჩვენებელზე.


2016 წლის პირველი კვარტლის წინასწარი მონაცემების მიხედვით საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობით შემდეგი ქვენები ლიდერობენ: აზერბაიჯანი (36,7%), თურქეთი (15%) და გაერთიანებული სამეფო (11%). სექტორების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი მოცულობა მოდის შეძლება სექტორებზე: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (53,2%), საფინანსო სექტორი(15,3%) და ენერგეტიკა(10,6%).

პირდაპირი უცხოური ინგლისური მარითადი ინგლისორი ქვეყნების
მიხედვით 2015 (მლნ. აშშ დოლარი)




დაგრამა 6.

პირდაპირი უცხოური ინგლისური მარითადი გონიმკური
სექტორების მიხედვით 2015 (%)




დაგრამა 7

პირდაპირი უცხოური თნევსტიციები მირითადი თნევსტორი ქვეყნების
მიხედვით 2016 წლის 1 კვ. * (მლნ. აშშ დოლარი)



დიაგრამა 8

პირდაპირი უცხოური თნევსტიციები მირითადი ერთობის სექტორების
მიხედვით 2016 წლის 1 კვ. * (%)



დიაგრამა 9

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წლის I კვარტალში 376 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 103 პროცენტით მეტია 2015 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე.

რეკომენდაციები:

- ❖ სტაბილური და პროგნოზირებადი საკანონმდებლო პროცესი საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანია, შესაბამისად, ყველა რეფორმის შესახებ, რასაც ხელისუფლება დაგეგმავს ინფორმირებული და ჩართული უნდა იყოს ყველა ის მხარე, ვისაც ცვლილებები შეეხება;
- ❖ სასურველია, ბიზნეს გარემოსთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული საკითხების რეფორმირების პროცესი ძალიან ხანგრძლივი არ იყოს, რათა სამიზნე ჯგუფებმა ადვილად დაძლიონ გარდამავალი პერიოდის და დროულად მოახდინონ ახალ რეალობასთან ადაპტაცია;
- ❖ ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ისეთი კანონების მიღებისგან, რომლებიც ადგილობრივ და უცხოულ ინვესტორებს გაუმართლებელ შეზღუდვებს უწესებს და მათ განვითარებას აფერხებს;
- ❖ ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს ისეთი რეგულაციების მიღებისგან, რომლებიც კონკრეტულ ბაზრებზე ზღუდავს კონკურენციას და უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ცალკეულ კომპანიებს.

4.4 საინვესტიციო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით

საქართველოში არსებული საინვესტიციო კანონმდებლობა ეხმარება ადგილობრივ და უცხო ქვეყნის ბიზნესმენებს, სწორად და ხარისხიანდ წარმართონ თავიანთი ბიზნესი, რომელიც სამართლებრივად იქნება გამართული. კანონში ახსნილია, რომ ინვეს-

ტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.

ასეთი ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს:

ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

ბ) უძრავი და მოძრავი ქონება - მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა.

გ) მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კომპენსაცია), პატენტი, ლიცენზია, "ნოუ-ჰოუ", გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა.

დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

საქართველოში ინვესტორად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას.

ასევე კანონში ახსნილია რომ, უცხოელ ინვესტორად ითვლება:

ა) უცხოეთის სახელმწიფო მოქალაქე.

ბ) მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე.

გ) საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ.

დ) იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ინვესტორს უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბანკო დაწესებულებებში ნებისმიერი სახის ვალუტით გახსნას მიმდინარე და სხვა ანგარიშები. ინვესტორს უფლება აქვს აიღოს სესხი საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ არსებული საბანკო და საფინანსო დაწესებულებებიდან, ან ფიზიკური თუ იურიდიული პირებისაგან. ინვესტორს უფლება აქვს შეიძინოს აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები და როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ არსებული ქონება. უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს

მის საკუთრებაში არსებული ქონება.

ინვესტიციის მოვალეობაა საქმიანობას ეწეოდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად.

ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით. ინვესტიციის ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. გადაწყვეტილება ინვესტიციის ჩამორთმევის შესახებ, აგრეთვე კომპენსაციის პირობები შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სასამართლოში, თუ მსარეთა შეთანხმებით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კომპენსაცია, რომელიც მიეცემა ინვესტირს, უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის რეალურ საბაზრო ღირებულებას უშუალოდ იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ჩამორთმევა. კომპენსაცია უნდა გაიცეს ყოველგვარი შეფერხების გარეშე და უნდა მოიცავდეს იმ ზარალსაც, რომელიც ინვესტირმა განიცადა ჩამორთმევის მომენტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდამდე.

საქართველოს ტერიტორიაზე იკრძალება შემდეგი ინვესტირება:

1. ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებასა და გავრცელებაში;
 2. ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოცდის პოლიგონების მშენებლობაში;
 3. უცხო ქვეყნებიდან ბირთვული და ტოქსიკური ნარჩენების ჩამარხვა-გაუკრიბლობის მიზნით შემოტანაში;
 4. ადამიანის კლინიკურებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში;
 5. ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში;
 6. დამაძინებელი ყაყაჩოს, კოკას ბუჩქისა და კანაფის მცენარის კულტივირებაში.
- კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ მხოლოდ რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს (იაპონია, ესპანეთი, კანადა).

ინვესტიციების შესახებ ერთიანი კანონის მოქმედების არსებობის პრაქტიკა უფრო გამართლებულია, ვინაიდან ეს შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის პირობებს, კერძოდ, კონკურენციის კნონს. საბაზრო ეკონომიკის ძირითადი თავისებურება ხომ ისაა, სხვადასხვა წარმომავლობის ინვესტიციები კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს, თანაბარ პირობებში.

V თავი. ბიზნეს გარემო და საინვაციო პროცესები

5.1 ბიზნეს გარემოს ცნება

ბიზნესი ეს არის საქმიანი ორგანიზაცია, რომლიც აწარმოებს პროდუქტს საქონლის ან მომსახურეობის სახით და მისი მთავარი მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა. ბიზნესის გარემოს ახასიათებს მუდმივი ცვლილებები ტექნოლოგიაში, კულტურული მრავალფეროვნება და ძირითადად ადამიანთა მოთხოვნილებებიდან და სურვილებიდან გამომდინარეობს(ყოველ შემთხვევაში ასე უნდა იყოს და საქართველოშიც გარემო ბიზნესის კრახს სწორედ მათი გაუთვალისწინებლობა განაპირობებს, რასაც მარკეტინგი გულისხმობს).

საკუთარი ბიზნესი არის შესაძლებლობა განვახორციელოთ ჩვენი შესაძლებლობები და ამბიციები. იდეა დავიწყოთ საკუთარი ბიზნესი ნულიდან საქმაოდ სარისკო საქმეა, მაგრამ, წარმატებისას და რისკების სწორი გაანალიზებით შეგვიძლია მივიღოთ შესანიშნავი შედეგი. ხოლო ეს შედეგი დამოკიდებულია მთლიანად თქვენს შრომისმოყვარეობაზე და ცოდნაზე.

ბიზნესის დასაწყისში აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი მიმართულებები, და ამ მიმართულებების გათვალისწინებით შეიქმნება ბიზნეს გარემოც, რა საკვირველია სახელმწიფოსმდგომარეობის გათვალისწინებით და ხელშეწყობით, განსაკუთრებით საგადასახადო სისტემის დახვეწით და ბიზნესმენებისათვის სასარგებლო გარემოს შექმნით.

- მოიფიქრეთ იდეა. კარგი ბიზნეს იდეა, ძირითადი პირობაა ნებისმიერი დამწყებისათვის. თუ თქვენ უკვე გაქვთ იდეა, ასევე არსებობს სურვილი იდეის განხორციელების და ასევე გაქვთ ნებისყოფა, მაშინ არსებობს დიდი შანსი იმისა, რომ მიაღწიოთ მნიშვნელოვან წარმატებებს თქვენ მიერ არჩეულ სფეროში. ხშირ შემთხვევებში იდეის არჩევა დამოკიდებულია უნარებზე, ჰობი, ოცნებები და სხვა, მეწარმის პირადი თვისებება.

- განსაზღვრეთ დამფუძნებლების რაოდენობა. ერთპიროვნული ბიზნესის მფლობელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მის

ყოველ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ მუშაობის შედეგი, ამ შემთხვევაში ეკუთვნის მარტო მას. თუ ნულიდან თავის ბიზნეს აწყობს ორი კაცი, დამატებითი სტიმულია აქტიური ქმედებისკენ. ერთობლივი ძალისხმევა ზრდის საწყისი კაპიტალის ღირებულებას, რომელიც მოიცავს არა მარტო ფინანსებს, არამედ ტექნიკას, შენობას და ა. შ.

• შეადგინეთ ბიზნეს გეგმა. სწორად და სათანადოდ შემუშავებული ბიზნეს გეგმა აჩვენებს ყველა შესაძლებლობას და სამომავლო პრობლემებს. მკაფიოდ შემუშავებული გეგმა გვაძლევს საშუალებას თამამად გადავდგათ პირველი ნაბიჯები, რადგან ისინი მიმაგრებულნი არიან რაოდენობრივ გათვლებთან და იდეებთან. ნებისმიერი გეგმა უნდა გვაძლევდეს კითხვებზე პასუხებს იდეის არსზე, განხორციელების შესაძლებლობებსა და ფინანსების წყაროზე.

• განსაზღვრეთ ბიზნესის ფორმა და გაარეთ რეგისტრაციის პროცედურა. მცირე მეწარმეების რეგისტრაცია უფრო მარტივად ხდება, ვიდრე შპს, სს ან სპს რეგისტრაციის დროს. ხშირად ეს დამოკიდებულია ბიზნესის ხასიათზე, თუ რა მომსახურებას ან პროდუქტს ვაწარმოებთ.

• გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა, რათა შეამციროთ თავდაპირველი ხარჯები. საქმის წამოწყება მინიმალური ფინანსებით ან ნულიდან ბევრად რთულია. შეეცადეთ მოიზიდოთ ყველა არსებული რესურსი. განათავსეთ განცხადება უფასო წყაროებში, გახსენით ოფისი საკუთარ სახლში, გააკეთეთ რეკლამა ინტერნეტში და ა. შ. ნებისმიერი სახსრები კარგია იმით, რომ საჭიროებენ მინიმალურ ხარჯებს, შედეგმა შეიძლება მოლოდინს გადააჭარბოს.

ბიზნეს გარემო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ზოგჯერ გადაწყვეტიცაა ბიზნესმენთა ქცევის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში. ნებისმიერი ბიზნეს-ინვესტორი მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობის წინაშე დგას და შეუძლებელია ცალსახად იმის განსაზღვრა, როგორ მოიცევა ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში და, კიდევ, რა მოელის მის მიერ დაბანდებულ ინვესტიციებს. ამიტომ, აუცილებელია წინასწარ იქნეს შესწავლილი ბიზნეს გარემო და შედეგები გათვალისწინებული გადაწყვეტილებათა მიღებისას.

ბიზნეს გარემო მეტად რთული და მრავალგანზომილებიანი

სისტემაა, რომელიც მრავალი ეკონომიკური, სოციალური, პოლი-
ტიკური, ბუნებრივი და სხვა სახის ფაქტორით განისაზღვრება,
რაც სხვადასხვა სახის გარემოს წარმოქმნის.

1. სოციალურ-დემოგრაფიული გარემო,
2. ბუნებრივი გარემო,
3. იურიდიულ -სამართლებრივი გარემო,
4. პოლიტიკური გარემო,
5. შრომის გარემო.

ეს ფაქტორები თვისებრივად განსხვავებული არიან და არ
ხასიათდებან ადიტიურობისა და მულტიპლიკატორობის თვისე-
ბებით, რის გამოც არ შეიძლება მათი რაოდენობის შეჯამება ან
გამრავლება.

ბიზნეს გარემოზე მოქმედი ფაქტორები ცხრილი N 1

N	ფაქტორის დასახელება	მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა	მაჩვენებლის მინიმალური მნიშვნელობა	სუბ- ინდექსი
1.	მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში	5448 აშშ დოლარი	100 აშშ დოლარი	K1
2.	განათლების დონე	100%	0%	K2
3.	ჯანდაცვის დონე	85 წელი	25	K3
4.	უმუშევრობის დონე	მოწინავე ქვეყნის მაჩვენებელი	0%	K4
5.	სიღარიბის დონე	მოწინავე ქვეყნის მაჩვენებელი	0%	K5
6.	ინფრასტრუქტურის განვითარების დონე	მოწინავე ქვეყნის მაჩვენებელი	0%	K6

საქართველოში არსებობს ბიზნესის სხვადასხვა სახეობები:

- საბაზრო ეკონომიკის პირობებში განვითარებისა და მდიდარი საზოგადოების შესაქმნელად ერთ-ერთ ძირითად გზას თავისუფალი მეწარმეობა და ბიზნესი წარმოადგენს, ამიტომ ქვეყანაში ყველანაირი პირობა უნდა შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის, ვინაიდან მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. ასეთი ბიზნესები ხელს უწყობს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, სოციალურ პრობლემათა მოგაარებას და მრავალ სხვა ამოცანათა შესრულებას.
- დღეს საქართველოში ბიზნესის თითქმის ყველა სახე არის განვითარებული. ყველაზე მყარ, ნაკლებ საფრთხიან და ურისკო ბიზნესად შეიძლება ჩაითვალოს ბიზნესი უძრავ ქონებაში, საბანკო ბიზნესი და ფასიანი ქაღალდების ბიზნესი.

• საქართველოში არ არსებობს მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო ორგანო, თუმცა ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ მცირე მეწარმეობის ხელშეწყობით არიან დაკავებულნი. მაგალითად საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითრების ბანკი და სხვა.

5.2. ბიზნეს გარემოს მიმოხილვა და განვითარების ეტაპები

ბიზნესის კეთებისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ქა-კუთხედია. სწორედ მოწესრიგებულ და მიმზიდველ ბიზნეს გარემოში დევს ის გასაღები, რომლითაც უნდა გადაიჭრას სახელმწიფოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მოხდეს მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება.


აღსანიშნავად, რომ უკანასკნელ წლებში ქვეყნის ბიზნეს გარემოს განვითარების მდგომარეობა ერთგვარი პოლემიკის საგნად გადაიქცა. არსებობს აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა ბიზნეს გარემოს განვითარების მდგომარეობის შესახებ, თუმცა მოცემულ

შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ საერთაშორისო აუტორიტეტული ორგანიზაციების კვლევის შედეგებს გავუსვამთ ხაზს.

შოთლიობ ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ერთობლივი ყოველწლიური კვლევების, Doing Business"-ის თანახმად, 2012 წელს 183 ქვეყანას შორის ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით საქართველომ 16-ე ადგილი დაიკავა (იხ. დიაგრამა 10).

დიაგრამა 10-დან ჩანს, რომ უკანასკნელი 4 წლის მანძილზე მოცემულ რეიტინგში საქართველოს პოზიციები სტაბილურია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კვლევა დაფუძნებულია მხოლოდ 10 სხვადასხვა მაჩვენებლის შესწავლაზე, რომლებიც, ფაქტიურად ზომავენ ბიზნესის რეგულირების ხარისხს (ბიზნესის დაწყება, დაკრედიტება, გადასახადების გადახდა, ქინების რეგისტრაცია, ვაჭრობა საზღვრებს შორის, ინვესტორთა უფლებების დაცვა, გადახდისუფარიბის პროცესება, მშენებლობის ნებართვები, კონტრაქტირება, ელექტროენერგიით მომარაგება) და არ მოიცავს ბიზნეს გარემოს დამახასიათებელ ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ინფრასტრუქტურის ხარისხი, კორუფციის დონე და სხვა.

დიაგრამა 10. საქართველოს პოზიციები „Doing Business”
რეიტინგში 2009-2012 წლებში



მოცემული რეიტინგის 10 მაჩვენებლიდან საქართველო 8 მაჩვენებლის მიხედვით პროგრესირებს, კერძოდ კი წინა წელთან შედარებით ბიზნესის დაწყების მაჩვენებლი გაუმჯობესდა 1– საფეხურით, მშენებლობის ნებართვები – 2 საფეხურით, ქონების რეგისტრაცია – 1 საფეხურით, ელექტრონური მომარაგება – 2 საფეხურით, დაკრედიტება – 13 საფეხურით, ინვესტორთა უფლებების დაცვა – 4 საფეხურით, გადასახადების გადახდა 20 საფეხურით და გადახდისუნარობის პრობლემა – 2 საფეხურით. ხოლო რეგრესი განიცადა ვაჭრობამ საზღვრებს შორის – 20 საფეხურით და დაიკავა 54 პოზიცია, კონტრაქტირების მაჩვენებელმა, 1 საფეხურით და დაიკავა 41-ე პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრესი აშკარაა, საერთო ჯამში ქვეყნის პოზიციები განსაკუთრებით არასახარიბიეროა გადახდისუნარობის პრობლემის მაჩვენებლის მიხედვით – 109-ე პოზიცია, გადასახადების გადახდა – 42-ე პოზიცია, ვაჭრობა საზღვრებს შორის – 54 პოზიცია, ინვესტორთა უფლებების დაცვა – 17-ე პოზიცია და. ა.შ. ქვეყანა მხოლოდ 4 მაჩვენებლით (ბიზნესის დაწყება – 7-ე პოზიცია, მშენებლობის ნებართვა – 4-ე პოზიცია, ქონების რეგისტრაცია - 1 პოზიცია და დაკრედიტება - 8-ე პოზიცია) იმყოფება პირველ ათეულში.

Heretage Foundation—სა და **The wall street Journal**-ის 2012 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რომელიც შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს ეყრდნობა: ბიზნესის თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, მონეტარული თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება, საკუთრების უფლებები, კორუფციისაგან თავისუფლება და შრომის თავისუფლება, საქართველომ 179 ქვეყანას შორის 69,4 სარეიტინგო ქულით 34-ე ადგილი დაიკავა, რაც 2011 წელთან შედარებით 1 ქულით და 5 სარეიტინგო ადგილით გაუარესებული მაჩვენებელია. შესაბამისად, საქართველო რეიტინგში „ზომიერად თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების“ კატეგორიაში ჩამოქვეითდა.

რეიტინგის გაურესების ტენდენცია, ძირითადად, შეინიშნება მთავრობის დანახარჯების ზრდის, კორუფციისაგან თავისუფლებისა


და მონეტარული თავისუფლების გაუარესების ხარჯზე. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ საქართველო მოცემულ რეიტინგში ლიდერობს, როგორც კავკასიის რეგიონში, სადაც სომხეთი 39-ე პოზიციაზეა, ხოლო აზერბაიჯანი 91-ე პოზიციაზე, ასევე მეზობელ სახელმწიფოებს შორისაც; კერძოდ რუსეთის ფედერაციამ მოცემულ რეიტინგში 2012 წელს 144-ე, ხოლო თურქეთმა 73-ე პოზიცია დაიკავა. მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალ ქვეყნებად კი პონგ-კონგი (89,9), სინგაპური (87,5) და ავსტრალია (83,1) დასახელდა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2011-2012 წლების, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის” ანგარიშში საქართველოს პოზიცია რეიტინგში 5 საფეხურით გაუმჯობესდა და 142 ქვეყანას შორის 88-ე პოზიცია დაიკავა. აღნიშნული ინდექსის თანახმად კონკურენტუნარიანად ითვლება ის ეკონომიკა, რომელიც დროში სწრაფად იზრდება, შესაბამისად ინდექსი ქვეყნების სარეიტინგო ქულების განსაზღვრისას იყენებს სხვადასხვა მაჩვენებელს.

2011-2012 წლების ანგარიშში საქართველოს პოზიციების გამყარება შემდეგი კომპონენტების გაუმჯობესების ხარჯზე მოხდა: ინსტიტუციური ინსტიტუტების მშენებლობა 6 ადგილით გაუმჯობესდა და 69-ე პოზიციიდან 60-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა; ინფრასტრუქტურა – გაუმჯობესდა 5 ადგილით და 69-ე პოზიციაზე გადაინაცვლა; საფინანსო ბაზრების განვითარება – გაუმჯობესდა 2 ადგილით და 99-ე პოზიცია დაიკავა; ინოვაციები და განვითარება – გაუმჯობესდა 4 ადგილით და 117-ე პოზიციაზე გადაინაცვლა და ა.შ. თუმცა ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის განმსაზღვრელი ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელით, როგორიც საკუთრების უფლების დაცვაა საქართველო 142 ქვეყანას შორის მხოლოდ 120-ე პოზიციაზე იმყოფება.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (I ჩ) საქართველოს ბიზნეს გარემოს 2012 წლის კვლევის შედეგების მიხედვით გამოკითხულ სუბიექტთა მხოლოდ 2% მიიჩნევს ქვეყანაში არსებულ ბიზნეს გარემოს ძალიან მიმზიდველად, 20% საკმაოდ მიმზიდველად, ხოლო გამოკითხულთა უმრავლესობა 53% საქართველოს ბიზნეს გარემო მიიჩნევს მეტ-ნაკლებად მიმზიდველად (იხ. დიაგრამა 11).

დიაგრამა 11. საქართველოს ბიზნეს გარემოს მიმზიდველობა




დიაგრამა 11-დან ჩანს, რომ რესპონძებთა მხოლოდ 18% მიაჩნია საქართველოს ბიზნეს გარემო ნაკლებად მიმზიდველად, ხოლო 7% კი მიაჩნიებს, რომ ქვეწის ბიზნეს გარემო საერთოდ არ არის მიმზიდველი. აღსანიშნავია, რომ ამავე კვლევის მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობა 42% მიაჩნიებს, რომ ქვეყნის ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად უპირველეს ყოვლისა საჭიროა გადასახადების შემცირება, 21%-ი ასახელებს ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფის პრობლემას, 15% საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, 11% ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ხოლო 6% კი ქვეყნის პოპულარიზაციის უზრუნველყოფას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს, უმეტესად დადებითი პოზიციები სხვადასხვა უცხოურ რეიტინგებში გარკვეულ გავლენას ახდენს ქვეყნაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზეც. ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის კარგი მაჩვენებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, რაც ქვეყნაში არსებულ ბიზნეს გარემოზე რეალურ ინფორმაციას იძლევა (იხ. დიაგრამა 3).

როგორც დიაგრამა 12-დან ჩანს 2006-2007 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება, ეს გამოწვეული იყო 2003 წლის შემდგომ არეული სიტუაციის დასტაბილურებით,

საქართველოს მიმართ გაზრდილი ნდობით და საინვესტიციო ინტერესით.

**დოავრამა 12. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
საქართველოში 2006-2011 (მლნ. აშშ
დოლარი)**




2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკაშ დაწყო შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა, შესაბამისად იწყებს გააქტიურებას ბიზნეს სექტორიც, არსებული ბიზნეს გარემო ნელ-ნელა უბრუნდება აგვისტოს ომამდელ მდგომარეობას, რაც კარგად ჩანს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების დინამიკაში.


ცნობილი მოვლენების გამო 2007 წელთან შედარებით 2008 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1564 მლნ. აშშ. დოლარამდე შემცირდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი კლების ტენდენცია მომდევნო წლებშიც გაგრძელდა და 2009 წელს ქვეყნაში 658 მლნ. აშშ. დოლარის ინვესტიცია დაფიქსირდა, 2010 წლისთვის კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 815 მლნ. აშშ. დოლარს შეადგინა,

ხოლო 2011 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 1117 მლნ. აშშ. დოლარი იყო. 2009 წელს წინა წელთან შედარებით ქვეყნაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 57,9 %-ით ანუ 906 მლნ. აშშ. დოლარით შემცირდა. 2010 წელს აგვისტოს ობის შემდგომ პერიოდში პირველად დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 23,9%-იანი ანუ 157 მლნ. აშშ. დოლარით ზრდა, ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა ასევე 2011 წელსაც და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა წინა წელთან შედარებით 302 მლნ. აშშ. დოლარით ანუ 37 %-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები როგორც ევროკავშირის, ასევე დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დანარჩენი წყაროებიდან (ოფშორული ზონები, სხვა სახელმწიფოები და ა.შ.) ხორციელდება.


დაავრამა 13. 2010 წლის II კვარტალში საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ ინვესტიციებში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი, %



**დიაგრამა 14. პირდაპირი და უცხოური
ინვესტიციები**




**დიაგრამა 15. 2010 წლის I კვარტალში საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების
ინვესტორი ქვეყნების წილი, %**



ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1 272 მლნ. აშშ დოლარი (იხ. ცხრილი 1), ხოლო 2013 წელს 942 მლნ. აშშ დოლარი.

**დაგრამა 16. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
საქართველოში 2010 - 2014 წწ (მლნ. აშშ დოლარი)**



ზემოთ მოცემული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 35%-ით.

თუ გადავხედავთ უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტატისტიკას ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, ვნახავთ, რომ 2014 წელს დაფიქსირდა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი N2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
(მლნ. აშშ დოლარი)

წელი	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
2005	449.8	89.4	105.9	75.6	178.9
2006	1 190.4	146.0	306.9	280.7	456.7
2007	2 014.8	421.4	401.5	489.1	702.9
2008	1 564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114.0	177.2	173.2	194.0
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1 117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199.0	233.7
2013	941.9	252.3	207.9	254.8	226.9
2014	1 758.4	309.5	196.2	726.0	526.7
2015*	530.0	175.3	354.7		

2014 წელს საქართველოში განხორციელდა 1 758.4 მლნ. ლარის ინვესტიცია. ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ინვესტიციების ჯამური რაოდენობა კი შეადგენდა 820.016 ათას ლარს (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი N3. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით(ათასი აშშ დოლარი)

ქვეყნის კოდი	ქვეყნები	2013	2014	I კვ. 2015	II კვ. 2015
				2015	2015
	სულ	941	1 758	291	462
		902.6	422.9	471.6	724.8
მათ შორის:					
	ევროკავშირის ქვეყნები	390	820 016.8	176	234
		743.5		544.8	479.3
040	ავსტრია	5 235.0	5 956.9	-1 010.7	2 148.7

056	ბელგია	92.5	1 485.6	139.6	-181.9
100	ბულგარეთი	2 562.6	9 070.1	702.2	1 034.1
196	კვიპროსი	-106 439.9	-5 101.3	-6 281.9	-1 629.8
203	ჩეხეთი	43 578.3	51 961.8	2 732.6	157.8
208	დანია	9 572.4	12 730.2	18 999.3	737.1
233	ესტონეთი	-1 974.3	1 754.0	1 580.4	1 954.2
246	ფინეთი	1 235.9	887.1	225.7	121.2
250	საფრანგეთი	11 034.4	19 121.1	4 135.2	6 588.4
276	გერმანია	21 828.3	3 992.9	3 308.5	3 344.6
300	საბერძნეთი	-552.6	641.5	-988.3	-235.1
348	უნგრეთი	-79.5	904.5	174.6	7.5
372	ირლანდია	733.7	1 058.0	159.7	71.6
380	იტალია	-141.7	3 850.9	-1 241.2	-895.7
428	ლატვია	-2 675.7	8 114.9	3 141.8	1 889.9
440	ლიტვა	5 390.9	3 750.4	1 526.4	1 473.2
442	ლუქსემბურგი	142 545.0	109 633.1	33 228.6	21 937.4
470	მალტა	43 165.8	45 809.0	8 015.1	2 085.5
528	ნიდერლანდები	153 184.8	373 740.8	61 322.1	63 438.1
616	პოლონეთი	1 363.8	378.7	143.6	261.7
620	პორტუგალია	2 489.9	2 030.8	463.3	214.3
642	რუმინეთი	80.6	187.7	-116.2	1.7
703	სლოვაკეთი	-278.0	54 687.7	157.0	163.2
724	ესპანეთი	-1 645.1	4 730.2	824.4	1 287.3
752	შვედეთი	5 265.2	1 059.1	102.4	401.8
826	გაერთიანებული სამეფო	55 171.3	107 580.9	45 100.6	128 102.4

შესაბამისად, ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ინგესტიციები ჯამური რაოდენობის 46% -ს შეადგენს.

5.3 ბიზნესმენების მდგომარეობა და ბიზნეს ინდექსი საქართველოში ბიზნეს გარემოს შესაქმნელად

სტატისტიკური მონაცემებით, Trace International-ის TRACE Matrix ინდექსში საქართველოს შედეგი დასტურია იმის, რომ ქვეყანაში ბიზნესის კეთება ძალიან მიმზიდველია.

"Trace International-ის TRACE Matrix ინდექსში, რომელიც ქვეყანაში ბიზნესთან დაკავშირებული კორუფციის რისკებს აფასებს, საქართველო მსოფლიოს 197 ქვეყანას შორის მე-11 ადგილზეა. საქართველოს წინ მხოლოდ ისეთი ქვეყნები უსწრებენ, როგორებიც არიან, ირლანდია, კანადა, ახალი ზელანდია, ჰონგ-კონგი, შვედეთი, ფინეთი, სინგაპური, იაპონია, გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები. ამასთანავე, კორუფციის რისკის მიხედვით საქართველო, გერმანია და აშშ ერთი და ოგვივე - 27 ქულით არის შეფასებული". TRACE Matrix ინდექსში ქვეყნების შეფასება ოთხ კატეგორიაში ხდება: ბიზნეს ურთიერთობები ხელისუფლებასთან, ანტიკორუფციული კანონები და აღსრულება, ხელისუფლების და საჯარო სამსახურის გამჭვირვალობა, სამოქალაქო საზოგადოების კონტროლის შესაძლებლობები. "ხელისუფლებასთან ბიზნეს ურთიერთობების ნაწილში 17 ქულა გვაქვს, რაც ძალიან კარგია.

რაც შეეხება სხვა კატეგორიებს, ანტიკორუფციული კანონებისა და აღსრულების ნაწილში საქართველოსთვის მინიჭებულია რისკების საქმაოდ დაბალი - 24 ქულა. ხელისუფლებისა და საჯარო სამსახურის გამჭვირვალობის კატეგორიაში - 19 ქულა, რაც ქუმისმვილის შეფასებით, აღნიშნავს მართვა-ადმინისტრირებისა და ხელისუფლების გამჭვირვალობის კარგ ხარისხს, სამოქალაქო საზოგადოების კონტროლის შესაძლებლობების კატეგორიაში კი საქართველოს მინიჭებული აქვს 39 ქულა, რაც რისკების, ასევე დაბალ დონეზე მიუთითებს. "ყველაფერი ეს გვაძლევს იმის

რწმუნების საშუალებას, რომ საქართველოში ბიზნესის მხრიდან კორუფციის მოღოდინი ძაბალია. დაბალია ეს მოღოდინი საერთაშორისო ორგანიზაციების გადმოსახედიდანაც. შესაბამისად, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ქვეყანაში ბიზნესის კეთება ძალიან მიმზიდველია და ამ მიმართულებით ბიზნესს არ აქვს არანაირი დაბრკოლება, ამ ტიპის რეიტინგებს დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ინვესტორებისთვისაც.

TRACE Matrix ინდექსში პირველ ადგილს ირლანდია, ხოლო ბოლო - 197-ე ადგილს ნიგერია იკავებს. კვლევაში ქვეყნების პოზიციები შევასებულია აგრეგირებული ქულებით 1-დან 100-მდე, სადაც 1 ქულა ყველაზე დაბალი რისკის, ხოლო 100 - ყველაზე მაღალი რისკის მაჩვენებელია.

განვიხილოთ ერთ-ერთი ბიზნესმენის, ბიზნეს გარემო.

საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი ინვესტორი, დავით იაკობაშვილი.

"იწყება "დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი", რომელშიც ტრადიციულად მსოფლიოს წამყვანი ბიზნესმენები და სხვადასხვა ქვეყნების მთავრობათა მეთაურები იღებენ მონაწილეობას. ჩემთვის დიდი პატივია აცხადებს დავით აკობაშვილი და ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ამ თავყრილობას ვესწრები, როგორც საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი ინვესტორი, რომლის მთავარ მიზანს ქვეყანაში არსებული ბიზნეს-გარემოს რეკლამირება და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს. მე, საქართველოში დაბადებულ ადამიანს, მემაყება, რომ 2011 წლიდან მოყოლებული, ჩვენი კომპანიების ჯგუფმა ქვეყანაში განახორციელა 250 მილიონი დოლარის ინვესტიციები და 2000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე დაასაქმა. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი ჯგუფის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანებმა 316 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო მხოლოდ 2014 წელს ამ ციფრმა 126 მილიონ ლარს გადაჭარბა".

ბიზნესმენის განცხადებით, "როსნეფტან" ერთობლივი საწარმოს შექმნა, საქართველოს ბიზნესგარემოს მიმზიდველობის აღიარებაა. მისივე თქმით, გარიგების შემდეგ გააგრძელდება ერთობლივი საწარმოს შექმნა, რაც ბიზნესმენის შეფასებით საქართველოს ბიზნესის უახლეს ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტია.

"ბოლო ერთ წლის განმავლობაში ჩვენს მიერ ჩატარებულმა ინტენსიურმა სამუშაომ, რომელშიც ჩართული იყო მსოფლიოს წამყვანი საინვესტიციო ბანკი Citi Group და მონაწილეობდნენ ცნობილი საერთაშორისო იურიდიული კომპანიები, საშუალება მოგვცა შეგვექმნა ერთობლივი საწარმო მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს სანავთობო კომპანია "როსნეფტან", რომლის აქციებით ვაჭრობა ლონდონის ბირჟაზე ხდება, ხოლო მისი ერთ-ერთი მთავარი აქციონერი მსოფლიო გიგანტი British Petroleum-ია. მე მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი არის აღიარება საქართველოს ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის, ასევე ქვეყნის ენერგოდურეფნის მნიშვნელობის და პოტენციალისა. ამ გარიგების შემდეგ ერთობლივი საწარმოს მართვა გაგრძელდება ქართული მენეჯმენტის მიერ, რაც საქართველოს ბიზნესის უახლეს ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტია. ახლადშექმნილი ერთობლივი საწარმო ხელს შეუწყობს ტრანზიტული ტვირთების წარმომავლობის დივერსიფიკაციას, კონკურენციის ზრდას ნავთობპროდუქტების საცალო ბაზარზე, ხარისხის ამაღლებას და სერვისების გაუმჯობესებას. ამ გარიგების შედეგად, დაახლოებით 200 მილიონი დოლარის ინვესტიციის მოზიდვა იგეგმება საქართველოს ეკონომიკაში, რაც 1000-მდე ახალი სამუშაო ადგილის შექმნას უზრუნველყოფს.

აცხადებს ბიზნესმენი - „ჩემი, როგორც ინვესტორის და საქართველოს გულშემატკივრის მიზანია, გამოვიყენო ყველა შესაძლებლობა, რომ მსოფლიოს გავაცნო ჩემი ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა და აქ არსებული დიდი პოტენციალი, მათ შორის "დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე".

5.4 ბიზნეს მიმზიდველობის დადგენის მეთოდი

ბიზნეს მიმზიდველობის დასადგენად, თუ რამდენად მიმზიდველია საქართველო ბოლო პერიოდში ბიზნესის სფეროთი შევიმუშავეთ შემდეგი კითხვები, რის საშუალებითაც გავაკეთოთ გარკვეული ფორმულირება არსებული მდგომარეობის და გამოვთვალეთ ფორმულით, რომელსაც გთავაზობთ ამ სახით:

1. რამდენი წელი ეწევით სამეწარმეო საქმიანობას?

2. თქვენი შეფასებით როგორ შეიცვალა სამეწარმეო გარემო საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში?

3. თქვენი შეფასებით, როგორ შეიცვლება სამეწარმეო გარემო მომავალი 1 წლის განმავლობაში?

4. რამდენად იცნობთ ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობას? და ა.შ.

კითხვები ფორმულაში შემდეგი შინაარსით და თანმიმდევრობითაა ასახული:

კითხვები ასევე ეზება ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის მახასიათებელ ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: ბიზნესმენთა მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნა; მისი გამოყენება ბიზნეს-მენთა საქმიანობასთან მიმართებაში; მაკონტროლებელი ორგანოების დამოკიდებულება მეწარმეთა მიმართ; საბანკო სისტემიდან სესხების აღების პრაქტიკა; პროდუქციაში ადგილობრივი და იმპორტული ნებლუელის წილი; პროდუქციის გასაღების ბაზრები; საწარმოო სიმძლავრეების ვარგისიანობისა და დატვირთვის მაჩვენებლები; ბიზნესის განვითარების ხელისშემსრული ფაქტორები; ამჟამინდელი საქმიანობის გაფართოების პრისპექტივა ახლო მომავალში.

როგორც ვხედავთ, ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის მახასიათებელი შემოთავაზებული კითხვები შინაარსით სხვადასხვა-გვარია და მათი გამოსახვა სინთეზური ინტეგრირებული სტატისტიკური მახასიათებლით შესაძლებელი იქნება პროფესორ ბიკენტი გაბიძაშვილის მიერ შემოთავაზებული ფორმულით:

$$K_{o\delta\phi} = \frac{\sum_{i=1}^n K_i}{n},$$

სადაც $K_{o\delta\phi}$ ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ინტეგრირებული კოეფიციენტია;

K_i - i -ური ფაქტორის სუბინდექსი;

n - ფაქტორთა რიცხვი. სუბინდექსი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს შემდეგი ფორმულით;

$$K_i = \frac{X_i - X_{min}}{X_{max} - X_{min}},$$

ამრიგად, ზემოაღნიშვნული კვლევის შედეგების ანალიზისას საჭიროა, 10 კითხვის მიხედვით ცალკეული სუბინდექსის გაანგა-

რიშება და, ამის შემდეგ თითოეული კითხვის მიხედვით ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ხარისხის კოეფიციენტის გაანგარიშება, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$K_{\text{ძალა}} = \frac{\sum_{i=1}^m K_i + (n - m) - \sum_{j=1}^q K_j}{n},$$

სადაც m - თითოეულ ფაქტორში ბიზნესმენთა მიერ გარემოს მიმზიდველობის დადებითად შეფასებული პოზიციებია, ხოლო q - ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის უარყოფითად შეფასებული პოზიციები.

ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ინტეგრირებული კოეფიციენტის მნიშვნელობა, როგორც თითოეული ფაქტორის, ისე 10-ივე კითხვის მიხედვით (ინგარიშება თითოეული ფაქტორის ინტეგრირებული კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკული), მთლიანად იცვლება 0-დან 1-მდე, ანუ, 0-დან 100% 25-მდე. თუ მისი მნიშვნელობა 0-დან 30% 25-ის ფარგლებშია, მიმზიდველობა სუსტია, 30-დან 60% 25 - საშუალოდ ზომიერი, ხოლო 60% 25-ს ზემოთ - ძალიან ძლიერი.

ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის შემოთავაზებული ალგორითმი განვიხილოთ 2015 წლის კვლევის პროგრამით გათვა-ლისტინგებული რომელიმე, ვთქვათ, მე-2 კითხვის („თქვენი შეფა-სებით, როგორ შეიცვალა სამეწარმეო გარემო საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში“) მიხედვით.

პირველი ფაქტორის „მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა“ სუბინდექსი

$$K_i = \frac{2905 - 1348}{6783 - 1348} = 0.2865,$$

მეორე ფაქტორის „უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა“ სუბინდექსი

$$K_i = \frac{6783 - 1348}{6783 - 1348} = 1,$$

მესამე ფაქტორის „არ შეცვლილა, მდგომარეობა უცვლელია“ სუბინდექსი

$$K_i = \frac{3467 - 1348}{6783 - 1348} = 0.3899,$$

მეოთხე ფაქტორის „უმნიშვნელოდ გაუარესდა“ სუბინდექსი

$$K_i = \frac{2369 - 1348}{6783 - 1348} = 0.1879,$$

მეხუთე ფაქტორის „მნიშვნელოვნად გაუარესდა“ სუბინდექსი

$$K_i = \frac{1966 - 1348}{6783 - 1348} = 0.1137,$$

მეექვსე ფაქტორს „უარი პასუხებზე“ ცალკე სუბინდექსად არ გამოვთვლით.

ახლა გადავიდეთ მოცემული კითხვის ბიზნესგარემოს მიმზიდველობის ხარისხის კოეფიციენტის გაანგარიშებაზე.

$$K_{\text{ძოვა}} = \frac{\sum_{i=1}^m K_i + (n - m) - \sum_{j=1}^q K_j}{n} = \\ = \frac{1.2865 + (6 - 2) - 0.6915}{6} = 0.7659,$$

ამრიგად, მოცემული კითხვის (ნიშნის) ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის კოეფიციენტი ძალიან ძლიერია.

ზემოთ მოცემულ თითოეულ კითხვაზე გაანგარიშებული ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ხარისხის კოეფიციენტებისგან საშუალო მაჩვენებლის გამოთვლით ($12.8276:19=0.67$, ანუ, $67\%25$) მივიღებთ, რომ 2015 წლის მდგომარეობით ბიზნეს - გარემოს მიმზიდველობა საქართველოში ძლიერია.

ცხრილი № 4

კითხვის №	მიმზიდვ. კოეფ.	კითხვის ¹	მიმზიდვ. კოეფ.
2	0.7659	12	0.4673
3	0.6988	13	0.6810
4	0.8593	14	0.3711
5	0.8408	15	0.5209
6	0.2642	16	0.6652
7	0.8454	17	0.5171
8	0.8826	18	1
9	0.8960	19	0.7206
10	0.4193	20	0.6458
11	0.7663	21	0.5440

№4 ცხრილში მოტანილი თითოეული კითხვის მიხედვით გაანგარიშებული ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ხარისხის კოეფიციენტებისგან გათვლილი საშუალო მაჩვენებელი $13,344:19=0,70$, ანუ 70%25 გვიჩვენებს, 2015 წელს, ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობა ცხრილიდანაც ჩანს რო ძლიერია.

ახლა დავაკირდეთ, ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობაზე ბიზნეს-მენთა გამოკითხვის შედეგებმა და შესაბამისად, მათმა სტრატეგიულ-ტაქტიკურმა გადაწყვეტილებებმა, როგორი გავლენა იქნია მეწარმეობის საერთო მდგომარეობაზე საქართველოში. 2015 წლის შედეგებით მოქმედ საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელი დაახლოებით 20 მილიარდი ლარია, გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებელი 10 მილიარდი ლარი, დამატებული ღირებულება 5 მილიარდი ლარი. დასაქმებულთა რაოდენობა, დაახლოებით 349 ათასი კაცია, შრომის საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 520 ლარი. დასაქმებულები, ოთხი წლის წინანდელ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია 26 ათასი კაცით. ხოლო, ყოველთვიური საშუალო ხელფასი - 3,2-ჯერ.

ახლა განვიხილოთ სამეწარმეო სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები როგორ გამოიყურება ის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორების მიხედვით.

მოქმედ საწარმოთა საერთო რაოდენობიდან 96 პროცენტი ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორში საქმიანობს. საწარმოთა მიკუთვნება არასახელმწიფო სექტორზე, კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება ეკონომიკური საქმიანობის ისეთ სახეებში, როგორიცაა: ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ოპერაციები უძრავი ქონებით, განათლება, მოპოვებითი მრეწველობა და დამამუშავებელი მრეწველობა. ეკონომიკის ისეთი სფეროები, როგორიცაა: ელექტრონურგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება, ასევე ჯანდაცვა და სოციალური დახმარება, მოქმედ საწარმოთა რაოდენობა ჯერ-ჯერობით ისევ სჭარბობს სახელმწიფო სექტორში.

საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებლის 93 პროცენტს არასახელმწიფო სექტორის საწარმოები აყალიბებენ. მოცემული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ვაჭრობა, დამამუშავებელი მრეწველობა, სასტუმროები და რესტორნები,

ოპერაციები უძრავი ქონებით, განათლება. ბრუნვის მაჩვენებელი სახელმწიფო სექტორის საწარმოებში ისეთი სახის საქმიანობების მიხედვით, როგორიცაა: სამთო მოპოვებითი მრეწველობა; ჯანდაცვა და სოციალური დახმარება ჯერჯერობით ჭარბობს არასახელ-მწიფო სექტორის შესაბამის მაჩვენებელს.

არასახელმწიფო სექტორი პრევალირებს სახელმწიფო სექტორს სამეწარმეო სფეროში, პროდუქციის გამოშვების მხრივაც (89%25). ბრუნვის მაჩვენებლის მიხედვით, ჩამოთვლილ სფეროებს პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელში, არასახელმწიფო სექტორის სახელმწიფო სექტორზე უპირატესობაში, ემატება საქმიანობის ისეთი სახეები, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა; მშენებლობა; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

საბაზრო ურთიერთობების დამკიდრების ერთერთი მაჩვენებელია ეროვნული სიმძიდიდის მნიშვნელოვანი შემადგრელი ნაწილის, ძირითადი კაპიტალის ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებს შორის გადანაწილება. ამ მხრივაც სამეწარმეო სფეროში ძირითადი კაპიტალის 66 პროცენტი არასახელმწიფო სექტორის საწარმოებზე მოდის. მოცემული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია ისეთ სფეროებში, როგორიცაა: დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ოპერაციები უძრავი ქონებით. საპირისირო სურათი დაფიქსირდა ჯანდაცვასა და სოციალურ დახმარებაში და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში.

ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებს შორის თანაფარდობის მსგავსი სიტუაცია დაფიქსირდა დამატებული ღირებულებისა და დასაქმების მაჩვენებლების ურთიერთშედარებისას. და ბოლოს, მიზანმეტინილად მიგვაჩნია ქვეყნის სამეწარმეო სფეროში ზემოაღნიშნული სახის კალევების გაგრძელება და მათი ჩატარების პროგრამების გამრავალფეროვნება.

ხშირად ისმის კითხვები:

რატომ უნდა ჩადოთ ინკუსტიციები საქართველოში?

•პოლიტიკური მნიშვნელობით, საქართველო ერთადერთ ქვეყანას წარმოადგენს კავკასიის ქვეყნებს შორის, რომელსაც ინკუსტიციების და სხვადასხვა სახის რეგიონალური პროექტების განსახორციელებლად ყველაზე მიმზიდველი ბაზა გააჩნია (ბაზარი,

რომელიც დაახლოებით 16 მილიონი მაცხოვრებლისაგან შედგება).

•ქვეყანას იდეალური ეკონომიკური ურთიერთობა აქვს სომხეთსა და აზერბაიჯანთან.

•პოტენციური ინვესტორებისათვის საქართველო წარმოადგენს ტერიტორიას, რომელიც სხვადასხვა სახის მსოფლიო საკლასი-ფიკაციო სკალაზე, საპატიო სტანდარტებს აქმაყოფილებს.

• ევროპული ინტეგრაციის პრინციპების გათვალისწინებით, ამ სექტორში შესამჩნევი ცვლილებების გამო 2003 წლიდან 2010 წლამდე საქართველომ ხუთი საფეხურით წინ წაიწია “ღანკინგ ონ ტექ ეასე ოფ დოინგ ბუსინესს”- ში.

როგორია ბიზნესის პროგნოზი 2015 წლისთვის ?

კერძო ინვესტორები აცხადებენ, რომ 2015 წლის პროგნოზი ოპტიმისტურია. წელს განსაკუთრებით მომგებიანია უძრავ ქონებასა და ჰეკ ფონდებში ფულის დაბანდება. სპეციალური გამოკითხვა ამ საკითხზე „ნათ ფრანკ პრავიტ სიტი ბანქმა“ ჩატარა. გამოჰკითხეს ინვესტორები, რომელთა ქონებაც მიღიონ დოლარზე მეტია, გამოკითხვის შედეგად ყველაზე მომგებიანი ფულის ჩადება მაინც უძრავ ქონებაში იქნება.

5.5 საქართველოში ბიზნეს გარემოს განვითარება და მისი ხელშემწყობი ფაქტორები

ქვეყანაში წარმატებული ბიზნესგარემოს ფორმირებისათვის გრძელი გზაა გასავლელი. აუცილებლია ძლიერი ინსტიტუტების, სტაბილური საკანონმდებლო რეგულირებისა და, რაც, აღნათ, ყველაზე მთავარია, ბიზნესის ოპერირების ძლიერი კულტურისა და ტრადიციების არსებობა.

საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი ექპერტებისა და ქართველი მეწარმეების პოზიცია საერთოა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ბიზნესგარემო მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ზოგადად, ბიზნესის კეთება საქართველოში შედარებით გამარტივებულია. ბიზნეს-გარემოს შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მიმზიდველობა

უცხოელი ინგვსტორებისათვის. მსხვილი ფინანსური რესურსების მოზიდვისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია სტაბილურობის უზრუნველყოფა. რამდენად დაბალიც არ უნდა იყოს გადასახადების განაკვეთი, თუ ქვეყანაში არ იქნება სტაბილური საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემო, შეუძლებელი იქნება ვისაუბროთ განვითარებულ და მიმზიდველ გარემოზე.

საქართველოს ბიზნესგარემოს განვითარება დადებითი ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია საკანონმდებლო რეფორმებით (საგადასახადო, საბაჟო, ლიცენზიები და ნებართვები და სხვა). აქვე უნდა აღინიშვნოს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო სფეროს პროცედურული ნაწილების მეტი დახვეწა/გამარტივება და შესაბამისი ინფორმირებულობის დონის გაზრდა.

ქვეყნის ეკონომიკის წარმატების უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებული როლი, ბუნებრივია სახელმწიფოს აკისრია, თუმცა წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია გარემოს გაუმჯობესებაში წვლილი შეიტანოს და ძალისხმევა გასწიოს საზოგადოების სხვა სექტორებმაც - მასმედიამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და უშუალოდ კერძო სექტორმა.

მთებედავად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ტენდენციებისა, საქართველოს ბიზნეს კლიმატი კლიავაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა წარმატებით მიღწევისათვის აუცილებელია გამართული დიალოგის პრაქტიკის დანერგვა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მისი მარტივად აღმის უზრუნველყოფა. ასევე, საკმაოდ დაბალია მეწარმეობრივი უნარები, რაც ბუნებრივიცაა თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არსებობას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. პრობლემატურია შრომის ბაზარი - ერთი მხრივ, მაღალია უმუშევრობის ღონე, მეორე მხრივ კი, დამქირავებელს ძალიან უჭირს სასურველი კადრის მოძიება და დაქირავება. ისევ გამოცდილების, ტექნოლოგიის, საჭირო ბიზნეს უნარების ან/და უბრალოდ ინფორმაციის არქონის გამო მრავალი კომპანია ვერ ახერხებს ვერც ადგილობრივ ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებას და, მით უმეტეს, ვერც საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას.

საკანონმდებლო გარემო და ინფორმირებულობის დონე ბიზნეს მარეგულირებელი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და გაცილებით ლიბერალური გახდა. გაუმჯობესების პროცესმა მოითხოვა კანონების ხშირი ცვალებადობა - ხდება ახალი კანონების მიღება, ასევე უმრავი ცვლილება შედის ძველ კანონებში. მაგალითად, საგადასახადო კოდექსში, რომლიც ძალაშია 2005 წლიდან, შესულია 36 ცვლილებათა პაკეტი და უნდა ვივარაუდოთ, რომ დაგევმილია ახალი ცვლილებების პროექტების წარმოდგენა. ასევე, ბიზნესგარემოსათვის პრობლემატური შესაძლოა იყოს ქვე ნორმატიული აქტების სიმრავლე, რომლებიც თავის მხრივ ასევე ხშირად იცვლებიან.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ცვლილებების ასეთი სიხშირის შედეგი მეწარმეთა ინფორმირებულობის დაბალი დონეა. კომპანიები განხორციელებულ ცვლილებში გარკვევას ვერ ასწრებენ, როდესაც შესაბამისი საკანონმდებლო აქტი კვლავ იცვლება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მძიმე ტვირთია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის. საგულისხმოა, რომ ბიზნესი-სათვის 10 ყველაზე აქტუალურ პრობლემებს შორის, რთულად აღსაქმელი კანონმდებლობა, ორაზოვანი ჩანაწერები და კანონების ხშირი ცვალებადობა - ყველაზე აქტუალური საკითხებია.

ნათელია, რომ კანონები ძალიან მარტივ და ყველასათვის გასაგებ ენაზე ვერ დაიწერება და ქვეწორმატიული აქტებიც აუცილებელია პროცედურული საკითხების რეგულირებისათვის, რაც ისევ კერძო სექტორის ოპერირებას უწყობს ხელს. თუმცა, აუცილებლია პერმანენტული ღონისძიებების გატარება, რათა მოხდეს კერძო სექტორის ინფორმირება მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმებზე და, რაც ყველაზე მთავარია, უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი განმარტებების გაცემა, რათა არ მოხდეს კანონების ინტერპრეტაცია. (მაგალითად, საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის და განმარტებების მოპოვება ძალიან პრობლემატური იყო 35%-სთავის).

ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიმართულებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მასშედიას და არასამთავრობო სექტორს. სახელმწიფომ კი უნდა განაგრძოს ინტენ-

სიური მუშაობა კანონმდებლობის დახვეწის კუთხით. მნიშვნელოვნია, მეწარმეებს მიეწოდოს ისეთი განმარტებები და ინსტრუქციები, რომლებიც გამორიცხავს ინტერპრეტაციის შესაძლებლობას როგორც კერძო სექტორის, ასევე სახელმწიფო მოხელეების მხრიდან.

ინფორმაციის უზრუნველყოფის ფორმებზე საუბრისას აუცილებლია იმის გათვალისწინებაც, რომ ძალიან ბევრი საწარმო-სათვის, განსაკუთრებით კი რეგიონებში, ინტერნეტ კავშირი არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ყველაზე ინფორმატიკული ვებგვერდიც კი არ არის საკმარისი კანონის ცნობადობის გაზრდისათვის.

კვლევის განაღიზების შედეგად გამოვლინდა, რომ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონი კერძო სექტორი-სათვის საქმართვა კარგადა ცნობილი. რესპონგზოთ მხოლოდ 3%-მა არ იცოდა ექვმდებარებოდა თუ არა მათი საქმიანობა ლიცენზირებას. აღნიშნულ კანონთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ სფეროს სრულფასოვანი რეგულირებისათვის აუცილებელია დარგობრივი კანონების შემუშავება. ამასთანავე, რეკომენდირებულია მოხდეს სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესის რეგულირების გადახედვა, რათა მიღწეული იყოს გამჭვირვალეობისა და რესურსების ეფუძნიანად გამოყენების მაღალი ხარისხი.

საგადასახადო კოდექსთან მიმართებაში აუცილებელია ზოგადი ინსტრუქციებისა და განმარტებების მომზადება, რაც ყველაზე მეტად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეუწყობდა ხელს. ასევე, მცირე ზომის კომპანიებისათვის პრობლემატურია ჯარიმების მოცულობა. მათი აზრით, უკეთესი იქნებოდა ჯარიმის ოდენობა დარღვევის მასშტაბზე იყოს დამოკიდებული. სხვა შემთხვევაში, ჯარიმა მსგავსი ტიპის დარღვევისათვის მცირე ზომის ბიზნესისათვის შესაძლოა დამანგრეველიც კი იყოს, ხოლო მსხვილი კომპანიისათვის - მხოლოდ მცირე დამატებითი ხარჯი.

აუცილებელია მეწარმეების ინფორმირებულობის დონის გაზრდა საგადასახადო კონტროლთან მიმართებაში მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. მით უმეტეს, რომ საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა 11 სახის კონტროლის პროცედურა. ამასთანავე, არ არის გამჭვირვალე, თუ რა პრინციპით ხდება

კონტროლის სახის შერჩევა და რის საფუძველზე დგინდება ერთი რომელიმე მეთოდის უპირატესობა მეორესთან შედარებით.

მისათვის, რომ საკანონმდებლო ბაზა გახდეს ადეკვატური და რეალურად ადმინისტრირებადი, უშუალოდ კანონების დამუშავებისა და დაზვერის გარდა აუცილებელია სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის დაიღოგის პრაქტიკის დაწერგვა. იმ პირთა აზრის გონივრული გაზიარება და გათვალისწინება, ვისი საქმიანობაც უნდა დაარეგულიროს ამა თუ იმ კანონმა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც კანონის მიმართ კეთილგანწყობის ფორმირებას, ასევე კანონის მაღალ ქმედითუნარობას.

ბიზნესის დაწყება და დაფინანსება

ბიზნესის დაწყება საქართველოში, საკანონმდებლო კუთხით თუ განვიხილავთ, ძალიან მარტივია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფინანსური ან პროცედურული ბარიერები საწარმოს დარეგისტრირებისათვის თითქმის არ არსებობს, რაც თავის მხრივ ნამდვილად წარმატებული რეფორმის შედეგია.

ბიზნესის გაფართოებისათვის და, მით უმეტეს, ბიზნესის დაწყებისათვის ფინანსურ რესურსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რაც არ უნდა მარტივი იყოს კომპანიის დარეგისტრირება, თუ ფინანსები არ არის ხელმისაწვდომი, ყველაზე პერსპექტიული ბიზნეს იდეაც კი განწირული იქნება.

ზოგადად, სესხის აღება მარტივი და იაფი უნდა იყოს. დღესდღეობით კრედიტის აღებისათვის ძირითადად უძრავი ქონების გარანტიაა საჭირო. მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სესხის აღების პირობები მნიშვნელოვნად უნდა გამარტივდეს. ამასთანავე, თითქმის არ არის დამწყები კომპანიის დაფინანსების პროცედურები.

გამოკითხული 1000 რესპონდენტიდან, მხოლოდ 344-მა შეძლო დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა. შესწავლილ საწარმოთა 58% გაყიდვების ზრდის ძირითად შესაძლებლობად ფინანსური რესურსების მოზიდვას ასახელებს.

ამ მხრივ სახელმწიფოს, ნამდვილად, განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია. ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი პროგრამების ეფექტიანი განხორციელება, როგორებიცაა „დასაქმების პროგრამა 2007: დასაქმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით“ და „იაფი სესხი“. ამ პროგრამების ერთ-ერთი

მთავარი დადებითი მხარე ისაა, რომ დამწყებ ბიზნესსაც შეუძლია სესხის მიღება.

აღნიშნული ტიპის მიზნობრივი პროგრამები უზრუნველყოფს როგორც პრიორიტეტული დარგების განვითარებას, ასევე ხელს შეუწყობს მიკრო და მცირე ბიზნესების სრულფასოვან ჩამოყალიბებას.

შრომის ბაზრის განვითარება

არავინ დაობს, რომ უმუშევრობა ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, თუმცა, იმავდროულად ხელმისაწვდომობა ადამიანურ რესურსებზე კერძო სექტორის ერთ-ერთი ყველაზე მტკიცნეული საკითხია.

როგორც ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, პროფესიონალიზმი პრობლემაა როგორც ტექნიკურ ასევე მენეჯერულ დონეზე. დღეს თითქმის შეუძლებელია საჭირო კვალიფიკაციისა და უნარების კადრის მოძიება.

რეალურად, არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას არ შეისწავლის, თუ რა სპეციალობის სამუშაო ძალაზე მოთხოვა. ბევრ ქვეყნაში ასეთი ტიპის კვლევას პერიოდულად ატარებენ უნივერსიტეტები ან/და სახელმწიფო. შედეგად კი საგანმანათლებლო ორგანიზაციები შრომის ბაზარს აწვდიან სწორედ იმ კვალიფიკაციისა და იმ რაოდენობის პოტენციურ კადრებს, როგორიცაა მოთხოვნა.

მენეჯერული კვალიფიკაციის მქონე კადრები მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ბაზარზე, თუმცა სრული კრიზისია ტექნიკური უნარების პერსონალის კუთხით, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია პროფესიული ტექნიკური სასწავლებლების არარსებობით. მაგალითისთვის, სამშენებლო ბიზნესი განვითარების მაღალი ტემპით გამოირჩევა. კვლევებმა კი აჩვენა, რომ ამ სექტორის კომპანიებს სერიოზული პრობლემები აქვთ ისეთი ხელობების კადრების მოძიებაში როგორებიცაა: ელექტროკონსი, შემდუღებელი, მლესავი და ა.შ. როგორც წესი, ბაზარზე წარმოდგენილი ამ პროფესიის სამუშაო ძალას ცოდნა და უნარები ტრადიციული მეთოდებით აქვთ მიღებული და არ ფლიბენ არანაირ ინფორმაციას თანამედროვე მეთოდების, ტექნოლოგიებისა თუ მასალების შესახებ.

შრომის ბაზრის სათანადოდ განვითარებას, ასევე უმუშევართა

რეალური რაოდენობის განსაზღვრას ხელს შეუწყობდა დასაქმების ერთიანი სააგენტოს ჩამოყალიბება. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში დამსაქმებელს არ გააჩნია უნარები და რესურსები, გამოაცხადოს ვაკანსია. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში. სამუშაოს მაძიებლისათვისაც რთულია ინფორმაციის მოძიება არსებული შესაძლებლობების შესახებ. დღეს, როგორც წესი, ინფორმაციის ძირითადი წყაროებია ინტერნეტი და მასშედია (ეს უკანასკნელი კი ძირითადად სახელწიფო სექტორში არსებული ვაკანსიების შესახებ) და, ბუნებრივია, რომ რთულია დამქირავებლისა და სამუშაოს მაძიებლის ერთმანეთთან დაკავშირება.

შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზარი საქართველოში ნაკლებად განვითარებულია და აუცილებელია ისეთი ინსტიტუტებისა და მექანიზმების შექმნა, რომელიც საბოლოო ჯამში კერძო სექტორს უზრუნველყოფს კვალიფიციური სამუშაო ძალით და იმავდროულად შემცირებს უმუშევრობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემებზე. ამდენად, აუცილებელია, რომ საგნანმანათლებლო ორგანიზაციებმა გადაწყვეტილება სასწავლო კურსებისა და სპეციალობების შესახებ შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით მიიღონ.

ექსპორტის ხელშეწყობა

შესწავლიდ საწარმოთა მხოლოდ 13% ახორცილებს ექსპორტის ა/ნდა იმპორტის ღონისძიებებს. დამატებით არგუმენტებს არ საჭიროებს ის დებულება, რომ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია არსებული საექსპორტო პოტენციალის სრულიად ათვისება, შემდგომ კი, მისი გაზრდა. დამატებით კი უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამომზმარებლო ბაზარი ნაძლვილად ძალიან მცირეა, შედევად კი კომპანიების განვითარებისათვის აუცილებელი საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს მზა პროდუქციის ექსპორტის წილი.

ერთი შეხედვით, საქართველოში შექმნილია მრავალი პირობა იმისათვის, რომ მეწარმემ წარმატებით განახორციელოს ექსპორტი - შეიცვალა საბაჟო კანონმდებლობა და შესაბამისად ადმინისტრირება. საქართველო სარგებლობს პრეფერენციათა განზოგადებული

სისტემით, რომელიც მართალთაც რომ მნიშვნელოვანი შეღავათების შესაძლებლობას აძლევს ქართულ ბიზნესს. შედეგად საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ, მოახდინონ ჯამში 9 000-მდე სახის პროდუქტის შეღავათიანი პირობებით (მათ შორის 7200 პროდუქტზე ნულოვანი განაკვეთით) ექსპორტირება 35-მდე ქვეყანაში.

თუმცა, საწარმოების უმრავლესობა არათუ საერთაშორისო, ადგილობრივ ბაზრებზეც კი ვერ ახერხებენ თავის დამკვიდრებასა და კონკურენტის განაკვეთის გარეშე. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ისევ და ისევ, ინფორმირებულობის ძალიან დაბალი დონეა. შესწავლილ რესპონდენტთა 92%-სათვის საბაჟო კანონმდებლობა როგორც აღსაქმელია და ხშირ შემთხვევებში ვერ ახერხებენ საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მოძიებას. გარდა საკანონმდებლო ინფორმირებულობის პრობლემისა, მეწარმეებისათვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია საერთაშორისო გასაღების ბაზრებისა და ბაზრებზე შეღწევის მითოლოგიის შესახებ.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ახორციელებს „ექსპორტის წახალისების ქვეპროგრამას“, რომლის ფარგლებშიც ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს შეუძლიათ შეღავათიანი პირობებით სესხის მიღება. ამგვარი პროგრამების განხორციელება, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მოქმედ ექსპორტირ კომპანიებს. თუმცა, აუცილებელია, პარალელურ რეეფიში გატარდეს ღონისძიება, რომლის შედეგადაც (1) გაიზრდება მეწარმეების საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის უნარები. (2) მეტად ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებისა და საჭიროებების შესახებ.

ხშირად ტარდება საერთაშორისო გამოფენები, ასევე არსებობს მრავალი სადილერო ვებ-გვერდი. ამგვარი და სხვა ხელშემწყობი ინფორმაციის ერთიანი ბაზის მომზადება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქართველ მეწარმეებს, განსაკუთრებით კი აგრარულ სექტორში, საგაჭრო პარტნიორების მომიებაში. დამატებით უნდა აღინიშოს, რომ აუცილებელია კერძო სექტორის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის შესახებ მეწარმეთა დეტალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

მეწარმეობრივი ცოდნა და უნარები

ბიზნესგარემოს მიმზიდველობას მრავალი ფაქტორი

განაპირობებს და სწორედ მასზეა დამოკიდებული ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები. თუმცა, რაც არ უნდა მიმზიდველი იყოს გარემო, თუ კომპანიის მენეჯერს არ გააჩნია არსებული შესაძლებლობების გამოყენების უნარები, ბიზნესი მაინც ვერ მიაღწევს წარმატებას. მით უმეტეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ბაზარზე მუდმივად იზრდება კონკურენციის ხარისხი.

ინფორმირებულობის, საკანონმდებლო გარემოსა და სხვა პრობლემებთან ერთად ქართული ბიზნესსექტორის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დაბალი მეწარმეობრივი უნარებია. ძალიან უჭირთ განვითარება მიკრო და მცირე ბიზნესს, ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ამონაგები თანხის რეინვესტირების პრაქტიკის თითქმის არარსებობა.

საგულისხმოა შემდეგი მონაცემები: შესწავლილ საწარმოთა 68%-ის მუშაობის გამოცდილება არ აღემატება 5 წელს, 28% მიიჩნევს, რომ კონკურენტები საფრთხეს არ წარმოადგენს, მხოლოდ 18% ფიქრობს, რომ გაყიდვების გაზრდისთვის საჭიროა ბაზრის შესწავლა, 9% საერთოდ ვერ ხედავს ახალი მომხმარებლის მოზიდვის საჭიროებას. 72% კი კომპანიის არასაგმარისი შემოსავლების მთავარ მიზეზად მომხმარებელთა შემოსავლების დაბალ დონეს ასახელებს და ა.შ.

ობიექტურად რომ შევაფასოთ, ქართველ მეწარმეებს არ გააჩნიათ საბაზო ურთიერთობებისა და მომხმარებელზე ორიენტირებული წარმოების გამოცდილება, ასევე რთულია შესაბამისი ცოდნისა და, მით უმეტეს, უნარების მიღება. ნაკლებადაა განვითარებული ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების ბაზარიც. საქართველოში წარმოდგენილია კონსალტინგური სერვისის მიმწოდებელი კომპანიები, თუმცა მათი მომსახურება საკმაოდ ძვირადილირებულია და არაა ხელმისაწვდომი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის.

მეწარმეობრივი უნარების გაზრდის მიმართულებით დიდი წვლილის შეტანა შეუძლია არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ქართულ ბიზნესს დღეს ესაჭიროება პრაქტიკული ტრენინგები, ხელმისაწვდომი ბიზნეს კონსულტაციები და ინფორმაცია საბაზრო შესაძლებლობების შესახებ.

გრძელვადიან პერიოდში აუცილებელია ჩამოყალიბდეს

ბიზნესის ოპერირებისა და მართვის ტრადიციები, როდესაც პირები საკუთარ ბიზნესს იმიტომ კი არ მოკიდებენ ხელს, რომ სხვა სამსახური ვერ იშოვეს, არამედ იმიტომ, რომ მათ აქვთ იდეა, უნარი და შესაძლებლობა, დაიწყონ და მართონ საკუთარი ბიზნესი.

მასშედია და არასამთავრობო სექტორი ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის მედიას, როგორც საზოგადოებრივი დაკვეთის შემსრულებელს, განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ის უნდა იყოს ობიექტური მოვლენების გაშუქებისას და აშუქებდეს იმ ინფორმაციას, რომელიც ბიზნესისათვის საინტერესო და ხშირ შემთხვევაში აუცილებელიცაა. მნიშვნელოვანია ჟურნალისტების პროფესიონალიზმის გაზრდა ეკონომიკური კუთხით, რათა მათ შეძლონ მეტი ანალიტიკური სახის ინფორმაციის მიწოდება ბიზნესისთვის. მედიას, ასევე მნიშვნელოვანი როლი აკისრია იყოს შუამავალი ბიზნესსა და სახელმწიფო სექტორს შორის.

მედიის როლის მნიშვნელობას თვით კერძო სექტორიც აღიარებს, მით უმტეს, რომ სწორედ მასშედიაში ხედავენ რიგი პრობლემების გადაჭრის გზებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბიზნესს მასშედის მიმართ 3 ძირითადი მოთხოვნა აქვს:

1. მიაწოდოს მეტი ინფორმაცია ბიზნეს საკნონმდებლო სიახლეების შესახებ;

2. გააშუქოს ბიზნესისათვის სხვადასხვა აქტუალურ საკითხები და შესთავაზოს ანალიზი;

3. შეასრულოს მედიატორის როლი და ხელი შეუწყოს სახელმწიფო ორგანოებსა და კერძო სექტორს შორის დიალოგის პრაქტიკის დამკვიდრებას.

როგორც ეს არაერთგზის, აღინიშნა, ბიზნესგარემოს განვითარება შეუძლებელია, თუ საზოგადოების ყველა სექტორმა არ გაწია ძალისხმევა ამ მიმართულებით. ნიშანდობლივია, რომ ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკისა თუ პროგრამების მონიტორინგთან ასოცირდება. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარკვეულწილად უნიკალური როლის შესრულება შეუძლია კერძო სექტორის განვითარების კუთხით. ამისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების ფოკუსირდება უნდა მოხდეს ორი ძირითადი მიმართულებით: (1) მეწარმეობრივი უნარების ზრდის ხელშეწყობა (ტრენინგები, ბიზნეს კონსულტა-

ციები, ინფორმირებულობის უზრუნველყოფა და აშ.); (2) კვლევითი და ანალიტიკური სამუშაოების შესრულება და კერძო სექტორის შესაბამისი პრობლემების აღვოკატირება.

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი ფირმა საქმიანობს გარკვეულ ბიზნეს-გარემოში. ბიზნეს-გარემო არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა რომელიც ზემოქმედებენ ფირმაზე, ან შეძლებისდაგვარად ფირმა ზემოქმედებს მათზე. სწორედ ამიტომ, საწარმომ სისტემატურად უნდა ჩაატაროს ანალიზი-შეფასება, რათა დაადგინოს ის საშუალებანი, რომელსაც გარე-სამყარო სთავაზობს. უნდა აღვნიშნოთ რომ თუ ეს ანალიზი უგულებელყოფილი იქნება მაშინ ნაკლები შანსი აქვს ბიზნესს რომ წარმატებით განვითარდეს, ამიტომ ფირმის, როგორც საქმიანი ორგანიზაციის სიღრმისეული და ყოველმხრივი შემცირების კარგი საშუალებაა სისტემური მიღობა. ასეთი მიდგომით, ფირმა ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისგან შემდგარი მოლინი ორგანიზმია, რომელიც გარემოსთან მრავალმხრივ კავშირში იმყოფება.

აუცილებელია დავაკონკრეტოთ, რომ გამოყოფენ ბიზნესის შიდა და გარე გარემოს. ელემენტები რომლებიც ორგანულად ექუთვნის მოცემულ ფირმას და ექვემდებარებიან შიდა კონტროლს, წარმოადგენენ სისტემის შიდა გარემოს. ხოლო ის ელემენტები რომლების ორგანულად არ ექუთვნიან მოცემულ ფირმას, არ ექვემდებარებიან მისი მხრიდან რეგულირებას, მაგრამ საქმაოდ დიდი ზეგავლენას ახდენენ ბიზნესის ფუნქციონირებაზე და ამის გამო მათი გათვალისწინება ბიზნესის ფუნქციონირებაში აუცილებლად გასათვალისწინებელია, ამიტომ ისინი აყალიბებენ სისტემის გარე გარემოს.

ფირმის ძირითადი მიზანი გარე გარემოს ზემოქმედებაზე არის ის, რომ გაარკვიოს რომელ საქონელზე და მომსახურებაზეა მოთხოვნა და მოძებნონ მისი წარმოებისათვის საჭირო რესურსები. ასევე საყურადღებოა რომ განასხვავებენ დახურულ და ღია სისტემას. დახურული სისტემის მოქმედება არ არის დამოკიდებული სისტემის გარეთ მყოფ გარემოზე. ხოლო ღია სისტემის ფუნქციონირება მჭიდრო ურთიერთკავშირშია გარემოსთან.

ურთიერთ გაცვლის შედეგად, ფირმა და გარემო მუდმივ ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ბიზნესის თავისებურებანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის განვითარებული გარემო. ნებისმიერი ფირმის საქმიანობის რეგლამენტაციას ახდენს სამართალი, რომელიც აისახება საკანონმდებლო ბაზაში.

ამდენად ბიზნესია და სამართალს შორის მყარდება ორმხრივი ურთიერთობა, ერთის მხრივ, სამართალი აწესრიგებს ბიზნესს, და მეორეს მხრივ კი ბიზნესი ახდენს სამართლებრივი ნორმების სრულფოფასა და განვითარებას.

პოლიტიკა ბიზნეს გარემოს ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანია ისეთ განვითარებად ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო. ერთი მხრივ, ბიზნესი მოქმედებს პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ხოლო მეორეს მხრივ, პოლიტიკა განსაზღვრავს ბიზნესის ქცევის წესებს. დღეისთვის მთელი რიგი განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკური მოღვაწეობა ქმნის ბიზნესის წარმატებული გაძლოლის ადმინისტრაციულ გარანტიებს.

პოლიტიკოსები ბიზნესის მხარდაჭერას ლობიზმის გზით ახდენს. ლობიზმში (ინგ. სიტყვაა და კულუარებს ნიშნავს) იგულისხმება ცალკეული დარგების ფირმების, სოციალური ჯგუფების ცალკეული დარგების მხარდასაჭერად მიმართული სახელმწიფო ორგანოების, სასამართლო, აღმასრულებელი, საკანონმდებლო ორგანოების მოქმედება.

ლობისტები არიან ის პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მხარდაჭერას. განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიები ისწრაფვიან ხელისუფლებისაკენ ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის მიზნით, რამეთუ ეკონომიკური პროგრესი ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტია. ამიტომაც არის, რომ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები არ ხდებან პოლიტიკური გადატრიალებების, რევოლუციების და სხვა პოლიტიკური კატაკლიზმების მსხვერპლი. აღნიშნული ადასტურებს იმას, თუ რაოდენ დიდ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ბიზნესის პროგრესზე და პირიქით.

აახლა რაც შეეხება საქართველოს ბიზნეს გარემოს. როგორც დავინახეთ ბიზნესი მუდმივ კავშირშია გარემოსთან, ამიტომ ბიზნესმენი მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს გარე სამყაროში

მიმდინარე ცვლილებებს და ცდილობდეს მათდამი ადაპტირებას.

ჩვენ კარგად გვესმის რომ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისთვის საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა, მას კი სჭირდება შესაბამისი, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა. ბიზნეს-გარემოს ფორმირება საქართველოს უხდება იმ დროს როცა მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრება მეტად არასტაბილურა.

ბიზნეს გარემოს გამართული ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: ქვეყნაში სრულყოფილი კონკურენციის არსებობას, მოტივაციის სისტემის სრულყოფას, სამუშაოების საქმიანობის თავისუფლებას, სამეწარმეო პოტენციალის გამოვლენას, სამართლებრივი გარანტიების, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობას.

საქართველოში ბიზნეს გარემოს უარყოფით ზეგავლენას ახდენს შემდეგი ფაქტები: ომის განახლების საშიშროება, პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა, სოციალური კრიზისი, საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლილება, საგარეო ვალი, ხელისუფლების მიერ არაადეკატური ჩარევა და ა.შ.

ასევე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ რომ ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებაზე მოქმედებს: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა. ასევე ქვეყნის ბიზნეს-გარემოზე უმნიშვნელოვანები ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. როგორც ვხედავთ საკმაოდ დიდი როლი აკისრია ბიზნეს-გარემოს შექმნაში ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას. რაც უფრო მაღალია პოლიტიკური არასტაბილურობა, მით უფრო არახელსაყრელია ქვეყანაში ბიზნეს-გარემო.

ჩვენი ქვეყნის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისათვის უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

1) უნდა შემუშავდეს საინვესტიციო პოლიტიკა, უფრო ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ა.შ.

2) ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირება უნდა მოხდეს საზოგადოების ინტერესებიდნ გამომდინარე.

3) სახელმწიფო უნდა ასტიმულირებდეს საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების

განვითარებას, ასევე ხელს უნდა უწყობდეს რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ინფლაციის შემცირებას და სხვა მაქრო ეკონომიკური პროცესების სტაბილიზაციას.

საქართველოში ბიზნეს გარემოს კვლევის შედეგები

- გამოკითხულ საწარმოთა 68%-ის გამოცდილება 5 წელს არ აღემატება, რაც მიუთითებს, რომ საქართველოში ბიზნესის მართვის კულტურა და ტრადიციები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ამას ისიც ემატება, რომ საქართველოში არსებული ბიზნესგარემო და შესაბამისად კანონმდებლობა არასტაბილურია და კვლავაც განვითარების გზაზე იმყოფება;
- გამოკითხული კომპანიების 61%-ის ზოგადი შეფასებით საქართველოში არსებული ბიზნესგარემო მეტ-ნაკლებად ნორმალურია, ხოლო 26% კი მიიჩნევს, რომ არსებული გარემო აფერტებს ბიზნესის განვითარებას;

• ბიზნესის მფლობელთა და მენეჯერთა მხოლოდ 77%-მა დაასახელა საგადასახადო კოდექსი მათი საქმიანობის მარეგულირებელ კანონად. 14%-მა კი საერთოდ ვერ გაიხსენა ვერც ერთი კანონი. საგადასახადო კოდექსის შემდეგ მოდის კანონი მეწარმეთა შესახებ, რომელიც რესპონდენტთა 17%-მა დაასახელა. ყველა სხვა დანარჩენი კანონის ცნობადობა არ აღემატება 8%-ს; აღნიშნული მაჩვენებლები ნათლად წარმოაჩენს კერძო სექტორის ცნობიერების დონეს საკანონმდებლო ბაზასთან მიმართებაში;

• რესპონდენტთა 77%-მა საწარმოს რეგისტრაცია უპრობლემოდ გაიარა. აღნიშნული მაჩვენებელი განპირობებულია ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებით, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვნად შემცირდა რეგისტრაციისათვის წარსალგენი დოკუმენტების რაოდნობა და დადგენილი დრო, გამარტივდა პროცედურა. ამასთანავე, იმ მეწარმეებმა, რომლებსაც გაუჭირდათ ბიზნესის დარეგისტრირება (23%) მიუთითეს, რომ მათთვის პრობლემატური იყო წარსალგენი დოკუმენტაცია და პროცესის ხანგრძლივობა;

• გამოკითხულთა მხოლოდ 8% აღნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსი სავსებით გამართული და გასაგებია. რამდენადაც საგადასახადო კოდექსი ადგენს ბიზნესგარემოში ოპერირების

თამაშის ძირითად წესებს, იგი შედარებით ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს ყველა მოთამაშისათვის და არა მხოლოდ მეწარმეთა მცირე ნაწილისათვის;

• კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მეწარმეთა 96% იხდის საშემოსავლო გადასახადს, 86% კი – სოციალურს. (შენიშვნა: საველე კვლევის პერიოდისათვის საკანონმდებლო ცვლილება სოციალური გადასახადის გაუქმების შესახებ ძალაში არ იყო შესული). საგულისხმოა ის მონაცემი, რომ საწარმოთა მხოლოდ 61% იხდის მოგების გადასახადს. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელს კი – გამოკითხულ რესპონდენტთა 27%;

• საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას გამოკითხულთა უმრავლესობა იღებს უშუალოდ საგადასახადო ორგანოებისა და მას-მედიის მეშვეობით, თუმცა რესპონდენტთა 35%-სთვის საჭირო ინფორმაცია თითქმის არაა ხელმისაწვდომი;

• სოციალური გადასახადის გაუქმებისა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ზრდის შესახებ ინფორმაციას მეწარმეთა 51% ფლობდა. რესპონდენტთა 37%-ის აზრით, აღნიშნული ცვლილება არანაირ ზეგავლენის არ მოახდენს მათ საქმიანობაზე;

• საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა საქმიანობის 77% არ საჭიროებს ლიცენზიას ან/და ნებართვას და მხოლოდ 3% არ იყო ინფორმირებული ექვემდებარებოდა თუ არა ლიცენზირებას. შესაბამისად, ახალმა კანონმა ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ დადებითი ზეგავლენა მოახდინა ბიზნესგარემოზე და ინფორმირებულობის დონეც საქმაოდ მაღალია ამ მიმართულებით;

• გამოკითხულ მეწარმეთა მხოლოდ 13% ახორციელებს ექსპორტის ან/და იმპორტის ღონისძიებებს. ეს მაჩვენებელი, აღბათ, იმაზეც მიუთითებს, რომ საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას ძირითადად მსხვილი კომპანიები ახერხებენ;

• მეწარმეების 9%, რომლებიც ახორციელებენ ექსპორტს ან/და იმპორტს მიიჩნევს, რომ ახალი საბაზო კოდექსი სავსებით გამართული და გასაგებია, ხოლო დანარჩენი კომპანიები კი გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან კოდექსის აღქმასთან დაკავშირებით;

• გამოკითხულ მეწარმეთა მხოლოდ 32% ფლობს ინფორმაციას საბაზო კანონმდებლობისა და შესაბამისი ცვლილებების

შესახებ. მეწარმეების 49%-სთვის ინფორმაციის ძირითად წყაროს საბაჟო ორგანოები წარმოადგენენ;

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა 35% სკეპტიკურად აფასებს ახალ საბაჟო კოდექსს და ფიქრობს, რომ არაფერი არ შეცვლილა, ხოლო 30%-ის აზრით, ახალმა კოდექსმა გააძარტივა საბაჟო პროცედურები;

• კვლევაში მონაწილე ბიზნესმენთა 40%-მა ბოლო ერთი წლის განმავლობაში დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვისათვის მიმართა სხვა პირს ან/და ორგანიზაციას. მათმა 9,2%-მა დაფინანსებისათვის საბაზო სექტორს მიმართა, დანარჩენი 8% კი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და სამეცნიერო/სანათესაო წრეზე მოდის. იმ მეწარმეთა უძრავლესობა, რომელმაც ბანკს მიმართა, პრობლემად მიიჩნევს სესხის საპროცენტო განაკვეთს; აქვე, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა 58% გაყიდვების ზრდის ძირითად შესაძლებლობად დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას ასახელებს;

• რესპონდენტთა 62%-ს უჭირს კონკურენციის გაწევა, ხოლო 28%-ს მიაჩნია, რომ მისი ბიზნესისთვის უახლოესი 1 წლის განმავლობაში კონკურენტები საფრთხეს არ წარმოადგენენ. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს დაბალ მეწარმეობრივ უნარებზე. ყველაზე „თავდაჯერებული“ დარგი მშენებლობა, ხოლო ყველაზე „ფრთხილი“ ვაჭრობა (64%) და სოფლის მეურნეობა (67%), რომლებიც თვლიან, რომ უჭირთ კონკურენციის გაწევა;

• მეწარმეების 38%-ის შეფასებით კონკურენტული უპირატესობის მიღწევისთვის აუცილებელია პროდუქტის / მომსახურების ფასის შემცირება. ასევე მნიშვნელოვან ღონისძიებებად დასახელდა პროდუქციის/მომსახურების ხარისხის გაზრდა (28%) და ბაზრისა და კონკურენციის შესწავლა (18%);

• ახალი მომხმარებლის მოზიდვის საკითხის შეფასებისას რესპონდენტთა 51%-მა აღნიშნა, რომ მათთვის მომხმარებლის მოზიდვა რთულია, ხოლო 9%-ს ამ ეტაპზე არ სჭირდება დამატებითი მომხმარებელი. გამოკითხულთა 72%-მა ახალი მყიდველის მოზიდვის სირთულის ძირითად გამომწვევ მიზეზად შემოსავლების დაბალი დონე დაასახელა;

• შრომის ბაზრის ფუნქციონირებას ბიზნესმენები

არადამაქმაყოფილებლად აფასებენ. რესპონდენტთა 55%-ს უჭირს ან საერთოდ ვერ ახერხებს სასურველი კადრის მოძიებასა და დაქირავებას;

კვლევის შედეგად გამოვლინდა ქართული ბიზნესისთვის ყველაზე აქტუალური 10 პრობლემა. მირითადად მეწარმეთა ყურადღება კონცენტრირებულია კანონების ირგვლივ, თუმცა გამოვლენილ პრობლემებში ასევე არის შრომის ბაზრის, ინფორმირებულობის, ფინანსების ხელმისაწვდომობის და სხვა პრობლემები;


- რესპონდენტთა აზრით, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის გამარტივება (67%) და დაწესოს შეღავათები გარკვეული დარგებისა და მცირე ზომის საწარმოებისათვის (63%);

- რესპონდენტთა 39%-ის აზრით, მას-შედიამ მეწარმეებს უნდა მიაწოდოს მეტი ინფორმაცია ბიზნეს საკინომდებლო სიახლეების შესახებ. 31% კი თვლის, რომ ბიზნესისთვის ზოგადი შეფასებები საქართველოში ბიზნეს გარემოზე შეძლება:

შესწავლილი საწარმოების 42%-ს მხოლოდ 1-დან 5 წლამდე ოპერირების გამოცდილება აქვს. თითქმის ყოველთვიურად იზრდება რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, თუმცა ბევრი მათგანი ვერ ახერხებს ბიზნესის წარმატებულ მართვას და საკმაოდ მოკლე პერიოდში ტოვებს ბაზარს.


ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბიზნესის მართვისა და დაგეგმვის კულტურა ძალიან დაბალია. ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრია გასაკეთებელი, განსაკუთრებულ ხელშეწყობას კი მიკრო და მცირე ბიზნესი საჭიროებს.

დასგრამა 15. შესწავლილი საწარმოების ფუნქციონირების
პერიოდები



ჩატარებულ კვლევაში შესწავლილია მეწარმეთა დამოკიდებულებები და ხედვები ბიზნესგარემოს სხვადასხვა ასპექტების მიმართ. რესპონდენტებმა ასევე მოახდინეს ბიზნესგარემოს ზოგადი შეფასება. გამოკითხულთა უმრავლესობის (61%) აზრით, ბიზნესგარემო საქართველოში მეტნაკლებად ჩატარებულ კვლევაში შესწავლილია მეწარმეთა დამოკიდებულებები და ხედვები ბიზნესგარემოს სხვადასხვა ასპექტების მიმართ. რესპონდენტებმა ასევე მოახდინეს ბიზნესგარემოს ზოგადი შეფასება. გამოკითხულთა უმრავლესობის (61%) აზრით, ბიზნესგარემო საქართველოში მეტნაკლებად ნორმალურია.

დიაგრამა 16. ბიზნესგარემოს ზოგადი შეფასება




ბიზნესის ოპერირების ძირითად წესებს აწესებს სახელმწიფო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით. სწორედ კანონმდებლობაზეა დამოკიდებული რამდენად გამჭვირვალე, სამართლიანი და მოწნილია ბიზნესგარემო. თუმცა ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. არანაკლებ მნიშვნელოვანია რამდენად ფლობენ მეწარმეები ინფორმაციას მათი საქმიანობის მარეგულირებელი კანონისა თუ ნორმატული აქტის შესახებ. კვლევის შემდეგი ბლოკი მიზნად სწორედ კანონმდებლობასთან მიმართებაში კერძო სექტორის ცნობიერების დონისა და დამოკიდებულების გამოვლენას.

ასევე გამოიკითხა მეწარმეები, რომლებმაც საწარმო დაარეგისტრირეს:

გამოკითხულ რესპონდენტთა 77%-მა საწარმო უპრობლემოდ დაარეგისტრირა, 16%-სთვის აღნიშნული პროცესი მეტ-ნაკლებად რთული იყო, ხოლო თითქმის 7%-მა განაცხადა, რომ დაარეგისტრირების პროცესი რთული იყო. საორიენტაციოდ, ეს

მაჩვენებელი ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგია, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვნად შემცირდა რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების რაოდენობა და დადგენილი დრო, ამასთან გამარტივდა პროცედურა. უძრავლესობის აზრით, რეგისტრაციის პროცესი გამართულია და არ საჭიროებს გაუმჯობესებას, 11%-ს კი სურს წარსადგენი დოკუმენტაციის რაოდენობის კვლავაც შემცირება, 10%-სთვის კი პროცესი მაინც დიდ დროს საჭიროებს. ზოგადად, 221 რესპონდენტისათვის საწარმოს დარეგისტრირება რთული პროცესი აღმოჩნდა. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს წარსადგენი დოკუმენტები, პროცესის ხანგრძლივობა და გადასახდელი თანხის მოცულობა (დიაგრამა 17).

დიაგრამა 17. საწარმოს დარეგისტრირების პროცესის შეფასება (იმ მეწარმეების, ვისთვისაც დარეგისტრირების პროცესი რთული იყო)



- რეგისტრაციის პროცესი გამართულია და არ საჭიროებს გაუმჯობესებას
- წარსადგენი დოკუმენტაციის რაოდენობა
- პროცესის ხანგრძლივობა
- გადასახდელი თანხის ოდენობა
- საგადასახადო ორგანოდან მოწმობის მიღება
- დეპოზიტის გახსნა ბანკში
- სხვა


ლიცენზიები და ნებართვები

ლიცენზიები და ნებართვები ქართული ბიზნესის ერთ-ერთი მძიმე ტვირთი იყო წლების განმავლობაში. 2004 წელს მიღებული ახალი კანონის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა. აღნიშნული რეფორმის დადებითი ზეგავლენა კიდევ ერთხელ დადასტურა ჩატარებულმა კვლევამ. რესპონდენტთა მხოლოდ 23% საჭიროებდა ლიცენზიას, 3%-მა კი არ იცოდა ექვემდებარებოდა თუ არა მათი საქმიანობა ლიცენზირებას. აქ ისევ ინფორმირებულობის პრობლემას ვხვდებით. თუმცა, სხვა კანონებისგან განსხვავებით, ამ მიმართულებით მეწარმეები ყველაზე მეტად არიან ინფორმირებულნი.

რაც შეეხება იმ მეწარმეებს, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზიას ან/და ნებართვას, მათი 96% უკვე ფლობს შესაბამის ლიცენზიას/ნებართვას, ხოლო დანარჩენი 4% კი კვლევის ჩატარების პერიოდისათვის შესაბამისი დოკუმენტის მიღების პროცესში იყო. ლიცენზის მფლობელთა ნახევარზე მეტმა პროცედურა უპრობლემოდ გაიარა, ხოლო დანარჩენთათვის

ლიცენზიის/ნებართვის მიღების პროცედურა საკმაოდ პრობლემატური აღმოჩნდა. ლიცენზიის მფლობელთა 31%-ს მიაჩნია, რომ აუცილებელია ლიცენზიის/ნებართვის მისაღებად საჭირო დროის შემცირება, 31%-ის აზრით, პროცედურა გამართულია და არ საჭიროებს გაუმჯობესებას, 23% კი უკმაყოფილოა წარსადგენი დოკუმენტების სახეებითა და რაოდენობით (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18. ლიცენზიის/ნებართვის მიღების პროცესის შეფასება



- დროის ხანგრძლივობა, რომელიც საჭიროა ინვესტიციის წებართვის მისაღებად
- პროცედურები გამართულია და არ საჭიროებს გაუმჯობესებას
- წარსადგენი დოკუმენტაციის სახეები და რაოდენობა
- მაკონტროლებელი ორგანიზაციების რაოდენობა
- სხვა
- ტენდერის ფორმა ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის


საგადასახადო კანონმდებლობა

როგორც აღინიშნა, საგადასახადო კოდექსი ყველაზე ხშირად დასახელდა მეწარმეების მიერ. ზოგადადაც, ეს ბიზნესის მარეგულირებელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იურიდიული დოკუმენტია. კვლევის ერთ-ერთი მიზანი კონკრეტული მიმართულებების მიმართ მეწარმეების ცნობიერების დონისა და დამოკიდებულების შეფასებაა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მეწარმეთა 96% იხ-


დის საშემოსავლო გადასახადს, ხოლო 86% კი – სოციალურს. საგულისხმოა ის მონაცემი, რომ საწარმოთა მხოლოდ 61% იხდის მოგების გადასახადს. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი გამოკითხულ რესპონდენტთა 27%-ია (დიაგრამა 19).

დიაგრამა 19. გადასახადები, რომელსაც იხდის ქართული ძიზენი



რესპონდენტებმა შეაფასეს საგადასახადო კოდექსი. მათ 27%-ს მიაჩნია, რომ კანონი მეტნაკლებად გამართული და გასაგებია. თუმცა, რესპონდენტთა უმრავლესობის (41%) აზრით, კოდექსი საჭიროებს ცვლილებებს და საკმაოდ დასახვეწია, 12%-ისათვის კი პრობლემატურია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები (დიაგრამა 20).

დიაგრამა 20. გამოკითხულთა მიერ საგადასახადო კოდექსის შეფასება



ბიზნესის დაფინანსება


ბიზნესის წარმატებული ოპერირებისათვის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. როგორც წესი, მსხვილ კომპანიებს, რომლებიც ფლობენ ძირითად

საშუალებებს, ბანკებთან ურთიერთობისას პრობლემები არ აქვთ. თუმცა იგივეს თქმა არ შეიძლება მცირე და საშუალო ბიზნესზე. აქ პრობლემებს ვწვდებით როგორც სესხის უზრუნველყოფის მიმართულებით, ასევე - საჭირო დოკუმენტაციის მომზადების დაბალი უნარების ქუთხითაც.

საგულისხმოა ის მონაცემები, რომ გამოკვლეულ საწარმოთა 40%-მა გასული ერთი წლის განმავლობაში მიმართა პირს ან/და ორგანიზაციას დამატებითი ფინანსების მოზიდვისათვის. ასეთი საწარმოების 92%-მა დაფინანსებისათვის საბანკო სექტორს მიმართა, დანარჩენი 8% კი მოდის მიეროსაფინანსო ორგანიზაციებსა და სამეცნიერო/სანათესაო წრეზე.

საბანკო სექტორს სესხისათვის მიმართა 379 რესპონდენტმა. მათგან 91%-მა მიიღო საჭირო დაფინანსება, ხოლო დანარჩენ 9%-ს უარი უთხრეს სხვადასხვა მიზეზის გამო. ყველა რესპონდენტმა, რომელმაც მიმართა ბანკს, შეაფასა სესხის მიღების პირიბები და პროცედურები. რესპონდენტთა უმრავლესობა (63%) ისურვებდა საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, 22% კი უკმაყოფილოა წარსალენი დოკუმენტების რაოდენობითა და სახეებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სექტორი შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს თავიდან აიცილოს მაღალი რისკები, რაც დაკავშირებულია როგორც ქართული ბიზნესის განვითარების მაჩვენებლებთან, ასევე ზოგიერთი დარგის არასტაბილურობასთან (დიაგრამა 21).

დიაგრამა 21. სესხის მიღების პროცესში რა საჭიროებს გაუმჯობესებას



ბიზნესის განვითარების გამოწვევები


ბიზნეს-გარემოს განვითარების შესახებ რეკომენდაციებს ამზადებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე პოლიტიკოსებსაც აქვთ საკუთარი სედვა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ბიზნესი ან/და კონკრეტული დარღი საქართველოში. თუმცა საინტერესოა, რას ფიქრობს კერძო სექტორი, რა მიმართულებით ითხოვს იგი მხარდაჭერას და ვისგან.

მნიშვნელოვანია გატარდეს ერთიანი პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს, ასევე საერთაშორისო სექტორის მხრიდან, რათა რეალურად მოხდეს ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარება. მიზანმიმართული ღონისძიებების განხორცილებისათვის კი აუცილებელია, ზუსტად მოხდეს აღნიშნული პრობლემების იდენტიფიკაცია და რანჟირება.

ჩატარებული კვლევების ანალიზის შედეგად გამოვლინდა 10 ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის წინაშეც დგას

ქართული ბიზნესი დღეს (დიაგრამა 21). ყველაზე მეტად პრობლემატურ საკითხად კვლავაც ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა დასახელდა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი კანონი გაუქმდა, მეწარმეთათვის მაინც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საკანონმდებლო ბაზის აღქმა და სწორად გაგება. ამასთანავე, ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები იწვევს ინფორმირებულობის საკმაოდ დაბალ დონეს.

დიაგრამა 22. კერძო სექტორის 10 ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა




- გადასახადების განაკვეთები
- კანონების მაღიანიაზე არახელმისაწვდომობა
- კანონების არსებული მრავალი ორაზროვანი და რთულად გასაგები ჩანაწერი
- სასურველი კადრების მომიერების სირთულე
- სესხის საპროცენტო განაკვეთი
- გაყიდვების გაზრდა
- ხელმისწვდომობა საკანონმდებლოდან და სხვა ინფორმაციაზე
- სესხის მისღებად საჭირო წარსადგენი დოკუმენტაციის სახეები და რაოდენობა
- საგადასახადო კონტროლი

კერძო სექტორის აზრით, სახელმწიფოსა და მას-მედიას განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია ბიზნესგარემოს განვითარების ხელშეწყობის კუთხით, რაც საკმაოდ შეესაბამება გამოვლენილ პრობლემებს. მეწარმეთა აზრით, სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს ზომები, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასა და არსებული ბიზნესების სწრაფ განვითარებას. რესპონდენტების ინტერესთა კონცენტრაცია ისევ და ისევ კანონების გამარტივებისკენ არის მიმართული, როდესაც კანონის გამარტივებისას გათვალისწინებული იქნება ბიზნესმენების მოსაზრებები. შედეგად კი, კანონი უფრო პრაქტიკაზე მორგებული და მოქნილი გახდება.

შესწავლიდ საწარმოთა 63%-ის აზრით, ეკონომიკის სწრაფი განვითარებისთვის აუცილებელია დარგების ან/და მცირე საწარმოებისთვის შეღავათების დაწესება. ეს უკანასკნელი მრავალ ქვეყანაში აპრიბირებული მეთოდია სტრატეგიული დარგების გასავითარებლად. კონკრეტული დარგებისთვის ან მცირე ზომის საწარმოებისთვის შეღავათების დაწესებისას შეიძლება გამოვიყენოთ მდიდარი საერთაშორისო პრაქტიკა ქართული რეალობის გათვალისწინებით.

დიაგრამა 23. სახელმწიფოს როლი ბიზნეს-გარემოს
განვითარებაში



5.6. ინოვაციური მიდგომები საინკუსტიციო გარემოში

საქართველოში ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მთავარი

ამოცანაა საინვესტიციო და საინვაციო მენეჯმენტის სრულყოფა. ეკონომიკის შემაფერხებელი ყველაზე კრიტიკული პრობლემების იდენტიფიკაცია და დამლევა.

კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასაკმარისად განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

იკვეთება სამი ძირითადი პრობლემა, რომელიც შემდეგ მიმართულებად იყოფა:

1. საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება;
2. ინვაცია და ტექნოლოგიები ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;

3. ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობაზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტუან განაწილებაზე. მძაფრი გლობალური კონკურენციადან და დინამიური ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, ბიზნესის მოთხოვნები სწრაფად იცვლება. შესაბამისად, აუცილებელია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა.

თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ უნდა გააუმჯობესოს საკანონმდებლო და ინსტიტუციურ მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა უზრუნველყოფდეს კვარტალური გარიგებების, კონკურენციის შემზღვდავი შეთანხმებების და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმოფხვრის ეფექტუან ნორმებს და აღსრულების მექანიზმებს. ამავე დროს, აუცილებელია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა არ ქმნიდეს ხელოვნურ ბარიერებს კომპანიების ზრდისა და განვითარებისთვის.

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ბიზნესის დაწყების სიმარტივესთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესის დახურვის სიმარტივე.

კერძო სექტორის მწარმოებლურობის ამაღლებისთვის ბიზნესის დახურვის სიმარტივეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ის აადვილებს კომპანიების გადანაცვლებას ნაკლებად ეფექტური სფეროდან უფრო ეფექტურში და შესაბამისად, ხელს უწყობს კომპანიების ზრდას და კონკურენტურანობის ამაღლებას. ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული აღმინისტრაციული პროცედურების შემდგომი გამარტივების მიზნით, მთავრობა უზრუნველყოფს ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და აღსრულების მექანიზმების დახვეწას. ასევე, გადახდისუურანობის პროცესში, კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონის ასამაღლებლად მოხდება კანონმდებლობის და აღსრულების შესაბამისი მექანიზმების გაუმჯობესება.

საქართველოში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. ამ ეტაპზე, შედარებით განვითარებულია მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც პირდაპირ მიმდებლია საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზია ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციის დაბალი დონე.

ქვეყნაში ინოვაციის დონე ჯერ ისევ არადამაკამაყოფილებელია და დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსში 2013 (GII) საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2012 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში (ICI) საქართველოს 44-ე ადგილი უკავია 131 ქვეყნას შორის. გლობალური კონკურენტურანობის ინდექსში (GCI) 2013-2014 წლის მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყნას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს:

- ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი - 118-ე ადგილი;
- კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) - 128-ე ადგილი. დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიზედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები:

• უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა - მე-100 ადგილი;

• ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ - 117-ე ადგილი.

არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთეულთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განხორციელებისთვის. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, მოსახლეობის მიერ კომუნიკაციის ამ საშუალების გამოყენების დონე კვლავ არადამაკმაყოფილებელია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (2013-2014) საქართველოს შედარებით უკეთესი, თუმცა არასათანადოდ კარგი პოზიციები აქვს:

• მოსახლეობის მიერ ინტერნეტის გამოყენება - 71-ე ადგილი;

• 100 მოსახლეზე მაღალსიჩქარიანი მონაცემთა გაცვლის ქსელზე ხელმისაწვდომობა - 65-ე ადგილი.

ქსელური მზადყოფნის ინდექსის (ეტწორგედ ღეადინესს Iნდექს - ღI) მიხედვით 2013 წელს საქართველო 65-ე ადგილზეა.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის და დანერგვის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება.

საქართველოში მთავრობა ასევე ხელს შეუწყობს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციის მამოძრავებლები არიან.

ინოვაციის მხარდაჭერისთვის, მთავარია მთავრობის მიერ ხელი შეუწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ინკუბატორები) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას. ამასთანავე, მოხდება კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი

ლაბორატორიებისთვის.

ინოვაციების განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის გაუმჯობესებას

ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისთვის, საქართველოს მთავრობამ უნდა წაახალისოს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, რომელიც მიმართული იქნება მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე, განსაკუთრებით კი, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვაზე და მწვრთ ეკონომიკის განვითარებაზე.

ტყის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას, ვინაიდან ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღეზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის, პიდროვერგეტიკის, ტურიზმისა და ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარება. საერთაშორისო დაფინანსებით ტყის მართვის თანამედროვე მოდელის დანერგვა და ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა შეამცირებს ტყის დეგრადაციით გამოწვეულ ხარჯებს და ზელს შეუწყობს ეკონომიკური სარგებლის ზრდას ტყეების ეკოსისტემებირ სერვისების გაუმჯობესების გზით.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარ შედეგებს შორის მოიაზრება კომპანიების მიერ ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებს და ბიზნესს შორის კავშირების გამყარება, ინოვაციების დონის ამაღლება და შედეგად ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე ორიენტაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტრატეგიული განვითარების „ათპუნქტიანი გეგმა“ - მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის, 2011-15, ოქტომბერი, 2011.
2. დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2011. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნესის სექტორი, 2011.
3. მცარე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, 2009.
4. საქართველო ციფრებში, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2010.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მრავალდონიანი საინოგაციო პოლიტიკა და ეკონომიკური გზამდგლევი. თბილისი, 2010.
6. ევროგაერთიანების აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა, 2011.
7. შრომის ბაზარი საქართველოში 2009, სტატისტიკური პუბლიკაცია.
8. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2009.
9. „The Essays of Warren Buffett” – უორენ ბაფეტი, 2013.
10. “Rich Dad, Poor Dad” - რობერტ კოსაკი, 2012.
11. მ.ლომსაძე-კუჭავა. სახელმძღვანელო ”საბაზრო ეკონომიკა”. თბილისი, 2006.
12. ნ.სამსონია. მეთოდური მითითებები „მენეჯმენტის საფუძვლები”. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2003.
13. ნ.სამსონია. საფინანსო მენეჯმენტი (დამხმარე სახელმძღვანელო). გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2003.
14. ნ.სამსონია, მ.ლომსაძე-კუჭავა. ენერგოკომპანიების საწარმო (ოპერაციული) მენეჯმენტი. საგამოცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2011.
15. გ.ამყოლაძე, მ.ლომსაძე-კუჭავა. ენერგობაზრის მართვა. საგამოცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2012.

16. გ.ამყოლაძე, მ.ლოსაძე-კუჭავა. ორგანიზაციის თეორია და მენეჯმენტის საფუძვლები. „უნივერსიტეტი „გეომედი“. თბილისი, 2011.
17. გ.შუბლაძე, ბ.მდებრიშვილი, ფ.წოწკოლაური. მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2008.
18. ნ.სამსონია, მ.ლომსაძე. საინვესტიციო პროექტის დაგენერირების მეთოდოლოგიური ასპექტები. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ენერგია“, 2(50), ნაწ. 2, 2009.
19. რ.მახვილაძე, კ.მახვილაძე, ჯ.ჩოგოგაძე და სხვ. ინვესტიციების თეორია და ანალიზი. რედ.: გ. ლალუნდარიძე, დ. პაპავა. სტუ, თბილისი, 2005, სტუ-ს სტამბა.
20. ნ.კინაძე. ინვესტიციების მართვა სამეწარმეო ინოვაციურ პროცესებში. თბილისი, 2008.
21. ებარათაშვილი, რ.ქუთათელაძე, ლ.გვაჯაია, გ.ყურაშვილი. საინვესტიციო მენეჯმენტი. თბილისი, 2011.
22. გ.მყოლაძე, თ.ამყოლაძემ, ნ.გიორგიშვილი, მ.ლომსაძე-კუჭავა. „კონკურენტუნარიანობა. ხარისხისა და პროექტის მენეჯმენტი“. სტუ, 2009.
23. ა.მუმლაძე. უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების პრობლემები საქართველოში [რედ.: გ. ხელაია]. თსუ-ს გამომცემლობა, 2001.
24. ლ.ქოქიაური. ინვესტიციების ბაზარი, თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა, თბილისი, 2001.
25. მ.ლომსაძე-კუჭავა. საინვესტიციო პროექტის შედენის მეთოდოლოგია. საერთაშორისო ჟურნალი „გლობალიზაცია და ეკონომიკურ-სამართლებრივი პროცესები საქართველოში“. თსუ. თბილისი, 2010.
26. პ.ლეაშვილი. აქტიური საინვესტიციო პოლიტიკისაკენ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2001, №7-8, გვ. 40-43.
27. გ.კურტანიძე. ინვესტიციური საქმიანობის ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. „აგრარული მეცნიერების პრობლემები“. სსსსუ-ს სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, ტ. XXXVII, 2006, გვ. 241-245.
28. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2011 წელი.
29. თ.შენგელია. „ინოვაციური პროცესები. პოლიტიკა, რეგუ-

ლირება, ეფექტიანობა”. საქ. პროფგამის გამომცემლობა. თბილისი, 1997 წ.

30. თ.გიორგაძე. ინვესტიციური პროცესების ძირითადი ტენ-დენციები, უკრნალი „ეკონომიკა“. 2001, №3-4.

31. გ.წიკლაური. უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შე-ფასება. ქ. „სოციალური ეკონომიკა. №6. 2002.

32. ა.სიჭინავა. ინვესტიციები: თეორია, ანალიზი, ორგანიზა-ცია, მართვა. თბილისი, 2010.

33. მ.ლომსაძე-კუჭავა, ზ.გიორგაძე. ეკონომიკა და მარკეტინგი. სტუ, თბილისი, 2016.

34. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი, 1989, გვ.79.

35. ს.ყამარაული. უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი. თბილი-სი. 2002, გვ. 8.

ინტერნეტ რესურსები:

1. <http://www.doingbusiness.org/reports/global-reports/doing-business-2012>

2. www.geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

3.<http://www.heritage.org/index/ranking>

4. <http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2011-2012>